

1239
2012

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

აგმას - 175

მამადა რა ყველაზე,
საქართველომ,
მე ვამ შენსა!



საქართველოს იგლოთეა

ISSN 1512-0880
№2 (47)-2012

საქართველოს



ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:

თბილისი ვევედიძის ქ.

№18, ბ. 16

ტელ 223-02-98

297-16-83

ჟურნალის რედაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდუნა სჭურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორექტორული მუშაობის

რედაქტორ-კორდინატორი

ინსტანსიამ „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ჟურნალი გადის წელიწადში ოთხჯერ

საქართველოს ბიბლიოთეკა №2 (47) – 2012

შინაარსი

საბიბლიოთეკო პროფესიული ინფორმაციის შესახებ 4

ტერმინოლოგიური კიმბანო

ბადრი ცხადაძე წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: 5

კითხვის კულტურა

დავეუფლოთ კითხვის კულტურას 7

ნინო ქავთარაძე 1. წიგნის ელემენტები და მათი გათვალისწინება კითხვის ორგანიზაციის დროს.... 8

ლაურა ასლამაზიშვილი კითხვის კულტურასთან დაკავშირებული წიგნმცოდნეობითი დეტალების მოკლე ლექსიკონი 11

ქართული წიგნი

გურამ თაყნიაშვილი ქებათა ქება წიგნს! 14

ღირსეული წინაპრები

თინათინ იოსავა ბავშვების საყვარელი მწერალი 18

კორესპონდენციები

ლია ნიპარიშვილი „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“ 20

ანი ნაროზაშვილი საინტერესო გაკვეთილი 21

ინგა ფილაური საბიბლიოთეკო კვირეული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 21

ნინო მახანაშვილი მაღალი თანამედროვე სტანდარტით 23

ალექსანდრე ლორია წიგნის ასნლოვანი გამავრცელებელი 25

ანა ერისთავი სიყვარული გზად და ხიდად 27

კვირეული – 2012

საჯარო სკოლებთან თანამშრომლობის ნიშნით 29

მოგონებები

გულნარა სტურუა ჩემი მშობლიური ქალაქი სამტრედია 39

ოთარ ოსაძე უნებლიე შეხვედრები გალაკტიონთან 41

ოთარ ოსაძე ამაგდარი მასწავლებელი 43

ბიძინა ნანობაშვილი ჩემი ყველაზე დიდი მოსაგონარი 45

ბიბლიოთეკა და მკითხველი

მაყვალა მაღრაძე – წიგნი-„აზროვნების დაუღლე ფრთები“ 50

გავშვ მკითხველთა შემოქმედება

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო!“ (მ.სიფროშვილი, მ.მათიაშვილი, მ.გუგუშაშვილი, ნ.სხირტლაძე, მ.დავლიანიძე, მ.ბურდილაძე) 50

რევიუ

დავით გიგინეიშვილი „სიმონ ბოკანეგრა“ ლოს-ანჯელესის ოპერაში 54

ძროწიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები 57

კვირეულის ფოტოქრონიკა 58-59

ნეკროლოგი

ზეინაბ ყიყილაშვილი 60



Библиотека Грузии № 2(47) - 2012

Содержание

Библиотечная профессиональная информация..... 4

Терминологические изыскания

Бадри Цхададзе - Книноведческо-палеографические термины в грузинском языке: пативи, мквидри, тани, цитлури. 5

Культура чтения

Овладеем культурой чтения..... 7
 Нана Кавтарадзе - Элементы книги, их учитывание во время организации чтения 8
 Лаура Асламашишвили - Краткий книговедческий словарь 11

Грузинская книга

Гурам Такниашвили - Хвала книге 14

Достойные предшественники

Теа Иосава - Любимый писатель детей 18

Корреспонденция

Лия Нипаришвили - «Наступите на сердце мое» 20
 Ани Нарозашвили - Интересный урок..... 21
 Инга Пилаури - Неделя библиотеки в Государственном Университете им. И. Чавчавадзе 21
 Нино Маханашвили - По современному стандарту..... 23
 Александр Лория - Столетие распространителя книги 25
 Анна Эристави - Любовь всегда и везде..... 27

Неделя - 2012

Под знаком сотрудничества с публичными школами 29

Воспоминания

Гульнара Стура - Мой родной город Самтредия..... 39
 Отар Осадзе - Случайные встречи с Галактионом..... 41
 Отар Осадзе - Заслуженный учитель..... 43
 Бидзина Нанобашвили - Мое самое большое воспоминание..... 45

Библиотека и читатель

Маквала Маградзе - Неутомимые крылья мысли..... 50

Творчество читателей-детей

«Дайте широкую дорогу таланту» (М. Сипрашвили, Т. Матиашвили, М. Гугешашвили, Н. Схиртладзе, М. Давлианидзе, М. Бурдиладзе)..... 50

Ревю

Давид Гигинеишвили - «Симон Боканегра» в опере Анкелера..... 54

Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии..... 57
 Фотохроника недели 58-59

Некролог

Зейнаб Жижилашвили 60

The Georgian Library №2(47)-2012

Contents

Library professional information 4

Terminological searchings

Badri Tskhadadze – Book – studying – paleographical terms in Georgian – „Pativi“, „Mkvidri“ , „Tani“, „Tsitlun“ 5

Reading Culture

Let's become proficient in reading culture..... 7
 Nana Kavtaradze, The elements of book and their foreseeing at lime of reading organisation. 8
 Laura Aslamazishvili, Short Bookstudying dictionary 11

The Georgian Book

Guram Tagniahvili, Praise the book 14

the honouradble ancestors

Tea Yosava – Children's favourite writer 18

Correspondences

Lia Niparishvili – „Put your leg on me, put it everyone on my heart“ 20
 Ani Narozashvili – An interesting lesson 21
 Inga Pilauri – Library weekly at the Ilia State University..... 21
 Nina Makhanashvili – With high modern standart 23
 Aleksandre Liria, The bookspreader of a hundred years 25
 Ani Eristavi – Love as a road and a bridge 27

Weekly

In sign of collabration with the public schools 29

Memoirs

Gulnara Sturua – My native town Samtredia 39
 Otar Osadze – Unvoluntary meetings wilh Galaktioni 41
 Otar Osadze – The careful teacher 43
 Bidzina Nanobashvili – The greatest recall of mine..... 45

Library and Reader

Makvala Magradze – The untired wings of thinking..... 50

Juvenile readers' creation

„Give a wide way to genius“ (M. Siprashvili, G. Matiashvili, M. gugeshashvili, N. Skhirtladze, M. Davlianidze, M. Burdiladze). 50

Review

David Gigineishvili – „Simon Boccanegra“ – In opera by Los Angeles opera 54

Cronide

The cronide of library life of Georgia..... 57

Obituary

Zeinab Djidjilashvili 60



საბიბლიოთეკო პროფესიული ინფორმაციის უსახეზო

შრომითი პროცესებისა და საქმის წარმოების ორგანიზაციისათვის უდიდეს როლს თამაშობს ინფორმირებულობა. მასზე ბევრად და დამოკიდებული არა მარტო მეთოდოლოგიის განვითარება, არამედ დარგის მთლიანად განვითარება. საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცოდნა იმისა, თუ სად რა და როგორ კეთდება, როგორ ხდება ამა თუ იმ საქმის რეალიზაცია, როგორ შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების ესა თუ ის მოთხოვნილება წარმოებასა თუ სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

ეს ყველა დარგის საზრუნავია. იმიტომაც იქმნება სპეციალური საინფორმაციო სამსახურები, რომ მოსახლეობა სრულყოფილად იყოს ინფორმირებული მისთვის საინტერესო და საჭირო საქმიანობასთან დაკავშირებით.

საერთოდ, ინფორმაცია ორი მიმართულებით წარმოებს: ერთი – როდესაც საზოგადოება არკვევს, თუ რა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია მას, სად, როგორ და როდის; მეორეა ინფორმაცია, დაკავშირებული კონკრეტული საქმის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებთან, ანუ როგორ, რა სიახლეთა დანერგვა არის შესაძლებელი, რისი გადაკეთება შეიძლება, რა უნდა ვიღონოთ, რა გავაკეთოთ, რომ საქმე განვითარდეს, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერების დონე და ა. შ. ერთიცა და მეორეც ერთმანეთთან კოლორაციაში და თავიდან ბოლომდე ურთიერთდამოკიდებული არიან.

რა ვითარებაა ამ მხრივ საბიბლიოთეკო დარგში?

ინფორმაციული მუშაობა ყველა ბიბლიოთეკის შემადგენელი ნაწილია. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, იმ ფონდების ინფორმაციას, რომელსაც ბიბლიოთეკა ფლობს. ამ შემთხვევაში ინფორმაცია გულისხმობს, შესთავაზოს მომხმარებლებს საბიბლიოთეკო დოკუმენტები, წარუდგინოს მათ ის, რაც ბიბლიოთეკის ხელთაა. ინფორმაციის უმთავრესი დანიშნულებაა, გაავრცელოს, პოპულარული გახადოს თავისი კოლექციები, რომ მომხმარებლებმა ისარგებლონ, გამოიყენონ ისინი და დაიკმაყოფილონ მოთხოვნილება და ინტერესები. ამგვარი ინფორმაცია უფრო რთული პროცესის – დოკუმენტების პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა გზით, რა სახით, რა ხერხებით ანუ როგორი მეთოდებითა და ფორმებით ხდება ეს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საგულისხმოა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი და თვალსაჩინო

სამუშაოების გამოყენება, თუ როგორ აღძრავს ის მომხმარებელში ინტერესს, როგორ გაამახვილებს მის ყურადღებას საპროპაგანდო მასალაზე. ამისათვის გამოიყენება ხატოვანი ფორმები, რომლებიც ძალიან ახლოსაა რეკლამასთან. განსხვავება იმაშია, რომ თუ რეკლამის ამოცანას წარმოადგენ მომხმარებელში სურვილი აღძრას საპროპაგანდო ობიექტის შეძენისა, საბიბლიოთეკო რეკლამირება, განსხვავებით ამისა, ზრუნავს არა მარტო ამგვარი ობიექტის გავრცელებაზე, არამედ იმაზე, რომ ის იყოს მომხმარებლის მოთხოვნილების ადექვატური, რელატიური, შესატყვისი მისი მკითხველური ინტერესისა, ხელს უწყობდეს მის ინტელექტუალური ამოცანების გადაწყვეტას, ეს არის მთავარი პრინციპი საბიბლიოთეკო ფონდების ინფორმაციისა.

ეს ინფორმაციული მუშაობის ერთი მხარეა, ხოლო მეორე უკვე იმის პოპულარიზაციაზე ზრუნავს, როგორმე, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს, რაც კეთდება, რა საქმიანობას ეწევა ბიბლიოთეკა მოსახლეობის სრულყოფილად მომსახურებისათვის. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რა უფლება-მოვალეობითა და ფუნქციებით არის აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რა შეუძლია მას, რაში და როგორ დაეხმარება, რა დონისა და ხარისხის იქნება ეს დახმარება და ა. შ. გარდა ამისა, მოსახლეობამ ისიც უნდა იცოდეს, სად შეიძლება მიიღოს მან ამგვარი დახმარება, რის ფასად და რა დროში.

ჩვენი დაკვირვებით, საქართველოს ბიბლიოთეკების გადამჭრელი უმრავლესობა ვერ ახერხებს სრულყოფილად წარმართოს თავისი საქმიანობის პოპულარიზაცია. საბიბლიოთეკო საქმეში საყოველთაოდ არის გავრცელებული ცნება „ბიბლიოთეკის პროპაგანდა“. ამ მიმართულებით საფუძვლიანად არის დამუშავებული ზოგადი თუ კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პრაქტიკაშიც კარგადაა ცნობილი, მაგრამ ყოველივე ამის გამოყენება ვერ ხდება შესაფერისად, რაც, საერთო ჯამში, იწვევს მოსახლეობის დაბალ ინფორმირებულობას. ეს კიდევ თავისთავად უარყოფითად ზემოქმედებს ბიბლიოთეკის საქმიანობის წარმატებულობაზე.

სანმსხუაროდ, ჩვენი ბიბლიოთეკების უმრავლესობა ვერ არის ისეთ პირობებში, რომ ღირსეულად წარსდგეს საზოგადოების წინაშე და თავისი სახე აჩვენოს. მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმდენად სუსტია, იმდენად შეზღუდულია მათი შესაძლებლობები, იმდენად შევიწროვებულია მომსახურების

მეთოდთა არსენალი და იმდენად მოძველებულია ბევრი რამე, რომ ფაქტობრივად აზრს მოკლებულია მათი საქმიანობის პოპულარიზაციაზე ზრუნვა. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ ბიბლიოთეკების მოდერნიზაციაზე, ახლებურად გარდაქმნაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და მენეჯმენტის სრულყოფაზე. მაგრამ საეჭვოა, ეს პროცესი იმგვარი სწრაფი ტემპებით წარმართოს, როგორც ბევრი რამ ხორციელდება ჩვენში. მაგრამ ამის გამო დაუშვებელია პასიურად ველოდოთ და არ ვიზრუნოთ ჩვენი ბიბლიოთეკის საქმის წარმოჩენაზე. მართალია, ბევრ ბიბლიოთეკას ბევრი რამ აკლია მაღალ კონდენციებამდე, მაგრამ ყველა მათგანი, მიუხედავად ხელმოკლეობისა და სივინროვისა, ერთ დიდ მისიას მაინც ასრულებს – ხელს უწყობს საზოგადოებას გაცნობიერებაში, შემოქმედებითი შესაძლებლობების, ინტერესების გამოვლენასა და ურთიერთკავშირების დამყარებაში, გონებრივ დასვენებასა და ინტელექტუალურ გართობაში.

ამაში უდიდეს როლს თამაშობს საბიბლიოთეკო მასობრივი ღონისძიებები, რომლის მეთოდოლოგია საკმაოდ საფუძვლიანად არის დამუშავებული. აქ მოქმედებაშია როგორც ძველი,

ტრადიციული საშუალებები, ისე ახალი, ჯერ კარგად აუთვისებელი ფორმებიც. საჭიროა ბიბლიოთეკებმა ამ მიმართულებით აქტიურად მოიპოვონ პროფესიული ინფორმაცია და დაწერონ სიახლეები მომსახურების სფეროში.

სწორედ ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენში შემოღებულ საბიბლიოთეკო კვირეულებს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობენ საზოგადოების ინფორმირებას ბიბლიოთეკების საქმიანობაზე. ამით მოსახლეობის დიდი ნაწილი უახლოვდება ბიბლიოთეკებს, ინტერესდება მათი მოღვაწეობით, უჩნდება სურვილი მათთან ურთიერთობისა; იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა, კითხვადობის კოეფიციენტი, წიგნბრუნვა, ელექტრორესურსების გამოყენების მოცულობა; ძლიერდება კონტაქტები სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებებთან, ხდება მკითხველთა გააქტიურება, შესაძლებელია სპონსორთა აღმოჩენა და ა. შ. სწორედ ამიტომაც აქვს ყოველ საბიბლიოთეკო კვირეულს თავსათაურად: „შენი ბიბლიოთეკა!“ მომხმარებლებმა უნდა დაინახონ, რომ ყოველი ბიბლიოთეკა მათი საკუთრებაა, მათი დამხმარე და ხელშემწყობი დანესებულებაა.

ტერმინოლოგიური კიეხანი

ბადრი ცხადაძე

წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში:

პატივი, მკვიდრი, ტანი, წითლური

„მკვიდრი“ ძველი ქართული სიტყვაა. იგი დღესაც აქტიურად გამოიყენება ცოცხალ თუ წერითმეტყველებაში (მაგ., „ჩემი მკვიდრია“, „მკვიდრი მამიდაშვილი“, „მკვიდრი ბიძაშვილი“, შდრ. „გარე ბიძაშვილი“, „ყვავი ჩხიკვის მამიდა“ და მისთ.) „ქეგლ-ის მიხედვით, „მკვიდრი“ ახალ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობისაა, იგი ნიშნავს: 1. ადგილობრივ, მუდმივ მცხოვრებს; 2. უახლოეს ნათესავს, ღვიძლს, ალალსა და ნამდვილს, 3. მტკიცეს, მაგარსა და ურყევს [1]. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მისი გამოყენების არეალი უფრო ფართოა, მკვიდრის მნიშვნელობებია: „დასახლებული“, „ღვიძლი“, „მემკვიდრე“; იხმარება ბუნების, ბუნებრივის მნიშვნელობითაც [2]. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „მკვიდრი“ მემკვიდრეა, наследник, коренной житель, обыватель, ხოლო „მკვიდროვანი“ вселенная [3] „მკვიდრ“ ლექსემას და მისგან ნაწარმოებ სიტყვებს უფრო ვრცლად

წარმოგვიდგენს და განმარტავს დ. ჩუბინაშვილი: მკვიდრი – „საკუთარი, ხელშეუვალი, მიუდევარი; მემკვიდრეობითი, სამკვიდრო; მემკვიდრე, მოსახლე ერთი ადგილისა, ბინადარი [4, 774].

როგორც ზემომოყვანილი განმარტებებიდან ირკვევა, წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული მნიშვნელობით, „მკვიდრი“ ძველ ქართულსა და ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არსად ჩანს. მისი გაჩენა გვიანდელი, საშუალო ქართულის დროინდელი მოვლენაა.

ცხადია, ძირძველი და ხანგრძლივი წიგნმცოდნეობით-მწიგნობრული ტრადიცია რომ არა, ეს სიტყვა პალეოგრაფიულ ტერმინად ვერ იქცეოდა.

მკვიდრი, როგორც წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინი, გვხვდება ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში (Q-50); ხელნაწერი გადწერილია 1771 წელს და წარმოადგენს არსენ

ვაჩესძის დოგმატიკონს. ამ ხელნაწერის 1 რ-ზე მოთავსებული ანდერძი კი გვამცნობს: „ყოველთა გვედრები აღმომკითხველთა წმიდისა ამის წიგნისათა, რათა კეთილად განარჩიოთ სხოლიონნი და არასხოლიონნი, რომელ არიან დანაშთენნი მკვდრისანი, რომელიცა არა თნებითა ჩემითა მიქმნიეს, არამედ კაცობრივმან უძღურებამან და ადგილსა ესევეითარსა ვერმინოფებამან, უფრორე ცოდვისა ძალითმან სიმრუმემან მაქნია ესრეთ, და ნაკლულ-ყოფილი იგი, მკვდრისა თანადვე არშიათა ზედა, გინა კიდურთა, იძიეთ მოწერილად ზედსაჩინოებითა სამის წერტილისა წითლურისათა და განწესებულთა ადგილსავე თანა აღმოიკითხეთ“. ანდერძში დასახელებულია ხელნაწერის გვერდის რამდენიმე შემადგენელი ნაწილი: „არშია“ ანუ „კიდური“, „სხოლიო“ და „მკვიდრი“. მზ. სურგულაძის ახსნით, გადამწერი სხოლიოს აიგივებს არშიასთან და ორივეს უწოდებს „დანაშთენნი მკვდრისანი“, ე.ი. „მკვიდრი“ გვერდის ის ნაწილია, რომელიც ძირითად ტექსტშია მოთავსებული [5,61]. რადგანაც ტექსტი ორ სვეტადაა ნაწერი, უნდა ვიფიქროთ, რომ „მკვიდრი“ არა მარტო ძირითადი ტექსტის გამომხატველია, არამედ დღევანდელი წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინ „სვეტის“ სინონიმიც.

შენიშვნა 1: ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, ოდნავ აჩქარებული ნუსხურით. ჩამატებული ადგილები, შეისწავენი და განმარტებები მიწერილია კიდებზე, თუ ტექსტის რომელიმე ნაწილს განმარტავს აშიებზე მოთავსებული მინაწერი, უჩვენებს წითელი მელნით დასმული წერტილი [5, 61].

შენიშვნა 2: ფურცლის ერთ მხარეზე ანუ გვერდზე ძირითადი ტექსტი შუა ნაწილში იწერებოდა და ოთხივე მხარეს საკმაო სიგანის დაუნერელი არე (კიდე, კიდური, არშია//აშია) იყო დატოვებული [6,300], [7, 24-27].

„მკვიდრი“ რომ აღორძინების ხანის საქართველოში დამკვიდრებული წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინია, ცხადყოფს ანტონ პირველის გრამატიკაც, სადაც „მკვიდრი“ ამავე მნიშვნელობით არის ნახმარი: „სადაც ზმნის სქესები თავს დროებითურთ მკვდრით იყოს ნაწერი, ყოველთვის, სადაც დაგხუდესთ, სულ ნოტრის კალმით იუწყეთ“ (იხ. ხელნაწერი S-1187,32 V). ეს შენიშვნა-მინაწერიც კიდებზეა მოთავსებული, ტექსტისაგან განსხვავებული ხელწერით. იგი ფაქტობრივ წარმოადგენს მითითებას მომავალ გადამწერთათვის იმის შესახებ, თუ როგორი კალმით დაენერათ ზმნის პარადიგმები გვერდის ძირითად ნაწილში [5, 62], ასე რომ, მკვიდრი, როგორც პალეოგრა-

ფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინი, საკუთრივ ქართული წარმოშობის შუასაუკუნეების დროინდელ ტერმინად უნდა დავსახოთ.

ჩვენ მიერ დამონმებული ზემომოყვანილი 1771 წელს ხელნაწერდართული ანდერძი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ აქვე, ამავე ამონარიდში, მეორე, საკუთრივ ქართული წარმოშობის პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინიც გვხვდება – წითლური, რომელსაც ძველ ქართულად სინგური ეწოდება (სინგორი // სინგური – „გოგირდისათა და ტყვივთ (ვერცხლის წყლით)“ [8] შემზადებული წითელი ფერის მელანი, გამოიყენებოდა სახატავადაც). ი. ჯავახიშვილის დასკვნით, სინგური „ყოველ წითელ საწერ საღებავს არ ეწოდება, არამედ განსაკუთრებული შედგენილობისა და თვისებების მქონე უნდა ყოფილიყო. თვით სინგურის ნაწერის ფერიცა და განსაკუთრებული ბრწყინვალეობაცხადად განირჩევა ჩვეულებრივ წითელი მელნით ნაწერის თვისებებისაგან და მათ სხვაობას შედგენილობის მხრივაც ცხადად მოწმობს. სინგური ეწოდებოდა ქართულად იმ საწერ-საღებავს, რომელსაც ბერძნები „კინაბარის“, რომაელები *sacrum incaustum*-ს რუსები ბერძნულიდან ნასესხებ *кониоварь*-ს ეძახდნენ [9, 45-46]. სინგური წარმოშობით თურქული სიტყვაა (თათრულიაო, განმარტავს დ. ჩუბინაშვილი) [4]. ასე რომ, ქართულ წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში უცხოური წარმოშობის სინგურ ლექსემის გვერდით საკუთრივ ქართული წარმოშობის ტერმინადქცეული სიტყვა წითლურიც გვექონია.

და ბოლოს, ხელნაწერის ზომის გამომხატველად ქართულში ტან (წარმოშობით ინდოევროპული, კერძოდ, სპარსული ლექსემა, ნიშნავს „სხეულს“) სიტყვაც გვევლინება. იგი, როგორც წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინი, გვიანდელია. გვხვდება მე-18 საუკუნეში, კერძოდ, 1743 წელს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის („სიტყვის კონა“) ანდერძში ვკითხულობთ: „ეს წიგნი კურთხევანის ტანისა იყო და ეს, რაც ამას ზეით სწერია, ექუს ფურცელზედ უნდა მოვიდეს სწორედ, რომ ცარიელი არ დარჩეს, ამასთან მოვიდეს“ (ხელნაწ. S-82,1 4V). ღირსსაცნობია, რომ ტანი, ამავე მნიშვნელობით, ახლაც იხმარება. შდრ, დიდტანიანი ნაწარმოები, დიდტანიანი წიგნი, რომელიც არა მხოლოდ წიგნს აღნიშნავს, არამედ დიდი მოცულობის (შინაარსის მქონე) ნაწარმოებსაც. როგორც იტყვიან, პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი სიტყვაქმნადობის ტრადიცია და პროცესი გრძელდება.

მითითებული ლიტერატურა

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. 5. – თბ., 1958.

2. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). – თბ., 1973.

3. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით – თბ., 1961.

4. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა. აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ – თბ., 1984.

5. სურგულაძე მზ. ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. – თბ., 1978.

6. დანელია კ. სარჯველაძე ზ. ქართული პალეოგრაფია. – თბ. 1997.

7. ცხადაძე ბ., პალეოგრაფიულ-ნიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში (1. არშია. 2. კიდე, კიდური). // „საქართველოს ბიბლიოთეკა“, № 3, 2003.

8. ორბელიანი ს.ს. თხზულებანი. ტ. 4, ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. – თბ., 1966.

9. ჯავახიშვილი ი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები. III.1. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მე-2 გამოც. – თბ., 1949.

კითხვის კულტურა

დავეუფლოთ კითხვის კულტურას

არასოდეს ისეთი დილემის წინაშე არ მდგარა მკითხველი საზოგადოება, როგორც დღეს – მოზღვავებული ინფორმაციის ხანაში. რა ვიკითხოთ, როგორ ვიკითხოთ, რამდენი ვიკითხოთ, როგორ დავიკმაყოფილოთ მკითხველური მოთხოვნილება – ეს ყოველთვის იყო და არის მკითხველის საზრუნავი, ახლა, როცა წიგნს ელექტრონული საშუალებები შემოეზიარა და ლამის პირველობა დაისაკუთროს, ხდება ერთგვარი გაორება, დაფანტულობა, გაუგებრობა. ჯერხანად ადამიანთა უმეტესობა საბოლოოდ არაა დაუფლებული ახალ ტექნოლოგიებს. დიდი ნაწილი კვლავ ჩვეულებრივი წიგნით იკმაყოფილებს მკითხველურ მოთხოვნილებებს, მით უმეტეს, ესთეტიკური ასპექტით, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ აქტიურად ხდება კითხვის პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება.

ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო-მეთოდოლოგიურ კონსულტაციებს, იმ დამკვიდრებულ ტრადიციების ღრმად შეცნობა-შესწავლას და იმ სიახლეთა დანერგვა-ათვისებას, რომელსაც დღეს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები გვთავაზობენ. ტრადიციულისა და ნოვაციურის შენივთება ეს ერთადერთი გზაა კითხვის კულტურის მაღალი დონის მისაღწევად.

სამწუხაროდ, ჩვენში უკვე კარგა ხანია არავითარი ნაბიჯები არ გადაიდგმება კითხვის კულტურის დონის ამაღლებისათვის ზრუნვის

თვალსაზრისით. ჩვენმა ჟურნალმა გადაწყვიტა, წამოიწიოს სერია კითხვის კულტურის შესახებ და სისტემატურად, ნაწილ-ნაწილ ბეჭდოს შესაბამისი სტატიები, იქნება ეს წიგნის, კომპიუტერის კითხვის პრობლემებზე, მათ პრაქტიკულად გამოყენებასა თუ შესაძლებლობებზე. იგულისხმება როგორც კონსულტაციები, მეთოდური მითითებები, რეკომენდაციები, ისე მეცნიერული კვლევა-ძიებანი. ყველა მსურველს შეუძლია შემოგვთავაზოს თავისი ნაშრომი, რომელიც უპირობოდ დაიბეჭდება სრულად ან ნაწილ-ნაწილ.

კითხვის კულტურა თანდათანობით თავისთავად ყალიბდება სისტემატური კითხვის პროცესში, მაგრამ ამის მიღწევა უფრო დაჩქარებულადაც შეიძლება, წინასწარგანზრახულად და გეგმიურად, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებსაც სპეციალისტები დიდი დროისა და პერიოდის განმავლობაში შესწავლითა და განზოგადებით, მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავებენ.

ზოგადად კითხვის კულტურის არსისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენს ჟურნალში ადრე გამოქვეყნებულ იქნა საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრებები, და ამჟამად არ ვაპირებთ კვლავ შევეხოთ იქ გაშუქებულ საკითხებს (იხ.: საქართველოს ბიბლიოთეკა – 2010, № 2. – კითხვის კულტურის განვითარება თანამედროვე ეტაპზე).

ენო ქავთარაძე

ნამყვანი სპეციალისტი

1. წიგნის ელემენტები და მათი გათვალისწინება კითხვის ორგანიზაციის დროს

მკითხველთა უდიდესი ნაწილი წიგნს ცოდნის, ინფორმაციისა და ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ინტელექტუალურ ფასეულობას იძენს ადამიანი. უმეტესწილად საქმე გვაქვს სერიოზულ, საქმიან, შემეცნებით ღირებულებით კითხვასთან, რაც რაღაცგვარად გონებრივი შრომის პროცესს მიესადაგება. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ იქნება ორგანიზებული კითხვა. ეს თავისთავად განაპირობებს კითხვით მიღებული შედეგის ხარისხს. ამიტომაც ურიგო არაა, ვიცოდეთ, როგორ ვიმუშაოთ დამოუკიდებლად წიგნზე, პროცესი რომ რაციონალურად წარმართოს, რათა ნაკლები დროისა და ენერჯის დახარჯვით მივიღოთ ადექვატური შედეგი, რომლის მისაღწევაც ვმოქმედებთ.

კითხვა რთული ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი მოვლენაა და მისი მეცნიერული კვლევა დიდი ხანია მიმდინარეობს. წიგნს აქვს თავისი ისტორია, შექმნის, წარმოების, დაცვისა და გავრცელების მეთოდოლოგია; საზოგადოებრივი ორგანიზაციის თეორია და პრაქტიკა; მას აქვს აგებულება, ფორმა და შინაარსი; იურიდიული, ქონებრივი და უტილიტარული თავისებურებანი; გარდა ამისა, წიგნს, დიდი მისია აკისრია საზოგადოების წინაშე მატარებელი იდეურ-მორალური კონცეფციებისა და ესთეტიკურ-ეთიკური ფუნქციებისა. ყოველივე ეს ობიექტურ-სუბიექტური კანონზომიერებებით არის გაპირობებული.

წიგნზე მრავალი ასპექტით შეიძლება მსჯელობა.

ჩვენი მიზანია ამჟამად, ამ მონაკვეთზე, განვიხილოთ წიგნის ელემენტები და ისიც იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გვესაჭიროება ამის ცოდნა კითხვის კულტურის დონის ამაღლებისათვის. ამიტომაც ჩვენი ინტერესების ფარგლებში შედის წიგნის მხოლოდ უძირითადესი ელემენტები. მართალია, ზოგ მათგანს უმთავრესად ტექნიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, წიგნმცოდნეობის ასპექტით, ფრიად საყურადღებო დეტალებს წარმოადგენენ. მაღალკულტურული მკითხველისათვის მათი ცოდნა და საჭიროების შემთ-

ხვევაში გამოყენება სავსებით მისაღები და სასარგებლოა. საერთოდ, კითხვის მაღალი კულტურა წიგნის ელემენტების კარგ ცოდნასაც გულისხმობს.

წიგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც შინაარსობრივად, ისე დანიშნულების, ფორმის, აგებულებისა და სხვა ატრიბუტების მიხედვით. წიგნის დეტალების ცოდნა მკითხველს ეხმარება მის შინაარსში უკეთ გარკვევასა, ძიებასა, შესწავლასა და ათვისებაში, აზოგვიანებს მას დროსა და ენერჯიას, ხელს უწყობს დამახსოვრებაში და ა.შ. სასურველია, მკითხველი საფუძვლიანად ერკვეოდეს იმ პრინციპებსა და თავისებურებებში, რომლითაც ხდება წიგნის აგება-არქიტექტონიკა და კონსტრუქცია.

წიგნი მრავალი ტექნიკური დეტალისაგან შედგება. (იხ.: თანდართული „კითხვის კულტურასთან დაკავშირებული წიგნმცოდნეობითი დეტალების მოკლე ლექსიკონი“). მათი უმრავლესობა მკითხველს ეხმარება წიგნის შერჩევასა და გამოყენებაში, გაუადვილებს ორიენტაციას. ზოგჯერ ისეთი დეტალიც, როგორც წიგნის მოკაზმულობა და გაფორმებაა, ფრიად საყურადღებოა. მაგალითად, ფორზაციც კი შეიძლება იძლეოდეს არსებით ცნობებს წიგნის ხასიათზე, ავტორზე, ილუსტრატორზე, ეპოქაზე, წიგნის შინაარსობრივ მხარეზე და ა.შ. გარდა ამისა, მკითხველს უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, ზუსტად დაადგინოს ცნობები კოლოფნიდან, გამოიყენოს კოლონციფერი და კოლონტიტული, სიგნატურა, საგამომცემლო, ბიბლიოგრაფიული და საერთაშორისო ინდექსები და სხვ. ერთი შეხედვით ისეთი გარეგნული დეტალი, როგორც სუპერყდაა, ხშირად ბევრი საინტერესო რამის მთქმელია, ასევე ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს ილუსტრაციული მასალა, რომელიც შინაარსის გააზრებასა და მასალის მსუბუქად შეთვისებაში გვიწყობს ხელს. ასევე საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ წიგნის მოცულობა (პაგინაცია) და ფორმაც.

სხვათა შორის, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თანამედროვე წიგნის ბეჭდვის საქმეში ბევრი რამ შეიცვალა. ის პოლიგრაფიულ-საწარმო მოთხოვნები, რომლებიც ადრე

იყო, ამჟამად უგულვებელყოფილია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვენი მკითხველების დიდი ნაწილი კვლავ სარგებლობს ადრე გამოცემული წიგნებით, საჭიროა ისინი სრულყოფილად ერკვეოდნენ როგორც ახალი სტანდარტების სისტემაში, ისე ძველი წიგნების სტანდარტულ დეტალებსა, არქიტექტონიკასა და სტრუქტურაში.

საყოველთაოდ ცნობილია: წიგნის ბეჭდვის შემოღებიდან მოყოლებული – დღემდე წიგნები სხვადასხვაგვარად გამოიცემა – სხვადასხვა ზომით, შრიფტით, ფორმით და ა.შ. თანამედროვე საგამომცემლო საქმე, ამ თვალსაზრისით, შედარებით ავტონომიზირებულია; ბევრი გამომცემელი და წიგნმწარმოებელი ნაკლებად მისდევს ტრადიციულად დამკვიდრებულ წესებს და მხედველობაში არ ღებულობს სტანდარტებს. ისიც სათქმელია, რომ წიგნის თანამედროვე სპეციალისტები აღარ აქცევენ ყურადღებას ყოველივე ამას და არც ამუშავენ ბენ შესაბამის ნორმებსა და წესებს, რომლებიც ფსიქოლოგიისა და წიგნმცოდნეობის კანონზომიერებების გათვალისწინებით იქნება ჩამოყალიბებული. ამის გამო თანამედროვე წიგნი გადამეტებულიად „ინდივიდუალური“ და „დამოუკიდებელია“. ამიტომაც ჭირს რაიმე ერთიანი, საყოველთაო დებულებებისა თუ წესების შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა. საქართველოს პირობებში ეს საკმაოდ აშკარადაა გამოვლენილი.

მსოფლიოში მრავალი ახალი თუ ძველი პოლიგრაფიული ნაწარმი არსებობს ზომითა თუ ფორმით განსხვავებული. არის უმცირესი და უდიდესი წიგნები. მაგალითად, ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცულია „წიგნი-ცეროდენა“, რომლის ზედაპირის ფართობი 1 კვ. სმ-ია; ბერლინის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახებოდა გეოგრაფიული ატლასი, რომლის სიმაღლე 178 სმ, ხოლო სიგანე – მეტრზე მეტისაა.

საბჭოთა კავშირში გამოცემული წიგნები, სპეციალური სამთავრობო დოკუმენტის ძალით, სტანდარტული იყო და მაშინდელი გამოცემული წიგნები მათი მიხედვით გამოიცემოდა, ამ სტანდარტების მიხედვით სულ 11 ფორმატი იყო შემოღებული. იგივე ითქმის შრიფტზეც. მაგალითად, დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის სპეციალური სტანდარტით შექმნილი წიგნები იყო დასაშვები და ამ მონაცემების დაცვა სავალდებულო იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბევრჯერ გამომცემლები არღვევდნენ მას.

რაც შეეხება ტექსტის ზომას და სიმეტრიულობას, ეს დაფუძნებულია თავისებურ მეც-

ნიერულ ანალიზზე, რომელიც ითვალისწინებს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კვლევა-ძიების შედეგებს. ცნობილია ე.წ. „ოქროს შეფარდება“, რომელიც ყველაზე მოხერხებულად ითვლება ხანგრძლივი, ინტენსიური და დაძაბული კითხვის დროს. ის გულისხმობს დაბეჭდილი სვეტის ისეთ შეფარდებას, როცა სიმაღლესა და სიგანეს შორის ურთიერთმიმართება არითმეტიკული პროგრესიითაა გაანგარიშებული – 2:3:5:8:12 და ა.შ. ყველაზე გავრცელებულ და საუკეთესო შეფარდებად ითვლება 2:3.

წიგნის გარეგნული აგებულება, მისი კომპოზიცია საქმის წარმოების განსაკუთრებულ ორგანიზაციას მოითხოვს. წიგნის დამზადებაში მრავალი სპეციალისტი ღებულობს მონაწილეობას. ერთი მხრივ, პოლიგრაფები, მეორე მხრივ – მხატვარ-გამაფორმებლები. წიგნი გარეგნულად მაღალი ტექნიკისა და ხელოვნების ერთობლივი ნაწარმია და იგი, ამ თვალსაზრისით, გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს. მიტომაც იქცა წიგნი ესთეტიკური გაფორმების, სილამაზის, ინტერიერის გამშვენიერების, სასიამოვნო გრძნობის აღძვრისა და სათანადო კეთილგანწყობის შექმნის საშუალებად. იგი ძვირფასი ნივთის ტოლფასიცაა. დღეს წიგნი ამშვენებს, ალამაზებს ოჯახურ გარემოს, მიმზიდველ ელფერს აძლევს მას, აკეთილშობილებს. მართალია, ადამიანი ამგვარად იხიბლება წიგნით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია წიგნით დაინტერესებისათვის, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს წიგნის წაკითხვის ინტერესის აღძვრის უმთავრეს პირობად. წიგნების სხვა თვისებებიც უნდა უწყობდეს ხელს, ადამიანში აღძვრას სურვილი წაკითხვისა.

გარეგნული ანუ ტექნიკური კომპოზიციის გარდა, წიგნს გააჩნია შინაგანი, არსებითი აგებულებაც, ე.წ. შინაგანი კომპოზიცია, რაც მის მთელ შინაარსს მოიცავს. ძირითადად, როცა წიგნზეა ლაპარაკი, უმეტეს შემთხვევაში სწორედ მის შინაარსს გულისხმობენ; შინაარსი კი აგებული წიგნის შინაგანი დეტალების მიხედვით, რაც თავისებურ კომპოზიციას ქმნის.

წიგნის მთელი შინაარსობრივი ნაწილი შეიძლება ორად დაიყოს: პირველი – ძირითადი ტექსტი, ანუ ძირითადი ნაწილი – საფუძველი; მეორე – დამატებითი ტექსტი, შემავსებელი ნაწილი, ე.წ. დამხმარე აპარატი.

ძირითადი ნაწილი, სტრუქტურული თვალსაზრისით, პოლიგრაფიულად სხვადასხვაგვარად ინარმოება. ეს ეხება წინასიტყვაობას, შესავალს, თავებსა და ქვეთავებს, პარაგრაფებს, ნაწილებს და სხვ.

დამატებითი ანუ შემავსებელი ტექსტი უფრო

დიფერენცირებულია, ვიდრე ძირითადი ტექსტი. იგი შინაარსობრივად ერთიანია და განუყოფელს არ წარმოადგენს. ეს ის დეტალები ანუ ის ნაწილებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას ძირითად შინაარსზე მის ღრმად წვდომასა და გაგებას, მასალის საფუძვლიანად ათვისებას.

ამ ელემენტთა შორის უმთავრესია სატიტულო გვერდი ანუ თავფურცელი, რომელიც ნიგნების შესახებ უძირითადეს ცნობებს იძლევა: ავტორი, სათაური, ქვესათაური ცნობები; რომელ ქალაქში, რომელი გამომცემლობის მიერ და როდის გამოქვეყნდა ეს ნიგნი; შეიძლება დასახელებულ იქნეს რედაქტორი, მხატვარი, გამომცემელი და სხვ.

არსებობს ე.წ. გაშლილი თავფურცელი – როცა ძირითადი ცნობები მოცემულია არა ერთ, არამედ ორ (გაშლილ) გვერდზე. უმეტესად ეს იმ შემთხვევაში კეთდება, როცა ნიგნი მრავალტომიანია ან ორენოვანი ტიტული აქვს.

თავფურცელი ნიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საფუძველია. ზოგ გამოცემას აქვს აგრეთვე ე.წ. „შმუცტიტული“ („შავი ტიტული“), რომელიც შეიძლება იყოს ნიგნის რომელიმე ნაწილის გამომყოფი თავფურცელი, ან ძირითადი ტიტულის შემავსებელი ნაწილი.

ნიგნის შესახებ საგამომცემლო ცნობების მიღება შეიძლება ე.წ. კოლოფონიდან, რომელიც ან თავფურცლის მეორე მხარესაა, ან ნიგნის ბოლოს. ეს სახელწოდება მას ძველი ხელნაწერი ნიგნებიდან გამოჰყვა და ახლა გავრცელებული არ არის. ჩვეულებრივ, მას საგამომცემლო-სააღრიცხო დეტალად მიიჩნევენ და მასში უმეტესად საორგანიზაციო მონაცემებია თავმოყრილი. ამჟამინდელ ნიგნებში ბევრი ადრინდელი დეტალი არ შედის, ზოგი სიახლეა დანერგული – ვინ ააწყო, დააკაბადონა, დააფინანსა და სხვ.

ადრეულ გამოცემებში, ნაწილობრივ ახალ ნიგნებშიც, თავფურცლის კიდურებზე ან თავფურცლის მეორე გვერდზე იწერება ნიგნის ბიბლიოგრაფიული შიფრი (უმეტესად ზემოთ), აგრეთვე კომპლექსური ნიგნსავაჭრო შიფრი (ამჟამად აღარ გამოიყენება). ასევე აქვე იბეჭდება საერთაშორისო ინდექსი – ნიგნებისათვის ISBN, ჟურნალებისათვის ISSN.

განსაკუთრებით საყურადღებოა მკითხველისათვის ბიბლიოგრაფიული შიფრი (საკატალოგო შიფრი), რომელიც ათწილადი კლასიფიკაციის სქემისა (უეკ-UDK) და საავტორო ნიშნით იძლევა ცნობას როგორც ნიგნის დარგობრივ შემადგენლობაზე, ისე ბიბლიოთეკის თაროზე მის ადგილზე.

სატიტულო გვერდის მეორე მხარეს, უმეტეს შემთხვევაში ფორზაცზე ან ფრონტისპირულ გვერდზე, ზოგჯერ სუპერზედაც, მოცემულია მკითხველისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა ანოტაცია. ის ზედმიწევნით მოკლედ მიგვანიშნებს, თუ რას შეეხება ეს ნიგნი, რა საკითხებს იხილავს, რა პრობლემებს სწყვეტს და ა.შ.

ნიგნის არსებით დეტალებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაარსის შემავსებელი ელემენტები, როგორცაა სარჩევი (შინაარსი), წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, შენიშვნები, კომენტარები, სქოლიოები, ლიტერატურა, საძიებლები და სხვა, რასაც სპეციალისტები „დამხმარე აპარატს“ უწოდებენ. ამ ელემენტების თანდართვა აუცილებელია რთული, სამეცნიერო და მეთოდიკურ-კვლევითი ლიტერატურისათვის, აკადემიური გამოცემებისათვის. მეტ-ნაკლებად, ეს ელემენტები თითქმის ყველა ნიგნში გვხვდება. ნიგნში აგრეთვე შეიძლება ჩართული იყოს ილუსტრაციები – ნახატები, სქემები, ფოტომასალა, რუქები, დიაგრამები და სხვ.

ნიგნი საკმაოდ ბევრი ელემენტისაგან შედგება, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – ერთი მხრივ, გამომცემლობის, ნიგნსავაჭრო და გამავრცელებელი ორგანიზაციებისა და ბიბლიოთეკებისათვის, მეორე მხრივ, მკითხველებისათვის.

არსებობს აგრეთვე შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ საჭირო ელემენტებიც, მაგალითად, როგორცაა კოლონტიტული. იგი ყველა გვერდის ზემო მინდორზე, იშვიათად ქვემოთაც, იბეჭდება და მკითხველს შეახსენებს ნიგნის სათაურს, რომელიმე ნაწილის დასახელებას, ზოგჯერ ავტორსაც ან ამა თუ იმ გვერდის დამახასიათებელ თავისებურებას. ასეთი რამ კეთდება ძირითადი საცნობარო გამოცემებში – ენციკლოპედია, ცნობარი, ლექსიკონი, საძიებელი და სხვ. როდესაც საჭირო ხდება ანბანთა რიგის შეხსენება და გამუდმებული თვალყურის დევნება.

ყველა ნიგნს ახლავს აგრეთვე სიგნატურა და ნორმა. პირველი ეს რიცხობრივი გამოხატულებაა, რომელიც შეკინძული ნიგნის ყოველი ფორმის (რვეულის) ნუმერაციას გამოხატავს. მას მოსდევს ნორმა, რომელიც ასახელებს ნიგნის ავტორს, სათაურს ან რომელიმე ძირითად გამომსახველ ნიშანს – აბრევიატურას, ლოგოს და სხვ.

ნიგნის ამგვარი ელემენტების ერთიანობა ქმნის მთელ სისტემას, რომელსაც ნიგნის კომპოზიცია ეწოდება. კომპოზიციურად ნიგნი

წარმოადგენს ერთ მთლიანს, გეგმიურად აგებული, მჭიდროდ შეკრული ნაწილებისაგან შედგენილ მთელს.

წიგნის ნაწილები აზრობრივად (ლოგიკურად) ურთიერთკავშირში, ერთმანეთთან განუყოფელ კონტაქტში არის. მისი, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი კომპოზიცია მოითხოვს ლოგიკურად სწორად აგებას, ამას კი თავისებური კანონზომიერება აქვს, რაც თავისთავად ქმნის წიგნის აგების არქიტექტონიკას. თუ როგორია წიგნის არქიტექტონიკა, ამაზე დიდადა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება კომპოზიცია.

წიგნის კომპოზიცია და არქიტექტონიკა საკმაოდ რთული სფეროა წიგნწარმოების სფეროში. იგი გამომდინარეობს ჯერ კიდევ ძველბერძენთა წარმოდგენებიდან ჰარმონიულობაზე და საკმაოდ ღრმა მეცნიერული და მეთოდური შესწავლისა და დამუშავების საგანს წარმოადგენს.

ამ მხრივ შედარებით მარტივ სახეს ატარებს პერიოდული გამოცემები, თუმცა მათი აგებისა და წარმოების საქმეშიც საკმაოდ როლს ასრულებს კომპოზიციისა და არქიტექტონიკის საკითხები.

ჩვენს ქვეყანაში ადრე პერიოდიკაში მასალის განლაგებაც დაკანონებულ სტანდარტულ წე-

სებს ექვემდებარებოდა. ყველა, ასე თუ ისე, განვითარებულმა მკითხველმა კარგად იცოდა, რომ პერიოდულ გამოცემებში მასალა თითქმის დადგენილი თემატიკის მიხედვით ლაგდებოდა, და ადვილად პოულობდა მისთვის საჭირო რუბრიკას. ამჟამად ეს წესი სავსებით თუ არა, საგრძნობლად უგულვებელყოფილია და მკითხველს გულმოდგინედ უწევს გადათვალისწინება ჟურნალის თუ გაზეთისა, რომ მიაგნოს მისთვის საინტერესო მასალას.

წიგნებისა თუ პერიოდული ორგანოების დეტალების ცოდნას, მათ სწორად და ადეკვატურად გამოყენებას მნიშვნელოვანი ტექნიკური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია წიგნთან დაკავშირებული ყველა სპეციალისტისათვის, როგორც ბიბლიოთეკარების, წიგნმცოდნეების, პოლიგრაფების, წიგნგამავრცელებლებისათვის, ისე წიგნებზე სერიოზულად მომუშავე მკითხველებისათვის. მათ მიერ წიგნისა და პერიოდული გამოცემების სპეციფიურობის ცოდნა მნიშვნელოვნად აამაღლებს კითხვის კულტურის დონეს, რაც თავისთავად კეთილმყოფელ გავლენას ახდენს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის შედეგებსა და ხარისხზე.

ლაურა ასლამაზიშვილი

წამყანი სპეციალისტი

კითხვის კულტურასთან დაკავშირებული

წიგნმცოდნეობითი დეტალების მოკლე ლექსიკონი

ა.

აბრევიატურა – სიტყვის (სიყვების) შემოკლება–შეკვეცვა. ხელოვნურად შექმნილი დასახელება (სახელწოდება); მაგ. „სახელგამი“, „უნ–ტი“ და მისთ.

ადაბტირებული გამოცემა – გამარტივებული, გაიოლებული ტექსტი, საყოველთაოდ მიღებული შრიფტის გამოყენება ენების შესწავლისათვის.

ადენდა – ტექსტზე დამატებული ნაკრები ფურცლები წიგნში.

ავანტიტული – თავფურცლის წინა გვერდი, სუფთა ან გაფორმებული.

ალიგატი – ერთ–ერთი შემადგენელი წიგნი ხელოვნურად შეკინძულ წიგნებს შორის.

ალმანახი – არაპერიოდული ან გრძელდებადი კრებული.

ანთოლოგია – საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების კრებული („თაიგული“).

ანონიმური გამოცემა – გამოცემა, რომელშიც არაა მითითებული ავტორი.

ანოტაცია – ტექსტის მოკლე-დახასიათება.

არე (არეები) – გვერდებზე დატოვებული თავისუფალი ადგილი.

არშია – სტამბური სამკაული გვერდების შემოსაფარგლავად, მხატვრული ჩარჩო, ზოგჯერ გაიგება როგორც არე.

ასოთი პაგინაცია – წიგნის გვერდების დანომრვა ასოთი ნუმერაციით.

ბ.

ბესტსელერი – დიდი მოთხოვნილების წიგნი, გავრცელებული და ცნობილი.

ბეჭდ(ვ) ილობითი ცნობები – გამოცემის ად-



გილის, გამომცემლობის და გამოცემის წელი კომპლექსურად.

ბლოკი – მთელი ბეჭდური მასალის შენაკინი, რაც სტამბურად „იმოსება“.

ბოლოსიტყვაობა – ნაწარმოების ბოლოს დართული სტატია.

ბ.

გამომშვების ცნობები – იგივეა, რაც კოლოფონი.

გარეკანი (კანი) – წიგნის შედარებით თხელი სამოსი.

გარეყდა – იგივე სუპერი, სუპერკანი.

გაშლილი თავფურცელი – მონათესავე გვერდები, რომლებზედაც დაბეჭდილია თავფურცლის მონაცემები.

გენერალური თავფურცელი – იგივე ზოგადი თავფურცელი.

გვერდი – ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნის ფურცლის ერთი მხარე.

გლოსა – ტექსტში გაუგებარი სიტყვის (გამოთქმის) განმარტება (არშიაზე, ტექსტში).

გრიფი – წიგნისათვის ოფიციალური მინიჭებული სტატუსის აღმნიშვნელი წარწერა, დამონებული ხელმძღვანელი ორგანოს მიერ.

დ.

დამატებითი თავფურცელი – თავფურცლის გაგრძელება, დამატებითი ცნობების წარმოდგენა.

დანართი – დამატებითი მასალა, ფაქტობრივად, სამეცნიერო აპარატი.

დაუკაზმავი წიგნი – ყდაში ჩაუსმელი წიგნი, უგარეკანო.

ე.

ექსლიბრისი – წიგნის მფლობელის დამადასტურებელი დეტალი – უმეტესად გრაფიკულად გაფორმებული. – წიგნის ნიშანი.

ექსპლიკაცია – ახსნა-განმარტებები.

ექსპოზე – 1. თხზულების ფაბულურად გაშლილი მოკლე შინაარსი; 2. ამონაწერი თხზულებიდან.

ექსცენზო – თხზულების ცალკეული თავის, ნაწილის შინაარსის მოკლე გეგმიური ასახვა.

ვ.

ვარსკვლავი – წერტილოვანი გამოსახულება ერთი ან ჯგუფი, რომლითაც გამოყოფენ ნაწილებს ან გასამარტავ სიტყვას და სხვ. (ლათ.: ასტერისკი).

ვენზელი – ხლართულად შერწყმული ინიციალების გამოსახულება.

ვერსო – ლუნი გვერდი.

ზ.

ზანდუკი – (ძვ.) – სარჩევი, ამჟამად უწოდებენ „შინაარსს“.

ზესათაური – გამოცემაზე პასუხისმგებელი დაწესებულების დასახელება წიგნში. უმეტესად სათაურისა და ავტორის ზემოთ.

ზოგადი სათაური – სერიალურ გამოცემებში სათაური, რომელიც საერთოა ყველა მისი შემადგენელი ნაწილისათვის.

ზომა – წიგნის სიმაღლე, ზოგჯერ განიც გამოხატული სანტიმეტრებში (მაგ.: 25X18 სმ); ბიბლიოთეკებში მას წიგნის ფორმატს უწოდებენ.

თ.

თაბახი – იგივე ფურცელი.

თავი – წიგნის შინაარსობრივი ნაწილი.

თავფურცელი – წიგნის საწყისი გვერდი უმთავრესი მონაცემებით (სატიტულო გვერდი).

ი.

ილუსტრაცია – წიგნში ჩართული თუ გვერდებზე ჩაბეჭდილი გამოსახულება (ნახატი);

კ.

კაბადონი – 1. წიგნის შევსებული გვერდი; 2. დადგენილი წესით შეკრული ტექსტი.

კალთა – იგივე არე.

კანი – იგივე გარეკანი.

კანტი – რუსული წარმოშობის სიტყვა – იგივე არშია.

კაპტელი – ყუისა და ბლოკის შემაერთებელი ზონარი ზემო და ქვემო ნაწილებში.

კარტუში – მხატვრული ჩარჩო, რომელიც შემოვლებული აქვს რუქებსა და გრაფიურებს.

კერძო თავფურცელი – ზოგადი თავფურცლისაგან განსხვავებით, იძლევა რომელიმე ნაწილის ძირითად მონაცემებს, ამა თუ იმ ნაწილის დასაწყისი.

კიდე – იგივე არე.

კოლაცია – რაოდენობითი დახასიათება, გვერდების რიცხვების განსაზღვრა.

კოლონტიტული (კოლონსათაური) – ცნობა, რომელიც ეხება წიგნის რომელიმე ნაწილს (ავტორის, სათაურს ან ცალკე მონაკვეთს. უმეტესად გამოიყენება საცნობარო ლიტერატურაში (ლექსიკონებში) შესაბამისი სიტყვის ადვილად საპოვნელად.

კოლონციფერი – ყოველი გვერდის ამსახველი ციფრი.

კოლოფონი – ძველებური წესი მონაცემთა ასახვისა, ეხება გამომცემელს, ავტორს, რედაქტორს და სხვა საგამომცემლო დეტალებს.



კომპლექტი – სერიალური ან მრავალტომთა გამოცემების შენაკრები.

კონვოლუტი – რამდენიმე სხვადასხვა დროს, სხვა ქალაქებში გამოცემული წიგნების ხელოვნური შენაკინძი.

კორიგენდა – შეცდომების გასწორება, ზოგ წიგნს თან დაერთვის.

კურსივი (კურსივის შრიფტი) – მოხაზულობით მიაგავს ხელნაწერს, გამოიყენება ტექსტში მნიშვნელოვანი, საყურადღებო ადგილის ხაზგასასმელად.

ლ.

ლაკუნა – 1. ტექსტში შეცდომით გამოტოვებული ადგილი; 2. ბიბლიოთეკის ფონდის ხარვეზი.

ლოგოგრამა – პირობითი ნიშანი, რომელიც სიტყვის მაგივრობას ასრულებს.

მ.

მარგინალია – 1. შენიშვნები, მითითებები; 2. წიგნის გვერდების არეებზე მინანერი; 3. ტექსტიდან ცალკე გამოტანილი არეებზე.

მინაბეჭდი – დამოუკიდებელი ნაწარმოები საკუთარი თავფურცლითა და პაგინაციით, მიბეჭდილი რომელიმე წიგნზე (სინ.: თანბეჭდილი თხზულება).

ნ.

ნომინალი – წიგნის დადგენილი ფასი, მიბეჭდილი თვით წიგნზე.

ო.

ორნამენტი – წიგნის ფერწერული ან გრაფიკული სამკაული.

ოფიციალური გამოცემა – შეიცავს სახელმწიფო, სამთავრობო მასალების თავმოყრას, (კანონები, დადგენილებები და ა. შ.).

პ.

პაგინაცია – გვერდის რიგითი ნომერი, მათი საერთო რაოდენობა, ცნობები გვერდების შესახებ.

პარაგონი – იგივე ტექსტი.

პარაგრაფი – მცირე ტექსტობრივი დანაყოფი (გამომსახველი ნიშანი – §).

პარალელური თავფურცელი – დამატებითი თავფურცელი რომელიმე სხვა ენაზე.

პარალელური ტექსტი – როცა ტექსტს პარალელურად მისდევს თარგმანი.

პასპარტუ – მუყაოს ან ქაღალდის ჩარჩო, რომელშიც მოთავსებულია (ჩანებებულია) სურათი.

პოსტსკრიპტუმი (P. S.) – 1. ბოლოში მინანერი; 2. მცირე მოცულობის ტექსტი თხზულების ბოლოს გამორჩენილი თუ დამატებითი ცნობების მიცემა.

რ.

რემარკა – ხელნაწერი შენიშვნა გვერდებზე (ერთობილობაში – „მარგინალიები“).

რექტო – კენტი რიცხვის მქონე გვერდი.

რვეული (პოლიგრაფიულად) – ბეჭდვითი ნაწარმოების შემადგენელი შეკრული ერთეული, მიიღება სტანდარტული სრული ფორმატის დაკეცვის შედეგად გვერდების რიცხვთა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე (ზომაც), თუ რამდენადაა ფორმატის ქალაღდი დაკეტილი. ბეჭდვისათვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება რვა ორად დაკეცილი ფურცელი ერთად შეკინძული (16 გვერდი – რვეული).

ს.

სამეცნიერო აპარატი – წიგნის დანართი სხვადასხვა დამხმარე მასალით, იგივე დამხმარე აპარატი.

სარჩევი – წიგნის ან ყურნალის ის ნაწილი, რომელშიც ჩამოთვლილია მოცემული გამოცემის რეპერტუარი (იგივე შინაარსი).

სატიტულო გვერდი – იგივე თავფურცელი (სასათაურო გვერდი).

სატიტულო ფურცელი – იგივე, რაც თავფურცელი, სატიტულო გვერდი.

სიგლა – პირობითი ნიშანი (ასო, ნომერი). უმეტესად გამოიყენება შეერთებულ კატალოგში ამა თუ იმ ბიბლიოთეკის პირობითად აღნიშვნისათვის.

სუპერკანი (სუპერი) – იგივე გარე ყდა (კანი).

სქოლიო – შენიშვნა, ჩამოტანილი გვერდის ბოლოს.

ტ.

ტიტული – 1. სათაურის მონაცვლე ტერმინი; 2. თავფურცელი – იგივე სატიტულო ფურცელი (გვერდი).

უ.

უპაგინაციო წიგნი – წიგნი, რომელსაც გვერდები არა აქვს დანომრილი.

ფ.

ფორზაცი – ორად გაკეცილი ქაღალდი წიგნის ზომის შესატყვისად, ერთი მხარე თავისუფალია, მეორე მიწებებულია ყდაზე. გამოყოფს ყდას თავფურცლისგან. ამაგრებს ბლოკს ყუაზე.

ყ.

ყდა – წიგნის მყარი სამოსი, რომელიც ბლოკზეა მიმაგრებული ფორზაციებით.

ყუა (წიგნის) – წიგნის ნაწიბური, რომელიც ეკვრის ბლოკსა და ყდას. შედის ყდის სისტემაში.

შ.

შემოკლებული სათაური – გრძელი სათაურის შემოკლებულად მოცემა.

შენიშვნა – წიგნის შუაგულ ტექსტში, გვერდის ბოლოს ან წიგნის ბოლოში დართული განმარტებები.

შესავალი – ძირითადი ტექსტის წინ ამ ტექსტის შინაარსთან დაკავშირებული დებულებების ზოგადი გაშუქება.

შინაარსი – 1. სარჩევი; 2. ნაწარმოების შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

ჩ.

ჩართული ფურცელი – წიგნში ჩართული (ჩანებებულ) ფურცელი, უმეტესად – ილუსტრაცია, რომელიც არ შედის პაგინაციაში.

წ.

წიგნის ბუდე – მუყაოს ან სხვა მასალისაგან დამზადებული ბუდე წიგნის ჩასადებად.

წიგნის ნიშანი – იგივე ექსლიბრისი.

წინასიტყვაობა – ავტორის ან სხვა პირის მიერ თხზულების ან მისი გამოცემისადმი მიძღვნილი სტატია, რომელიც წინ უძღვის ძირითად ტექსტს.

ხ.

ხარვეზი – 1. ნაკლოვანება, გამოტოვებული ადგილი, ცარიელი ადგილები ტექსტში; 2. ის ადგილები, რომლებიც ბუნდოვნად არის დაბეჭდილი, ზოგი ასო საერთოდ არ ჩანს, ადგილები გამოტოვებულია, ითვლება წუნდებულ პროდუქციად.

ხატულობა – მოკაზმულობა (ნახატი), თავისუფალი გვერდის, თავის, პარაგრაფის, აბზაცის, სანყისი ასოს შემთხვევაში.


ქართული წიგნი

გურამ თაყნიაშვილი

ქებათა ქება წიგნს!

*„ფრიად კეთილი, კაცმოყვარისაგან კაცთა და მინიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაი არს,„
დავით ჯიბისძე, 89-11 სპ. მწიგნობარი*

ქართველმა კაცმა ოდითგანვე ნათლად შეიგრძნო წიგნის ყადრი, მისი დანიშნულება და ადგილი ერის სულიერი სიმტკიცის, რწმენის შენარჩუნებისა და გაძლი-



ერების, ქართული ენის სიმინდის დაცვის კეთილშობილურ საქმეში. ამიტომ იყო, რომ იგი დღენიადაც ცდილობდა ხელნაწერი თუ ბეჭდური წიგნის გამრავლება – შეგროვებას, მის დაცვას, ნათლად უწყოდა რა მათი მნიშვნელობა. ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებზე უამრავი მინაწერი მოიპოვება დასტურად იმისა, თუ რა ფასად, როგორი მცდელობით იქმნებოდა წიგნი, როგორ ცდილობდა ქართველი კაცი დაეხსნა ტყვეობაში მყოფი წიგნი, დაებრუნებინა იგი ეკლესია-მონასტრისათვის; სწორედ აქ, საქართველოში და საზღვარგარეთ მოქმედ ეკლესია-მონასტრებში იწრებოდა ქართული წიგნი,

მრავლდებოდა და პირნათლად ემსახურებოდა ქართული ერის განათლებას, აღზრდას, სულიერი წრთობის უკეთილშობილეს საქმეს.

ქართულ ხელნაწერ წიგნებზე მინაწერები თვალნათლივ გვიჩვენებს ქართული წიგნის თავგადასავლის საინტერესო ისტორიას.

XII-XIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერებზე მინწერილია: „ესე მე ხუდად თბილელმა დავნერე, ამა წიგნსა გარდავეკიდე და ფასი არა მქონდა, რომ მეყიდა და ასრე დარჩა ტყვეობასა შიგან. ვინცა ქართველი კაცი გარდეკიდოთ, ანუ შეეყაროთ, რათაცა ეგებოდეს ეს წიგნი დაიხსნათ ტყვეობითგან“.

ქართული წიგნი იწრებო-





და ომიანობის ჟამსაც. გაბრიელ საგინაშვილი ჰაგიოგრაფიული კრებულის ბოლოს წერდა: „ავად წერისათვის ნუ დამწყევლით, ვეშურებოდი, ლეკისაგან გვეშინოდა“. ტყვეობაში მყოფი ქართველები მაინც ახერხებდნენ ხელნაწერი წიგნების შედგენას: ქეთევან დედოფალი – წერდა შირაზში, ფარსადან გორგიჯანიძე – შუშტარში, ვახტანგ VI – ისპაჰანსა და ქირმანში, დიმიტრი მე-4 და იესე ტლაშაძე – კონსტანტინეპოლში, გიორგი ბაგრატიონი – პეტროზავოდსკის ციხეში, თეიმურაზ ბაგრატიონი – თავრიზში და ა. შ.


ხელნაწერი წიგნების გადამწერი ანდერძის სახით მინაწერებში საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას წიგნის ფიზიკური მთლიანობის შენარჩუნებისა და მოვლა-პატრონობაზე. კრებულის „შეხვეტილიანის“ (1778 წ.) შემდგენელ-გადამწერი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი წყევლა-კრულვას უთვლიდა მის მიერ გადამწერილი ხელნაწერი წიგნის დამზიანებელთ: „წყეულ იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს, ან უბრალოდ არშიაზე ბლარჯვა დაუწყოს, ან ფინთად და უნაღვლოდ და ნისიად იხმაროს“. ხელნაწერი წიგნი იწერებოდა ქრაქის, სანთლის, კვარის, მზის შუქზე. იწერებოდა ღამით, ფიზიკურად დაუძლურებულთა ხელით, ექვთიმე ათონელი თვითონვე წერს: „უცალო ვიყავ და უფროისათა ღამით მიწერია“. ამბროსი წილკნელის მინაწერში იკითხება: „ეს ჩემმა მოსაყდრემ ეპისკოპოსმა

სცნას, რაზედ ვიწყალებ თვალებს, შუალამე, რომ ვსწერ წილკანს“. ასეთი მინაწერები ნათლად ღალადებენ გადამწერთა ერთგულებასა და თავდადებაზე.

„შიმშილითა, გლახ რუდუნებითა ვწერდი“, ან კიდევ: „ავად ვიყავ და ვერ ვჯდებოდი, წოლით დამინერია, ვეშურებოდი, სიკვდილს მოველოდი“. ასეთი ჯაფით, შემოქმედებითი წვითა და საკუთარი ძალების უშურველად ხარჯვის წილად იქმნებოდა ქართული წიგნი. ეკლესია-მონასტრებში არსებულმა ხელნაწერმა წიგნებმა ჩვენამდე მოაღწია. ეს განძი დღესაც აუნონელი და დაუფასებელია თავისი დანიშნულებით, შინაარსით, ხელოვნების თვალსაზრისით. ეკლესია-მონასტრებში დავანებული სულიერი სიმდიდრის შესახებ მოგვიანებით ი. ჯავახიშვილი წერდა: „მონასტერი უმაღლესი გონებრივი განვითარების სავანე იყო“.

ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოჩენამ და გამრავლებამ დღის წესრიგში დააყენა მათი გავრცელების, მოსახლეობამდე მიტანის პრობლემა. ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ჩამოყალიბებამდე (1879) საქართველოში არსებობდა წიგნების გამავრცელებელი საზოგადოებები, ამხანაგობები, რომელთა მიზანს შეადგენდა ქართული იაფფასიანი წიგნების გამოცემა სრულიად საქართველოში. სახალხო წიგნების გავრცელება მოსახლეობაში გავრცელების გზად და საშუალებად მოსახერხებელი იყო წიგნის მაღაზიების გახსნა, წიგნების დატარება სოფელ-სოფელ, სახალხო ბიბლიოთეკების გახსნა და ა. შ. მე-19






საუკუნის 70-იანი წლებიდან მოწინავე ქართველი ინტელიგენცია აქტიურად ცდილობდა ქართული წიგნის პოპულარიზაციას. 1880 წელს „დროება“ წერდა: „ჩვენი პირველი მოვალეობაა სოფლად წავიდეთ მასწავლებლებად, წიგნების საყიდლად მასწავლებელს, რომელიც სოფელში მსახურობს, გროშიც არ რჩება“. იმავე წელს ილია წინამძღვრიშვილი ყურადღებას ამახვილებდა სასოფლო მეურნეობისა და ხელოსნობის დარგის სპეციალობების დაუფლებაზე და ამ საქმეში მწიგნობრიობის როლის აუცილებლობის შესახებ: „მხოლოდ მწიგნობრიობისა და საცდელ მეურნეობების მოწყობას შეუძლია ძირფესვიანად შეცვალოს ეხლანდელი ჩვენი სოფლური ცხოვრება“.


წიგნის მალაზიების ქსელის საკითხებზე უფრო ადრე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ დიდი სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ ჩვენს ქალაქში თანდათან ვრცელდება წიგნების მოთხოვნილება, ძლიერ

დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისში არც ერთი წიგნის მალაზია არ იყო, ახლა ერთის მაგიერ სამი გვაქვს“ (საქართველოს მოამბე“, 1863. -№3). „ცნობის ფურცელი“ სისტემატურად აქვეყნებდა ბიბლიოგრაფიულ ცნობებს პოპულარული ქართული წიგნების გამოცემის შესახებ. 1898 წელს გამოცემული კრებულის „წყაროს“ შესახებ გაზეთი წერდა: „მოდით და ნუ გაიზიარებთ ქართველი კაცის უიმედობით სავესე გული, ეს წიგნი გაუღვიძებს მოსწავლის გრძნობას, მიახედებს უკან, ეს წიგნი მოიპოვებს ჩვენში მდიდარ ნიადაგს“ (1898, №495). მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ქართული წიგნის მნიშვნელობისა და გავრცელების აუცილებლობის შესახებ წერდნენ გაზეთები: „საქართველო“, „სამშობლო“ და სხვ. პერიოდული გამოცემები. ცნობილი მწერალი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე ამ დროს გულდაწყვეტილი წერდა: „ჩვენ ძალიან ცოტას ვკითხულობთ, წიგნის კულტურა ჩვენში არ არსებობს, წიგნის კითხვა სრულებით არ წარმოადგენს ქართული ინტელიგენციის სულიერ მოთხოვნილებას; წიგნი იდეათა და გრძნობათა სალაროა და მისი შემწეობით უფრო ადვილად შეიძლება ქვეყნის დაპყრობა, ვიდრე იარაღითა და მანქანებით“ (გაზ. „საქართველო“, 1916, №267). იმავე წელს საჩხერელი კორესპონდენტი გაზეთ „სამშობლოში“ წერდა: „ეროვნულ სიმდიდრეს მხოლოდ სოფელში შემოუნახეს სპექტაკი სახე,



ეროვნული საძირკველი შეირყევა, თუ სოფელი გამოგვეცალა“. (1915, 4 თებერვალი). თუ რა შინაარსისა და დანიშნულების წიგნი ვრცელდებოდა ხალხში, ამის შესახებ სოფლის პედაგოგები წერდნენ, ჩიოდნენ, მათთვის ხელმიუწვდომელი იყო პედაგოგიური ხასიათის ნაშრომები. იგივე გაზეთი „სამშობლო“ გულისტკივილით იუწყებოდა: „სოფლის ხალხი იკვებება ქუჩურ-გარყვნილი წიგნებით“.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართული წიგნის დიდ ნაწილს შინაარსი და გავრცელების არეალი შეუცვალა ამ პერიოდში პოლიტიკური განათლების აყვავებამ. ამ პერიოდიდან პოლიტიკური ნება, პოლიტიკური მოტივი გაძლიერდა არა მარტო სპეციალურ და სამეცნიერო, არამედ მხატვრულ ლიტერატურაში. ეს პროცესი განპირობებული იყო სახელმწიფოებრივი წყობილების მიზნებით. ქართული წიგნის გამოცემა – გავრცელების საქმეს ფრიად აფერხებდა რუსიფიკატორული პოლიტი-






კა, საგამომცემლო პოლიტიკას მთლიანად აკონტროლებდა სამხედრო ცენზურა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ქართული წიგნის პროდუქციაში დიდი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ-სააგიტაციო დანიშნულების გამოცემებმა. სოციალური დანიშნულების წიგნების გვერდით 1920-იანი წლებიდან გამოჩნდა სასწავლო-პედაგოგიური ხასიათის წიგნები: „აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, ქართული წიგნის საგამომცემლო პროდუქციის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მათი ბიბლიოგრაფირების პრობლემა, რათა ქართული მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო საქართველოში გამოცემული წიგნის პროდუქცია ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების სახით. 1930-იანი წლებიდან ქართული წიგნი აღრიცხული იყო სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში: „წიგნის მატრიანე“ (1926); ხოლო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნიდან 1950 წლამდე გამოცემული ქართული წიგნების ნუსხა მთლიანად მოექცა ეროვნული ბიბლიოგრაფიის ისეთ ფუნდამენტურ გამოცემაში, როგორცაა „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია - 1629-1950 წ. წ.“ 3 ტომად. 1950-იანი წლების შემდეგ ქართული წიგნების მიმდინარე გამოცემების შესახებ მკითხველი ინფორმაციას ღებულობდა „წიგნის მატრიანის“ მეშვეობით; ეს გამოცემა აღარ გამოდის 1993 წლიდან. თანამედროვე ეტაპზე ქართული წიგნის საგამომცემლო პროდუქციის შესა-

ხებ ყველაზე სრულყოფილ ინფორმაციას მკითხველი ღებულობს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატიდან. დღეს ლაპარაკია ქართული წიგნის ღირებულებაზე, მის ხარისხზე და არა რაოდენობაზე: ამის შესახებ ჯერ კიდევ პლატონ იოსელიანი წერდა: „ჩემის აზრით, ღირსება ლიტერატურისა აღინონების და დაფასდების არა რაოდენობითა წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა“. თანამედროვე ეტაპზე ქართული წიგნი დიდ როლს ასრულებს ერის სულიერი მთლიანობის, განწმენდისა და პატრიოტული აღზრდის საქმეში. ქართველი კაცის ბუნება, მისი ზნეობრივი თვისებანი ქართულ წიგნში ჩანს. აკაკი წერეთელი თავის დროზე წერდა: „ქართველი ერი ზნეობის ბარომეტრია“. ქართულ წიგნში ჩანს ქართველი კაცის ეროვნული ენერჯია, მისი ინტელექტუალური სიძლიერე, დღეს, როდესაც ცხოვრების რიტმი ესოდენ აჩქარებულია, ქართულმა წიგნმა არ უნდა დაკარგოს ქართული სულის წვრთნის ჭეშმარიტი ფუნქცია. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში შეინიშნება წიგნის როლის დაკნინება, წერენ „კითხვის კრიზისის“ შესახებ, წერენ, რომ დამთავრდა დიდი რომანების კითხვის დრო. ქართული წიგნი თავის ადგილს ინარჩუნებს და ყოველთვის შეინარჩუნებს ბეჭდური და ელექტრონულ ნაკადების სტრუქტურაში.

21-ე საუკუნეში კიდევ

უფრო მაღლდება ქართული წიგნით ნათქვამი სიტყვის ძალა. ეს სიტყვა შეიძლება ნავიკითხვით ბეჭდური სახით, თუ ელექტრონული ფორმით, მისი არჩევანი და უპირატესობა მკითხველის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

ვლადპარაკობთ რა ქართულ წიგნის თავგადასავალზე, მის ადგილზე ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში, უადგილო არ იქნება ერთხელ კიდევ მივუბრუნდეთ გერონტი ქიქოძის მიერ საუკუნის წინათ დაწერილს: „დევების სისხლი, რომლითაც ქართუ-



ლი სტრიქონებია დაწერილი, ჩვენს მოდუნებულ ძარღვებს ზეადამიანურ ძალას შემატეებს“ (გაზ. „საქართველო“, 1916).

ქართული წიგნი წინ უნდა აღუდგეს ტელევიზიიდან უხვად გადმოფრქვეული მოდური სიტყვების კორიანტელს, რომლებიც ანაგვიანებენ ქართულ ენას.



თინათინ იოსავა

ნამყვანი სპეციალისტი

გაგეგების სახარული მწერალი

(ნიკო ლომოური – 160)

ნიკო ლომოურის მოღვაწეობა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესოა. იყო პოეტი, ბელეტრისტი, პედაგოგი. ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე. იგი იმ ქართველ მამულიშვილთაგანია, რომლებსაც ბავშვობიდანვე ნათლად ჰქონდათ გააზრებული თავიანთი დანიშნულება: – „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“.

ნ. ლომოური დაიბადა 1852 წლის 19 თებერვალს გორის მაზრის სოფელ არბოში, მღვდლის ოჯახში. ბავშვობისა და სიყრმის საუკეთესო წლები გლეხის თანატოლებთან გაატარა. ქართული წერა-კითხვა პატარა ნიკოს სოფლის დიაკვანმა შეასწავლა. ნიკოს მამა, იოსები, საკმაოდ განათლებული ყოფილა. მას კარგად ესმოდა სწავლის მნიშვნელობა და აუცილებლობა, ამიტომ ცდილობდა, რომ შვილისათვის სათანადო განათლება მიეცა, ნიკო შედარებით მოგვიანებით შევიდა სასწავლებელში. 1875 წელს 23 წლის ასაკში დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. იმ დროს სასწავლებელში საშინელი ატმოსფერო სუფევდა. სწავლა-აღზრდის იმდროინდელი რეჟიმი: განკეპვლა, დაზეპირების მოთხოვნა. მასწავლებლების უგულო დამოკიდებულება სულიერად აღარიბებდა და თრგუნავდა მოზარდ თაობას. მოსწავლეებს სასწავლებელი ჯოჯოხეთად ეჩვენებოდათ, სასულიერო სასწავლებლის წყვიდადი განათლებისა და კაცთმოყვარეობით ნათელმოსილმა იაკობ გოგებაშვილმა გაფანტა. იგი სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა და სწორედ იმ დროიდან იწყება ნიკო ლომოურის ბიოგრაფიის ბრწყინვალე ფურცლები.

სასულიერო სემინარიაში გოგებაშვილი დაუახლოვდა უფროსკლასელებს, მათ შორის ნიკო ლომოურსაც. გოგებაშვილმა იმთავითვე

შენიშნა ნიკო ლომოურის ნიჭი და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის განვითარებას. იაკობს არაერთხელ ნაუხალისებია თავისი მონაფე. აქებდა მის საბავშვო ლექსებს და მოთხრობებს, განსაკუთრებით მოსწონდა ლექსი „ყინვა და პატარა მონაფე“, რომელიც ზეპირადაც კი იცოდა. ნ. ლომოურს სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც არ მიუტოვებია გოგებაშვილთან მეგობრობა და მტკიცედ მიჰყვებოდა მის კვალს.



მას, როგორც მწერალს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ლიტერატურაში. ლიტერატურულ-შემოქმედებითი აზროვნება და მოღვაწეობა სემინარიაში სწავლის პერიოდიდანვე დაიწყო. ეს იყო 70-იანი წლები. იმ პერიოდში გამოდიოდა გაზეთი „დროება“ და მასში მისი რამდენიმე კორესპონდენცია დაიბეჭდა, რომელშიც ავტორი გლეხობას არწმუნებდა განათლების აუცილებლობაში.

ლიტერატურულ ასპარეზზე თავდაპირველად ლექსებით გამოვიდა. 1871 წელს ჭაბუკობის პერიოდში, „მნათობში“ ათავსებს ლექსს,

რომელშიაც აშკარად ჩანს მშრომელი კაცის ცხოვრების ჩარხის უკუბრუნვა, ხალხის გაჭირვება და პოეტის სურვილი, რაიმეთი უშველოს ხალხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ლომოურის ლექსი „ჩემს დედინაცვალს ქ.რ.-ს“. მშრომელი გლეხის მძიმე ხვედრის დახასიათებაა ლექსში „გლეხის შვილს“. 80-იან წლებში კიევში ყოფნისას დაწერა ლექსები: „სიმღერა“, „თავისუფალი ქვეყანა“, „აკრძალული ქვეყანა“, „ჩემს ვარსკვლავს“, „უკანასკნელი ბრძოლა“, „იმედს“, „დროებაში“ გამოქვეყნდა კორესპონდენციები სემინარიელის ფსევდონიმით. 1875 წელს ნიკო ლომოური უკვე ჩამოყალიბებული ხალხოსანია თავისი იდეებითა და მიმართულებებით. კიევის სასულიერო აკადემიაში

ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იქ ყოფნისას დაწერა მოთხრობა „ალი“, ლევან ცაველის ფსევდონიმით. მოთხრობა 1879 წლის „ივერიის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა. ამ ნაწარმოებს ილია ჭავჭავაძემ მაღალი შეფასება მისცა. ასევე იაკობ გოგებაშვილმა დიდად მოიწონა ის, . ამ გარემოებამ ნიკო ლომოურს საბოლოოდ გადააწყვეტინა, მოთხრობები ეწერა. კიევიდან გამოგზავნა ფელეტონი „ნმა მონასტრიდან“, რომელიც 1875 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა. მისი ფელეტონი ესტეტიკური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია. 1876 წელს „დროების“ იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ფელეტონი „ერთი გვიჩვენეთ“.

1879 წელს ლომოურმა დაამთავრა სასულიერო აკადემია საღვთისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით. 1879 წელს დაბრუნდა სამშობლოში და თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგედ მიიწვიეს, 70-იანი წლების მიწურულში საქართველოში სახალხო განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკა საკმაოდ მძვინვარებდა. ნიკო ლომოური ვერ შეეგუა ამ მდგომარეობას და შეეცადა სკოლისა და მოსწავლეთა ცხოვრების გაუმჯობესებას. მას ღრმად სწამდა, რომ აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელი იყო ურთიერთგაგება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, მას, როგორც პედაგოგს, სწამდა, რომ მოზარდის გონებრივი განათლება და ზნეობრივი აღზრდა ერთ მთლიან პედაგოგიურ პროცესს წარმოადგენს. ნიჭიერი პედაგოგი მთელი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში განუხრელად ემსახურებოდა ამ ჭეშმარიტი ცნების ცხოვრებაში გატარებას. მისმა მოღვაწეობამ სათავადაზნაურო სკოლაში წარუშლელი კვალი დატოვა მის მოსწავლეებში. მისი უშუალო მზრუნველობით გამოიზარდნენ შემდგომში ცნობილი მწერლები და პედაგოგები: თედო და ნიკო რაზიკაშვილები, შიო მღვიმელი, - ანასტასია ერისთავ-ხომტარია და სხვები. იგი მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა. ინტენსიურად შრომობდა ქართული მხატვრული სიტყვისა და პუბლიცისტიკის სფეროში. მისი ბელეტრისტული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა „დროებაში“, „მნათობში“, „ივერიაში“, „თეატრში“, „განათლებაში“, „მოამბეში“, „ნაკადულსა“ და სხვა პერიოდულ ორგანოებში. ქართული ლიტერატურის ძვირფას საუნჯეს ამშვენებს ნიკო ლომოურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთხრობა „ქაჯანა“. ეს მოთხრობა მო-

ზარდ თაობაში დღესაც განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს, „ქაჯანა“ 1881 წელს დაიბეჭდა საბავშვო კრებულ „წყაროს“ პირველ ნომერში. 1906 წელს საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ 3, 4 და 5 ნომერებში. „არბოელის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ნიკო ლომოურის მშვენიერი მოთხრობა „პანია მეგობრები“, ქართულმა საბავშვო ლიტერატურამ ამ ნაწარმოებით უდავოდ ფასდაუდებელი მარგალიტი შეიძინა.

ნიკო ლომოურის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოთხრობას „ყოველის მხრიდან“. იგი საყურადღებოა არა მხოლოდ იდეური თვალსაზრისით, არამედ სოფლის ბუნების სურათების მხატვრულად გადმოცემის მხრივაც, სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბუნების სურათების აღწერაში ხალხოსან მწერალთა შორის ნიკო ლომოურს ბადალი არა ჰყავს.

ქართველი ხალხოსნები და მათ შორის ნიკო ლომოურიც ეროვნული საკითხის მოგვარებას თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდნენ. საქართველოს წარსულს აიდილებს მოთხრობაში „ხერხი სჯობიან ლონესა“. იგი 1913 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში“: ზედიზედ იბეჭდება მოთხრობები: „ბერუა ქრისტესიაშვილი“, „ქრისტიანი ლეკები“, „ყოველის მხრიდან“, „წუთისოფელი“, „წინაპართა აჩრდილები“, „სამძიმარი“, „ალარა ეშველება რა“, „ბედი უბედურთა“... „გიგო ღრუბელაშვილი“, „ახირებული შემთხვევა“ და სხვ. ნიკო ლომოურს, ისე როგორც ეს ჩვენი თერგდალეულებისათვის იყო დამახასიათებელი, ღრმად სწამს, რომ თუ სამშობლოს დაცვის საქმეში ყველა კლასი და სოციალური ფენა გაერთიანდება, იგი ადვილად დასძლევს უბოროტეს მტერს, თუნდაც ეს მტერი რიცხვით სჭარბობდეს ქართველობას.

ნიკო ლომოურის სამწერლო ენამ სავსებით მართებულად დაიმსახურა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის მაღალი შეფასება. სოფრომ მგალობლიშვილი თავის „მოგონებებში“ წერდა: „რაც გამოვიდა მისი კალმიდან, ყველა მშვენიერისა და უებრო ქართულის ენითაა დაწერილი... იგი ნამდვილი ოსტატი იყო ქართულისა. როგორც ილია, ისე აკაკი ქართული სტილის მხრივ ლომოურს არავის ადარებდნენ. როგორც წერაში, ისე საუბარში ნამდვილი მოქართულე იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ნებისმიერი მწერლისა და მოღვაწის შეფასებისას თითოეული სიტყვა დიდი სიზუსტით ჰქონდა მოზომილ-ანონილი. ბრწყინვალე ორატორსა და მოქართულეს- ნიკო ლომოურს „ოქროპირს“

უნოდებდა“.

იმის მიუხედავად, რომ ნ. ლომოურს არა აქვს კონკრეტული ნაშრომები პედაგოგიკის სფეროში, მისი შემოქმედება საყურადღებო მასალას იძლევა პედაგოგიკის თეორიისათვის. „სამ-ნუხაროდ, პედაგოგის მოღვაწეობა არ სჩანს, რადგან ის არ იწერება. გარეგნულ კვალს არ ტოვებს. დიდებული პედაგოგი დიდებულია იმ დროს, როდესაც მოწაფეებთან აქვს საქმე, ის

ქმნის თავისი პიროვნებით, მოკვდა პიროვნე-ბა – გაქრა მისი დიდებაც“. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ნიკო ლომოურის, როგორც პედა-გოგის პიროვნება ბურუსში გაეხვია, მაგრამ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში მისი დამ-სახურება იმდენად დიდია, რომ, იგი დღემდე რჩება იმ ვარსკვლავად, რომელსაც არასდროს უტდია, შეეცვალა თავისი ორბიტა.

ნიკო ლომოურის თხზულებათა ძველი გამოცემები.

ალი: მოთხრობა; გამოც. მე-2. – თბ.: წერა-კითხვის გა-მავრცელებელი საზოგადოების გამომცემა, № 59, 1903. – 63 გვ.
ქაჯანა: მოთხრობა; გამოც. მე-4. – თბ.: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგ. გამოც. № 103. 1913. – 32 გვ.
წინაპართა აჩრდილნი: ისტორიული ამბავი. – გორი. 1914. – 40 გვ.
პანია მეგობრები. – თბ.: წერა-კითხვის გამავრც. სა-

ზოგ. გამოც. № 221. – თბ., 1920. – 40 გვ.
ბედი უბედურთა: მოთხრობა. – თბ., 1928. – 48 გვ.
გიგო ღრუბელაშვილი: მოთხრობა. – თბ., 1928. – 36 გვ.
ქრისტიანი ლეკები: მოთხრობა. – თბ., 1928. – 20 გვ.
მოთხრობები. – თბ., 1949. – 82 გვ.
მოთხრობები. – თბ., 1951. – 18 გვ.
მოთხრობები. – თბ.: ცოდნა, 1964. – 131 გვ.
პანია მეგობრები: მოთხრობა. – თბ., 1978. – 36 გვ.
ყინვა და პატარა მოწაფე. – თბ.: ნაკადული, 1979. – 19 გვ.

ნიკო ლომოურის თხზულებათა ახალი გამოცემები:

პანია მეგობრები: მოთხრობა – თბ., 1990. – 40 გვ.
მოთხრობები. თბ., 2008. 200 გვ.
მოთხრობები. თბ., 2010. – 2010. – 280 გვ.

რჩეული საბავშვო მოთხრობები: (ორ წიგნად). – თბ., 2011. – 280 გვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოცვაძე ი. ნიკო ლომოურის შემოქმედება. თბ., 1966. – 35 გვ.
მდივანი თ. ხალხოსნური მოძრაობა და ნიკო ლომო-

ური. – თბ., 1997. – 15 გვ.
მდივანი თ. პედაგოგი და მწერალი ნ. ლომოური. – თ., 2002, – 25 გვ.

კორესპონდენციები

ლია ნიჰარიშვილი

კასპის ბიბლიოთეკის სპეციალისტი

„ფხვი დამადგით, გულზე დამადგით ფხვი ყოველგან“...

ისურვა მეფე დავით აღმაშენებელმა და არც დაგვიტოვა უფლება არშესრულების. თუ ყო-ველთვის გელათის წმინდა მიწაზე ფხვის დად-გმით ვერ მივავებთ პატივს მეფის ხსოვნას, მ თებერვალი ხომ არის და იქნება უხილავი კავ-შირი მომავალ თაობასა და სახელოვან წინა-პარს შორის.

კასპის ბიბლიოთეკამ (დირ. ვ. ბესტავაშვილი) კიდევ ერთხელ გადაშალა „ქართლის ცხოვრე-ბა“ – „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“ და ტრადიციულად შეხვდა თებერვლის თვეს.

დიახ, ტრადიციულად, მაგრამ ღონისძიების განსხვავებული ფორმატით ბიბლიოთეკაში ჩა-ტარდა კვირეული თემაზე: „ფხვი დამადგით“... მონაწილეობა მიიღეს: კასპის № 1 (დირექტ. თ. აბულაძე, პედ.: მ. გალუსტაშვილი, ქ. კოპაძე). № 2 (დირექტ. ო. მახარაძე, პედ. მ. პეტრიაშვი-ლი), № 3 (დირექტ. მ. ქონიაშვილი, პედ. თ. ტა-

ტუნაშვილი), № 4 (დირექტ. ქ. ხითარძე, პედ. დ. სუხაშვილი) საჯარო სკოლების პედაგოგებ-მა და მოსწავლეებმა.

აღფრთოვანება გამოიწვია მოსწავლეთა ღრმა და საფუძვლიანმა ცოდნამ: დავით აღმაშენე-ბელი პოლიტიკოსი, რეფორმატორი, მეომარი; დიდგორის ბრძოლა, გელათი, შიო-მღვიმე, იყალთო, რუის-ურბნისი, დმანისი, ყვიჩაღები და სომხები, გიორგი ჭყონდიდელი და არსენ იყალთოელი, ნიკოფსი და დარუბანდი, დავით მწიგნობარი, პოეტი და ჰიმნოგრაფი, დავითის „გალობანი სინანულისანი“...

აი, ჩამონათვალი საკითხებისა, რომელთა შე-სახებ საუბრისას პატარა გულანთებული ქარ-თველები სიამაყით ხოტბას ასხამდნენ სახელო-ვან წინაპარს.

მოსწავლეებმა ბიბლიოთეკას სამახსოვროდ დაუტოვეს თავიანთი მოძიებული მასალები და

სურათები: გერბი, მონეტები, დროშა საწინამძღვრე, ხახულის ხატი, დიდგორის ბრძოლის ამსახველი სურათები და სხვა. საკუთარი ნახატი „დავითი და გელათი“ საჩუქრად გადასცა ბიბლიოთეკას № 2 საჯარო სკოლის მოსწავლემ თენა გოგიაშვილმა.

ბიბლიოგრაფმა მათა აბუაშვილმა მოსწავლეებს წარუდგინა და გააცნო იმ მრავალფერო-

ვან ლიტერატურულ წყაროთა ბიბლიოგრაფია, რომლითაც მათ შეეძლებათ კიდევ უფრო გაიმდიდრონ ცოდნა.

კასპის ბიბლიოთეკა და საჯარო სკოლები ურთიერთთანამშრომლობით კიდევ ბევრ საინტერესო და შემეცნებით ღონისძიებას გეგმავენ სამომავლოდ.

ანი ნაროზაშვილი

კასპის № 1 საჯარო სკოლის VIII^ბ კლასის მოსწავლე

საინტერესო გაკვეთილი

ამის წინ კასპის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა კასპის № 1 საჯარო სკოლის VIII^ბ კლასის მოსწავლეთათვის უჩვეულო გაკვეთილი თემაზე: „ხელოვნება და მედია“ (მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი).

რაიონულ გაზეთ „ახალი განთიადის“ ჟურნალისტი ქალბატონი რუსუდან ხეჩუაშვილი მოსწავლეებს საინტერესოდ ესაუბრა გაზეთის ისტორიაზე, გაზეთში განთავსებულ რუბრიკებზე, აღნიშნა, რა არის გრაფიკა და დღესაც რა დიდ როლს ასრულებს ის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

– ნაბეჭდი გრაფიკის კავშირი თანამედროვე ცხოვრებასთან, – თქვა მან, – განსაკუთრებით უწყობს ხელს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დარგის – ჟურნალ–გაზეთების განვითარებას. რა თქმა უნდა, აქვე ყურადღება გამახვილდა ჟურნალ–გაზეთების თემისათვის აუცილებელი ისეთი ელემენტების შექმნაზე, როგორცაა: შრიფტები, ორნამენტები, ნიშნები და სიმბოლოები.

ჟურნალისტიკა ამომწურავად გასცა პასუხები

მოსწავლეთა კითხვებს.

ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ლია ნიპარიშვილმა მოსწავლეებს ვიზუალურად უჩვენა ჟურნალ–გაზეთები: „ეპიზოდი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „სარკე“, „კარიბჭე“, „მინდა, ყველაფერი ვიცოდე“, „თბილისელები“, „24 საათი“, და სხვ.

შეხვედრაზე მოსწავლეებმა გააკეთეს დასკვნა, რომ გრაფიკული დიზაინის გარეშე ვერ იარსებებს ჟურნალ–გაზეთები და რომ რედაქციაში დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალურ მხატვრულ რედაქტორს.

მოსწავლეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ჟურნალისტს, რუსუდან ხეჩუაშვილსა და ბიბლიოთეკარ ლია ნიპარიშვილს საინტერესო საუბრისათვის და ასევე მიულოცეს გაზეთ „ახალ განთიადს“ 80 წლის იუბილეს.

VIII^ბ კლასის მოსწავლეები იმდენად დაინტერესდნენ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ გადანიშნეს საკუთარი ჟურნალის გამოცემა.

კლასში სულ გამოიცა სამი ჟურნალი „თოვლის გუნდა“, „ზამთარი“ და „ჩემი საქართველო“.

ინგა ფილაური

საბიბლიოთეკო კვირული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩაატარა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო 24 აპრილს გამართული პრეზენტაცია თემაზე: – „თანამედროვე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა“, რომელიც მიზნად ისახავდა, უნივერსიტეტის ფართო საზოგადოება გასცნობოდა იმას, თუ რა გაკეთდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით მათ ბიბლიოთეკაში, რა კეთ-

დება ამჟამად და რა იგეგმება მომავლისათვის. ყოველივე ეს, ფაქტობრივად, განხილულ იქნა თემატურად – ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები; სამეცნიერო ელექტრონული ბაზები; მომხმარებელთა სტატისტიკური მაჩვენებლების დამუშავება; ელექტრონული ბიბლიოთეკის შემადგენელი ტექსტური, ფოტო, ვიდეო და აუდიო საცავის ორგანიზაცია. ამ თემების საფუძველზე წარმოჩენილ იქნა ახალი სერვისი, რომელიც ინერგება, კერძოდ: ელექტრონულ

კატალოგში ძიების „ერთი ფანჯრის“ პრინციპი; ელექტრონული რესურსების პოპულარიზაციის მიზნით წარმოებული ელექტრონული წამკითხველებით სარგებლობის სერვისი და სხვა.

თავდაპირველად ბიბლიოთეკის დირექტორმა თეონა ყაველაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელზედაც არის მიმართული დაწესებულების საქმიანობა თანამედროვე ეტაპზე. მან, როგორც პრეზენტაციის წამყვანმა, მოკლედ განსაზღვრა ის საკითხები, რომელზედაც უნდა ყოფილიყო საუბარი პრეზენტაციის დროს, რის შემდეგაც მსმენელთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა მოწვეული სპეციალისტი, მკვლევარი თამუნა მოსიაშვილი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ამჟამად ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა წარმოადგენს. ბიბლიოთეკას აქვს სხვადასხვა ტიპის ელექტრონული რესურსები - კოლექციები, მდიდარი სამეცნიერო ბაზები, რომელთა წვდომასაც თავისი მომხმარებლისათვის რამდენიმე წელია ცდილობს ბიბლიოთეკა. აქ განთავსებულია ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული ციფრული მასალა და ასევე უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საინტერესო პროექტები. მომხსენებელი დანვრილებით შეეხო აუდიოსაცავს - ვიდეო რესურსებს, ფოტო არქივს, აგრეთვე ტექსტურ რესურსებსა და სა-

მიღწეული. მან განაცხადა, რომ სურს ყურადღება შეაჩეროს კვლევის რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ, იმ ცდებზე, რომელსაც ბიბლიოთეკა მიმართავს, რათა ახალი და აქტუალური ბაზები შესთავაზოს მომხმარებელს, თუმცა სრულადაც არ ხდება ძველი ბაზების უგულვებელყოფა. გრაფიკულად არის ნაჩვენები, რომ ყოველ მომდევნო წელს შენარჩუნებულია არსებული ბაზები. საერთო სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ 4 თვის განმავლობაში ადგილი აქვს ზრდის ტენდენციას. ამის მიზეზი შესაძლებელია ისიცაა, რომ ბიბლიოთეკას უნივერსიტეტის მიღმა არსებული ბაზების წვდომის საშუალებაც აქვს. აქ არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. ბიბლიოთეკა ღიაა ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

ირინა ალაპიშვილმა დადებითი შეფასება მისცა ბიბლიოთეკის საქმიანობას არსებული კრიტერიუმების მიხედვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია ახალი ბაზების შესყიდვა, რაც სხვადასხვა ეტაპების გავლით ხდება. აქვე ის ასახელებს ამ ეტაპებს და აცხადებს, რომ ზაფხულისთვის ბიბლიოთეკა გეგმავს ჩართოს ისეთი ძლიერი ბაზები, როგორცაა Wiley Blackwell და Proquest-ი. დასასრულ მომხსენებელი ასკვნის, რომ სწორედ ელრესურსების პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობს ე. წ. ელექტრონული წიგნებით სარგებლობის სერვისის დანერგვა, რისთვისაც ბიბლიოთეკას უკვე აქვს შეძენილი ერთი ნუკი და ერთი ქინდ-რიდერი. აღნიშნული სერვისი უნიკალური იქნება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მასშტაბით მთელ საქართველოში.

პრეზენტაციის პარალელურად გაიმართა რარიტეტული და უნიკალური წიგნების გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო XVI-XIX საუკუნეების სხვადასხვაენოვანი, სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემული ნაბეჭდი წიგნები და ორი ხელნაწერი. გამოფენის დათვალიერება შეიძლებოდა როგორც პრეზენტაციამდე,



მეცნიერო ბაზებს.

სიტყვით გამოსული მთავარი სპეციალისტი ირინე ალაპიშვილი თავის გამოსვლაში ძირითადად შეეხო იმ პროცესებს, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს არა მარტო შედეგები, არამედ მეთოდები, რომლითაც ეს შედეგებია

ისე მის შემდეგაც.

გამოფენილი იყო სულ 20 წიგნი, რაც მხოლოდ მცირე ნაწილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავისა. შერჩეულ იქნა განსაკუთრებით ძვირფასი ეგზემპლარები ქართულ, ფრანგულ, გერმანულ,

ბერძნულ, ლათინურ, რუსულ, სირიულ, არაბულ, ეთიოპურ ენებზე. ამათგან უძველესია (1590 წ.) ერთ ნიგნად შეკინძული ორტომეული – არისტოტელეს შრომების სრული კრებული ბერძნულ-ლათინურ ენებზე პარალელურად, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1845 წელს გამოქვეყნებული „კონსტანტინეპოლის პატრიარქის ფოტიოსის ისტორია“. ამ ნიგნში მოცემულია ცნობები VI საუკუნის მოღვაწის თეოფინე ბიზანტიელისა, რომლის ნაშრომმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ ვგებულობთ, რომ უცხოელ მკვლევართაგან პირველად მან ახსენა თბილისი საქართველოს დედაქალაქად. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე 1778 წელს გამოცემული პირველი ფრანგული ენციკლოპედია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ნიგნის შესახებ ქართულ ენაზე მოცემული იყო ანოტაცია, რომელიც შესრულებულია თვით ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ. ეს მასალა განთავსებულია ილიას უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ ეს ფონდი უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც აღნიშნული უნივერსიტეტის თანამშრომლები, ისე სპეციალურად მოწვეული სტუმრები – დარგის სპეციალისტები, კოლეგები, პედაგოგები. ღონისძიებას ესწრებოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, რექტორი პროფ. გიგი თევზაძე.

აღნიშნული ბიბლიოთეკა დღეს აღმავლობის პროცესშია. განახლებული კადრი და მისი ხელმძღვანელობა აქტიურად მოქმედებს ბიბლიოთეკის საქმის გასაუმჯობესებლად. სადავო



არაა, რომ ბიბლიოთეკას ურთულესი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. ჩატარებულმა გარდაქმნებმა, ბიბლიოთეკების შეერთებამ, ახალი ფართობების შემომატებამ და სხვა პრობლემებმა მოითხოვეს უდიდესი სამუშაოების ჩატარება, რაც კარგად აქვს გააზრებული თანამედროვე ხელმძღვანელობას და იმედია, კიდევ მრავალი მიღწევის მომსწრენი გავხდებით უახლოეს მომავალში.

ნიმო მახანაშვილი

მაღალი თანამედროვე სტანდარტით

23 აპრილს ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მოენყო ძირითად კორპუსში ახალი ბიბლიოთეკის გახსნის აქცია. იგი სამ მნიშვნელოვან თარიღს დაემთხვა; ნიგნის საერთაშორისო დღეს, საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნასა და ივანე ჯავახიშვილის დღეებს.

ბიბლიოთეკას დიდი ტერიტორია აქვს დათმობილი, სადაც ერთ დროს უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის ძირითადი საცავი იყო განთავსებული. ფართობმა საგრძნობლად

შესამჩნევი რეკონსტრუქცია განიცადა, გაუკეთდა თანამედროვე სტილის რემონტი, აღიჭურვა უახლესი ავეჯითა და მოწყობილობით, ახალი ტექნოლოგიური ხელსაწყოებითა და აპარატურით, თაროები შეივსო ახალი ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე სხვადასხვა ენაზე. კონსტრუქციული თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა ნამდვილად სანიმუშოა – ორი უზარმაზარი დარბაზი, კაბინეტები, გათვალისწინებულია სერვისის ყველა ელემენტი, მწყობრშია

დარბაზი ინდივიდუალური კომპიუტერებით.

ბიბლიოთეკის დაპროექტების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს უცხოელმა არქიტექტორებმა, ასევე დიდად იზრუნა ამ ბიბლიოთეკის ტექნიკურად უზრუნველყოფისათვის საზოგადოება „ქართუმ“, ყველა თანამშრომელი მუხლჩაუხრელად მუშაობდა, რომ ბიბლიოთეკა დროულად მომზადებულიყო მკითხველთა მისაღებად.

გახსნის ცერემონიაზე მოწვეული იყო მრავალი სტუმარი – უწყების ხელმძღვანელები, პედაგოგები, მეცნიერები, ბიბლიოთეკარები, გამომცემლები, წიგნმცოდნეები, სტუდენტები, ბიბლიოთეკის ძველი მუშაკები და საზოგადოებების წარმომადგენლები, რომლებმაც გარკვეული დახმარება აღმოუჩინეს უნივერსიტეტს ასეთი მშენებელი ბიბლიოთეკის შექმნაში.

საზეიმო აქცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. დ. კვიციანიშვილმა. მან თავის შესავალ სიტყვაშივე გააცნო საზოგადოებას, თუ როგორ, რა დიდი შრომის ფასად შეიქმნა ფაქტობრივად სრულიად ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც თანამედროვე ტიპის ევროპულ ბიბლიოთეკებს არაფრით ჩამოუვარდება. აღნიშნა ის ორგანიზაციები, თანამშრომლები, რომლებმაც იღვანეს ამ ბიბლიოთეკის შესაქმნელად, ის პირები, რომლებმაც თავიანთი საოჯახო ბიბლიოთეკები და ცალკეული წიგნები გადასცეს საჩუქრად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

საზოგადოება დიდი მოწონებით შეხვდა რექტორის განცხადებას, რომ ბიბლიოთეკას დიდი რუსთაველის სახელი მიენიჭა.

სტუმართა შორის იმყოფებოდა მანანა მესხია, რომელმაც მეგვიდრეობით მიღებული პროფესორ შ. მესხიას საოჯახო კოლექცია გადასცა ბიბლიოთეკას, ასევე საჩუქრად მიიღო უნივერსიტეტმა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის პირადი კოლექციის ერთი ნაწილი.

სიტყვით გამოვიდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ნ. სურგულაძე, რომელმაც მიულოცა მთელ საზოგადოებას ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი და აღნიშნა, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს იმ გარდაქმნათა ფონზე, რომელიც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარეობს.

სიტყვით გამოვიდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თ. გამყრელიძე, როგორც მან განაცხადა, რაც ახლა ხდება; ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელიც მაგალითად უნდა დაედოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობას ბიბლიოთეკების მიმართ.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა დ.

თვალთვადემ საზგასმით აღნიშნა, რა დიდ დახმარებას იღებენ სტუდენტები ბიბლიოთეკისაგან როგორც წიგნებით, ისე კომპიუტერული მომსახურების სახით. ახალი ბიბლიოთეკა კიდევ უფრო მეტ დახმარებას აღმოუჩინს მათ და უნივერსიტეტის პროფესურას.

უნივერსიტეტს ახალი ბიბლიოთეკის გახსნა მიულოცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გ. კეკელიძემ, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ყოველივე ეს კიდევ უფრო გაზრდის ინტეგრაციას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ეროვნულ ბიბლიოთეკებს შორის ერთიანი ელექტრონულ სურსების გამოყენების საქმეში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზ. გაიპარაშვილმა დიდი მადლიერების გრძნობა გამოხატა განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ იმ ზრუნვისათვის, რომელიც მათ ესოდენ დიდი ეროვნული საქმისათვის გახსნიეს.

საყურადღებო იყო აკად. ანდრია აფაქიძის შვილიშვილის გულწრფელი გამოსვლა, რომლითაც ის აღიარებდა, რომ ბატონ ანდრიას სიცოცხლეშივე ჰქონდა სურვილი, თავისი წიგნების კოლექცია რომელიმე ბიბლიოთეკისათვის დაეთმო.

თავის შთაბეჭდილებებზე საინტერესოდ ილაპარაკა პროფ. მ. შანიძემ. მან გაიხსენა, ჯერ კიდევ 5 წლის გოგონა რომ მიყავდა მამას – აკად. აკ. შანიძეს უნივერსიტეტის ძველ ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში, რომლის დირექტორადაც ბატონი აკაკი მუშაობდა. ქალბატონი მზექალა მას შემდეგ სარგებლობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით და მასთან ურთიერთობა დღემდე არ შეუწყვეტია. იგი მოწმეა ამ ბიბლიოთეკის განვითარებისა და აღმავლობის.

პროფ. მარია ლორთქიფანიძემ გაიხსენა ის ადამიანები, ცნობილი სახეები, რომლებიც ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ. მრავალმა მათგანმა მისი ფონდებისა და ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის გამოყენებით დაიცვა დისერტაცია და მრავალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი შექმნა.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა სტუდენტი თამარ ხუციშვილი. მისთვის და მისი ამხანაგებისათვის ეს უდიდესი საჩუქარია, რაც ხელს შეეწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და სიახლეთა დანერგვას სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში.

დასასრულ, უნივერსიტეტის რექტორმა პროფ; დ. კვიციანიშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს ამ შესანიშნავ აქციაში მონაწილეობისათვის. დამსწრე საზოგადოება აღფ-

როგანებით ათვალერებდა ახალ ბიბლიოთეკას, ეცნობოდა წიგნის ფონდებს, გამოფენებს, სტენდებს; უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს. საერთოდ, შეიძლება ითქვას,

რომ საქართველოში ჯერჯერობით უკეთესი საბიბლიოთეკო შენობა, თავისი სათავსოებით, ავეჯით, აღჭურვილობით და მომსახურების პირობებით არ არსებობს.

ალექსანდრე ლორია

წიგნის ასწლოვანი გააპრცალებელი

საქართველოში წიგნის ორგანიზებულად მონესრიგებული გავრცელება სპეციალური მაღაზიების მეშვეობით მხოლოდ XIX საუკ. 40-იანი წლებიდან იწყება. მანამდე, და შემდეგაც დიდხანს, წიგნები სხვა საქონელთან ერთად სალდებოდა სავაჭროებსა, დუქნებსა თუ ხელზე მოვაჭრეების მიერ. უპირველეს ცდას წიგნების ევროპული წესრიგის მიხედვით გასაღებისა, განხორციელდა 1846 წელს ფრანგი მწიგნობრისა და კომერსანტის პელტიეს მიერ, როცა მან თბილისში წიგნის მაღაზია და სამკითხველო კაბინეტი გახსნა. აქ შეიძლებოდა როგორც წიგნების შეძენა, ისე მათი მხოლოდ წაკითხვა.

ამ პერიოდში თბილისის განათლებულ მოქალაქეებში უკვე სავსებით მომწიფებული იყო მოთხოვნილება წიგნის სავაჭროებისა, ისევე, როგორც ბიბლიოთეკებისა. თანდათან მთელ საქართველოში მრავლდება ასეთი სავაჭროები, მაგრამ, ცხადია, უმეტესად დედაქალაქში. პელტიეს მიზაძვით აამოქმედა თავისი წიგნის

მაღაზია თბილისელმა მოქალაქემ ტერ-მიქელიანმა.

მიუხედავად სახელმწიფოსაგან დიდი შეზღუდვებისა, 70-90-იანი წლები მაინც აღინიშნა წიგნის საქმის მკვეთრად ამაღლებით. ჯერ კიდევ მანამდე გასწილი ალადატოვის წიგნის მაღაზია-ბიბლიოთეკა დიდხანს მუშაობდა საკმაოდ წარმატებულად; შემდეგ გამოჩნდა ფონვანხმანის ასეთივე ტიპის დაწესებულება; გარდა ამისა, რამდენიმე წიგნის სავაჭრო მოქმედებდა საკითხავი კაბინეტის გარეშე - გრიქულოვის, ვართანოვის, კალანდაძისა და ამხანაგობისა.

მაღაზიები და მაღაზია-საკითხავი კაბინეტები მე-19 საუკ. მიწურულს სხვა ქალაქებშიც იხსნება - ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა ქუთაისში, რომელიც შემდეგში თავის მაღაზიას შეუერთა ვაჭარმა ა. ჭყონიამ; ოზურგეთში - ლ. აბაშიძის წიგნის მაღაზია; მაღაზიები იხსნება სიღნაღში - მაჭავარიანისა და ამხანაგობის, ახალ-სენაკში - ლ. აბაშიძის, აგრეთვე



ალ. არაბიძისა; ლანჩხუთში შ. ცინცაძის სავაჭრო პავილიონში ცალკე იყო მიწყობილი წიგნის მაღაზია; ფოთში არსებობდა ძმები ნოდების მაღაზია და სხვ.

მე-20 საუკ. დასაწყისში ბიბლიოთეკების ქსელის ზრდასთან ერთად იზრდება წიგნსავაჭროთა რაოდენობა.

წიგნის მაღაზია, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ამ პერიოდში დიდ როლს ასრულებდა. ის ერთგვარ სტიმულს იძლეოდა წიგნიერების გავრცელებისათვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო და ამჟამადაც მნიშვნელოვანია. ამიტომაც განათლებული საზოგადოება, მთელი ინტელიგენცია, საზოგადო მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ქალაქებსა თუ პროვინციებში წიგნის მაღაზიების გამრავლებას, წიგნით ვაჭრობის კულტურის დანერგვას. ამ თვალსაზრისით, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი განათლებული საზოგადოების, მთელი ხალხის მონინავე ნაწილის ყურადღება მიქცეული იყო საქართველოსთან ახლად შემოერთებული აჭარისა და ბათუმის მიმართ.

1897 წლის № 416 „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთი წერილის მიხედვით, ამ პერიოდში ბათუმში 2 წიგნის მაღაზია ყოფილა, მაგრამ არც ერთი ბიბლიოთეკა. ცხადია, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ მაღაზიებს. სამწუხაროდ, ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე პირველწყარო, რომელიც წარმოდგენას მოგვცემს მათი მუშაობის შესახებ – სად იყო მათი ადგილსამყოფელი, ვინ და როგორ განაგებდა მათ და ა.შ.

ცნობილი გახდა, რომ გასული საუკუნის 900-იანი წლების დასაწყისში ბათუმი ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, პრესტიჟული შენობის პირველ სართულზე გაიხსნა საკმაოდ დიდი და კეთილმოწყობილი წიგნის მაღაზია, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და ახლა უკვე ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსშესანიშნობას წარმოადგენს.

ამჟამად ზ. გამსახურდიასა და გ. აბაშიძის ქუჩების კვეთაზე, ყოფილი ბანკის შენობის პირველ სართულზე წიგნის მოყვარულთათვის ფართოდაა ღია ერთ-ერთი უდიდესი წიგნის მაღაზიის კარები. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ე.წ. „აჭარწიგნის“ მაღაზია მხოლოდ სავაჭრო ორგანიზაციაა. წიგნებთან ერთად, აქ მრავალი თანამედროვე საკანცელარიო ნივთი იყიდება, მაგრამ მთავარია, რომ აქ შესულ მომხმარებელს თვალწინ გადაეშლება უახლესი ბექდური პროდუქცია, რომელიც თვალს იტაცებს. უზარმაზარი დარბაზი ორ ნაწილადაა გაყოფილი,

წიგნები განლაგებულია ძველებურ, კარგად შენახულ ანტიკვარულ თაროებზე; გიბლავს აქაური გარემო – წიგნების გამოფენების, მწერალთა პორტრეტები, მხატვრული სტენდები და პლაკატები; ყურადღებას იპყრობს შუშის ვიტრინები, რომლებშიც უახლესი გამოცემები აწყვია. გამვლელი გულგრილად გვერდს ვერ აუვლის აქაურობას; შეხვალ და გულს გაგინათებს იქაური ფიზიკური გარემო – ავეჯი, უზადო სისუფთავე და გრილი ჰაერი, მომდიმარი და თავაზიანი მოსამსახურე პერსონალი.

შეიძლება ითქვას, რომ აქაურობას წიგნსავაჭროს ფუნქციები სულაც რომ არ ჰქონდეს, წიგნის მუზეუმის ნაცვლად მშვენივრად გამოდგება. აქ შემოსულმა მომხმარებელმა წიგნი რომ არ შეიძინოს, წიგნიერ გარემოში ყოფნითაც ერთგვარ ესთეტიურ სიამოვნებას იგრძნობს, ღებულობს შეუზღუდველ ინფორმაციას, ეცნობა ახალ ავტორებს, ისმენს თანამოქალაქეთა მოსაზრებებს; მოსამსახურე პერსონალთან ურთიერთობით ბევრ სიახლეს ეცნობა, ღებულობს მათგან რეკომენდაციებს, რჩევებს, წინადადებებს. ყოველივე ეს წიგნიერების გავრცელებისა და პოპულარიზაციის უდიდესი საშუალებაა. ეს მაღაზია, ჩემი ღრმა რწმენით, ერთგვარ სალონს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ხელშეწყობა და განვითარება სჭირდება. აქ შეიძლება ჩატარდეს წიგნის ზეიმები, ახალი წიგნებისა და უცნობი ავტორების წარდგენა (პრეზენტაცია), წიგნის გამფორმებლებსა და ილუსტრატორებთან, გამომცემლებთან შეხვედრები და ა.შ.

ხსენებულ მაღაზიაში მომუშავე პერსონალი დახვეწილი პროფესიონალებისაგან შედგება. ეს უდავოდ დიდი დამსახურებაა ხელმძღვანელობის, კერძოდ, მენეჯერის, ბათუმელი მკვიდრის – ეთერ აიაოზბასის. მასთან საუბარი და ურთიერთობა ხელს უწყობს ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებას, არსებული წიგნადი ფონდების დეტალურად გაცნობას. მას მხარში უდგანან ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი კონსულტანტები – მაია მდინარაძე და გულთამაზე სურმანიძე. სააქციო საზოგადოება, რომელსაც ეკუთვნის ეს მაღაზია, როგორც ჩანს, მაღალორგანიზებულად მართავს მას, მაგრამ ვერ ვიტყვით, ასეთი ღირსეული, გულდაგულ, უანგაროდ მომუშავე თანამშრომლების პრობლემის ანაზღაურება ადეკვატური იყოს.

მკვიდრი ბათუმელებისათვის ეს ადგილი ყოველთვის გამორჩეული იყო. ვის არ ნახავდით აქ – პატარა ბავშვებს მშობლებთან ერთად, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, პენსიონე-



რებს, მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებს, ადგილობრივებსა თუ სტუმრად ჩამოსულებს.

ამიტომაც მეტად შემაშფოთებელი იყო ყველას მოლოდინი, რომ მთელი შენობის რეკონსტრუქციის დროს შეიძლებოდა გაუქმებულიყო ეს წიგნების ასნლოვანი მალაზია, რომელსაც

ამ შენობის პირველი სართულის ერთი დიდი ნაწილი აქვს დათმობილი.

ჯერჯერობით შიში არ გამართლდა და ხალხს იმედი ჩაესახა, რომ ბათუმს კვლავ დაამშვენებს ეს შესანიშნავი წიგნის მალაზია, რომელიც სანინდარია ქალაქში წიგნიერი გარემოს შენარჩუნებისა.

ანა ერისთავი

ონის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

სიყვარული გზად და სიღად

„ცრემლიანი თვალებით, დაკოჭრილი ხელებით, გამზრდელ მხარეს ტოვებენ, გამრჯე ვერაფლები,

თუმცა ამ განშორებით ტკივილები დიდია, მაინც აღთქმულ მხარეში მიდიან და მიდიან... თამაზ კერვალიშვილი

ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს ქართველ და ებრაელ ხალხს. ჩუქურთმასავით ამოჭრილია საქართველოს ისტორიაში მათი ურთიერთობა, სიყვარულისა და პატივისცემის, ერთგულების დიადი გრძნობა. ონის ქუჩებს მათი ნატერფალები ამჩნევია, რა ელფერი, რა ლაზათი ჰქონდა, მათთან ურთიერთობას, მეგობრობას: ძუძუმტეებიც იყვნენ და დობილ-ძმობილებიც, ეს ბრძენი, უღალატო ხალხი შრომობდა, აშენებდა და ამშვენებდა საქართველოს, ქართველების მხარდამხარ, ჭირიც და ლხინიც ზიარი გვქონდა. ქართველებისა და ებრაელების მეგობრობა უნიკალური მაგალითია კაცობრიობის ისტორიაში.

არ მეგულება რაჭველი კაცი, რომელსაც აქედან ისრაელში წასული მეგობრები არ ენატრებოდეს. ლამაზი და მეგობრული ქალაქია ონი – მზის ქალაქად წოდებული. განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ელის აქედან წასულ შვილებს ქალაქი, თითოეული ონელი თვალყურს ადევნებს, თუ რომელი სახლის ბოქლომდადებული ჭიშკარი გაიღება, ვისი ეზო ახმაურდება. გვინდა, რომ ერთმანეთი არ დავკარგოთ და მომავალმა თაობებმა შეიგრძნონ და შეიმეცნონ ამ ორი დიდებული ერის მეგობრობისა და სიყვარულის მარადიული გრძნობა. მრავალი

ებრაელი მეგობარი, მეზობელი, თანაკლასელი, თანამშრომელი მყავს, მიიღა მშვიდობიანი ცხოვრება ვუსურვო მათ.



ონის კულტურულ ცხოვრებას მრავალი ადამიანი ქმნიდა, განსაკუთრებით საბიბლიოთეკო დარგს. აქ დასაქმებული თანამშრომლები არა მარტო გარეგნული მშვენიერებით იყვნენ გამორჩეულნი, არამედ სულიერი მშვენიერებით შემკობილნი სინაზესა და სიკეთეს ასხივებდნენ. ვისაც მაშინდელი სარაიონო ბიბლიოთეკის კარები შეუღია, წარუშლელი შთაბეჭდილების ქვეშ ექცეოდა, აქ მკითხველს ხვდებოდა მშვიდი, მეგობრული გარემო. წიგნიერ ადამიანთა ოაზისს წარმოადგენდა მაშინდელი ბიბლიოთეკა გამორჩეული მასობრივი ღონისძიებებითა და აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით.

ქალბატონი თინათინ ბუზუკაშვილი ორმოცი წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურა საბიბლიოთეკო საქმეს, ჯერ მოზრდილ მკითხველთა შორის მუშაობდა, შემდეგ – ბავშვების საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმეს, დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც რაიონის, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონდეს ადამიანს თავისი პროფესიისადმი, თავისი კოლეგებისადმი, რომ ისრაელიდან ჩამოსვლისთანა-

ვე, ფეხი დაადგა თუ არა ონის მინას, მაშინვე ბიბლიოთეკას მიაშუროს და ყველას მოეფეროს, სიტბო და სიყვარული გაუნანილოს. საქართველოსთან განშორებამ კიდევ უფრო გაუმძაფრა მშობლიური კუთხის სიყვარული, თავისი კოპნია სახლი ვერ გაიმეტა გასაყიდად, რათა არ მონყვეტოდა საქართველოს ფესვებს, რომელსაც უკვდავების წყაროს უწოდებს. სიზმარშიც საქართველოს ვხედავო – პირად საუბარში ბრძანა. ცრემლიანი თვალებით მოიგონა თავისი უმცროსი მეგობარი ზეინაბ ჯაფარიძე, უდროოდ იმ ქვეყნად გარდასული კოლეგები: ქსენია ჯელაძე, თინათინ კერესელიძე, ნუნუ გიორგობიანი, რიუზან კალმახელიძე, ციალა ჩიკვილაძე, ჟენია მეტრეველი, ლუსია ბერუჩივი, საშა გოგლიძე, რომელიც ისრაელში ჩავიდა და ხელისგულზე ატარეს ქართველმა ებრაელებმა, მადლიერმა მკითხველებმა.

ღვთისმოსაობითა და სიყვარულით ზრდიდნენ თინათინს მშობლები, რაბინი იონა ცნობილი იყო გამორჩეული სიბრძნითა და გონიერებით. ის გზას უკვალავდა და სიკეთით მოძღვრავდა როგორც ჯამაათს, ისე თავის შვილებს. ამიტომაც შეიქნა თინათინი ახალგაზრდა თაობის დამრიგებლად და კეთილ მრჩეველად.

მისაბაძი იყო და არის მისი სიღინჯე, მოთმინება, მიმტევებლობა. მას არასოდეს არ ჰქონია ვინმესთან დაპირისპირება, კონფლიქტი. როგორ აკადრებდა უკმეხ სიტყვას მოყვასს. როგორი დიასახლისია, როგორი დედა, როგორი ბრძენი და მშრომელი, წიგნის დიდი მცოდნე და დამფასებელი. მის ოჯახში აქაც – ონში და იქაც – ისრაელში გრძელდება ოჯახური ტრადიცია სტუმარ-მასპინძლობისა. მუდამ შეუმცდარია სვლა ცხოვრების გზაზე, სადაც ათასი ცოდვა და განსაცდელია, იმ ადამიანისა, ვინც რწმენაში ძლიერია, ვინც სიყვარულში ძლიერია. რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაკთა სემინარული მეცადინეობის ის საპატიო სტუმრის სტატუსით მივიწვიეთ. ქალბატონი თინათინი სასურველი სტუმარია, მას ხომ ძალიან დიდი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება გააჩნია. შეხვედრაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა მოგონება და ლექსი საქართველოსა და ისრაელზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე და ერთგულებაზე, რამაც უნდა გადაარჩინოს სამყარო და ადამიანებს გზა გაუნათოს.

ბიბლიოთეკარებმა თინათინს საჩუქრად საბავშვო წიგნი შეურჩიეს, მას ხომ დიდი წვლილი მიუძღვის მომავალი თაობის აღზრდაში,

მეგობრობაზე საუბარი გვიანამდე გაგრძელდა. შთამომავლობა არ ივინყებს ადამიანებს, რომლებიც კეთილ კვალს სტოვებენ ნუთისოფლის გზაზე. დაფასება ძველი თაობისა კი ისევ ჩვენ გვზრდის და გვამაღლებს სულიერად.

გზა დავულოცეთ ქ-ნ თინათინს, ვუსურვეთ მშვიდობა, სიკეთე და ჯანმრთელობა, რათა ხშირად ეწვიოს მშობლიურ ქალაქს, მოეფეროს და დაუნთოს მეგობრობისა და სიყვარულის სანთლები, ისაგზალოს ქართველების სიყვარული და თანადგომა.

მადლობა თინათინს, რომ ასე უყვარს ჩვენი კუთხე. ვერ შელევია და ისრაელში გამართულ კულტურულ ღონისძიებებზე: იუბილევებსა და პრეზენტაციებზე თავის კეთილ სიტყვას ამბობს საქართველოზე და ქართველებზე, კერძოდ, პატარა ქალაქ ონზე, რომ აღუძრას სურვილი უცხოელებს, მისი მონახულებისა და გაცნობისა.

გამორჩეული სიტბოთი იხსენებს კულტურის განყოფილების გამგეს, ბატონ შალვა ჯაფარიძეს, რომლის ხელმძღვანელობაზე დღესაც ლაპარაკობს ხალხი.

თინათინს არ რჩება ყურადღების მიღმა საქართველოში გამოსული ჟურნალ-გაზეთები. განსაკუთრებით ჟურნალი „რაჭველები“, რაჭველებს დაგვიბარა: – ის რა რაჭველია, რაჭველების ჟურნალს არ კითხულობსო, (არ შეიძლება, არ დაეთანხმო). საშვილიშვილო საქმეს აკეთებსო მისი რედაქტორი ქალბატონი ნინო რეხვიაშვილი, ისრაელში რომ მივიღო ეს ჟურნალი, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

მეტად საჭირო იყო და დროულიც რომ ბიბლიოთეკამ თავის მუშაობაში ყურადღება დაუთმო საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასულ ჩვენი მოქალაქეების მოღვაწეობას, საჭიროა მეგობრობის ხიდი გავდოთ ერებს შორის, ავსახოთ როგორც ფოტომასალებით, ისე ბიბლიოგრაფიულ დოკუმენტებში. ჩვენი კუთხიდან წასული ადამიანები ხომ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევიან მთელ მსოფლიოში, ბიბლიოთეკას, როგორც ინფორმაციის წყაროს, მხედველობიდან არავინ არ უნდა გამორჩეს და შთამომავლობას შემოუნახოს მათი სახელები და სახეები.

თინათინის სტუმრობა ბიბლიოთეკაში ფოტომასალების გამოფენით აღინიშნება.

ასე რომ, სემინარულ მეცადინეობაში დანერგილი სიახლე „მონვეული სტუმარი“ მეგობრობისა და სიყვარულის ჰიმნად იქცევა.

საჯარო სკოლებთან თანამშრომლობის ნიშნით



საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული მიმდინარე წელს მეთედ ჩატარდა. მოსამზადებელი სამუშაოები შეასრულა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის მთავარ საქალაქო ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობით; კვირეულის გახსნამდე დაიბეჭდა ორი სახის პლაკატი დევიზით: „იპოვე შენი მომავალი ბიბლიოთეკაში“, კვირეული გაიხსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 23 აპრილს – წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს. ამავე დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიისა და სამოქალაქო განათლების სამკითხველო დარბაზებში მკითხველებს ემსახურებოდნენ ლიტერატურული კონკურსის „საბას“ პრემიის ლაურეატები: გ. ალხაზიშვილი, დ. ანფიმიადი, თ. დოლენჯაშვილი, ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გ. კეკელიძე, ბ. ხვედელიძე და სხვები. ეს იყო ეროვნული ბიბლიოთეკისა და

პრემია „საბას“ დამფუძნებლის, თიბისი ბანკის ერთობლივი აქცია. კვირეულთან დაკავშირებით აქვე, საგამოფენო დარბაზში მოეწყო ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემების გამოფენა. იმავე დღეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნ. რურუამ წიგნების მაღაზიებს საჩუქრად გადასცა სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნები, რომელთა შეძენა მკითხველებს შეუძლიათ შედარებით დაბალ ფასებში.

კვირეულის გახსნასთან დაკავშირებით პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ბიბლიოთეკის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გამომცემლობების ელექტრონული რესურსები, მონაცემთა ბაზები, ელექტრონული კატალოგები და სხვ.

საქართველოს ეროვნულ-სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 26 აპრილის კვირეულთან დაკავშირებით გაიმართა აშ-ს საელჩოს საინფორმაციო რესურსების რეგიონალური კურატორის.




ა.ბჰატნაგარის მოხსენება „ბიბლიოთეკების ახალი როლი – საზოგადოებრივი ცენტრები“.

როგორც წინა წლებში, მიმდინარე წლის კვირეულის პროგრამები დატვირთული იყო შინაარსიანი ღონისძიებებით: ეს იყო შეხვედრები, დიალოგი, წიგნების წარდგენა, მხატვრული კითხვა, ვინ უკეთესად იცნობს კლასიკოსებს და სხვ. სახის მასობრივი ღონისძიებები. მიმდინარე წლის კვირეული მაინც გამორჩეული იყო საჯარო ბიბლიოთეკების და საჯარო სკოლების სამაგალითო, საქმიანი ურთიერთობებით. ეს იყო ნიშანდობლივი მახასიათებელი თითოეული ღონისძიებისა. ნათლად გამოიკვეთა მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი მიდგომა ქართული ლიტერატურისა და კულტურისადმი. ღონისძიებას ამშვენებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ შესრულებული მხატვრული ნომრები, ქართველ კლასიკოსთა ლექსების ხმამაღალი კითხვა, სცენები საბავშვო ნაწარმოებებიდან, საკუთარი მხატვრული ნიმუშების წარდგენა და სხვ. თითოეულ ამ ღონისძიებაში ნათლად ჩანდა სკოლის პედაგოგების, ბიბლიოთეკარებისა და მშობლების ერთობლივი ძალისხმევა. ამ

მხრივ უნდა აღინიშნოს ქ. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე) ჩატარებული ნაირფეროვანი, ღრმა შინაარსიანი, წიგნთან და ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ღონისძიებები. თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში კვირეულის პროგრამით გაიმართა პოეტის ზურაბ მამულაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. საღამოს უძღვებოდა ლიტერატურული სალონი „საგულისონის“ ხელმძღვანელი ცისანა ქორჩიაშვილი. პოეტის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ო. ფალიანმა, ჯ. შუქიაურმა, ი. ტაოხმა, გ. მოსიაშვილმა, შ. ტოგონიძემ, გ. სიხარულიძემ, მსახიობებმა ი. ვეფხვაძემ და ჯ. მელქაძემ. აქვე შედგა პოეტის ბოლოდროინდელი კრებულის წარდგენა. ამავე სალონის წევრები ეწვივნენ გალაკტიონ ტაბიძის ბინა-მუზეუმს. შეხვედრას მასპინძლობდნენ აკადემიკოსი ნოდარ ტაბიძე და პოეტი ვახტანგ ჯავახიძე. დიდ პოეტს საკუთარი ლექსები უძღვნეს ლ. ასპირიანმა და ლ. თოთაძემ. საღამოს უძღვებოდნენ მუზეუმის დირექტორი ნატო გაბისონია და ლიტერატურული საღამოს ხელმძღვანელი ცისანა ქორჩიაშვილი. შეხვედრას ესწრებოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რეზო მიშველაძე. კვირეულის დღეებში ასევე მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა ფოლკლორის საღამო „ნანა, შვილო, ნანინა“. საღამოზე წარადგინეს კრებული „აკვნის ნანა“. საღამოს სტუმარი იყო კრებულის ავტორ-შემდგენელი ნ. კალანდაძე-მახარაძისა.

კვირეულის მომდევნო დღეებში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრის დარბაზში გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური წარმოდგენა „ჩვენი ოტია“. საღამო მიჰყავდა ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებულ ლიტერატურული თეატრის ხელმ-





ძღვანელს, იზა ვეფხვაძეს. ამავე თემატიკით ლიტერატურულ-მუსიკალური წარმოდგენა გაიმართა ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაშიც. კვირეული დაიხურა 30 აპრილს. ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღვანლმოსილი ბიბლიოთეკარების დაჯილდოვება. მათ გადაეცათ საპატიო სიგელები, დიპლომები, მედლები და პრემიები.

თბილისის მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. ნიკურაძე) კვირეულის პირველ დღეს გაიმართა „ერთი ლექსის ფესტივალი“, ლექსები წაიკითხეს თ. ჩალაბაშვილმა, ჯ. ლებელმა, ზ. მამულაშვილმა, შ. ტოგონიძემ, ე. აფაქიძემ, ახალგაზრდა ავტორებმა: ა. ასპირიანმა, ლ. თოთაძემ, ა. ჯავახიამ და სხვ. ხალხმრავლობით გამოირჩეოდა ამავე ბიბლიოთეკაში ჩატარებული საღამო, რომელიც მიეძღვნა მ. გელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა ც. გაბიდაურმა, პოეტის ლექსებზე სიმღერები შეასრულეს დებმა ზვიადაურებმა.

კვირეულის პროგრამით ერთი დღე დაეთმო ქართულ ფოლკლორს. ნაჩვენები იყო ფილმები: „მრავალხმიანი საქართველო“ და „ღვინო და მრავალჟამიერი“. სტუმრებს თავისი გამოკვლევა „ლადო აღნიაშვილი“ წარუდგინა პედაგოგმა ც. ბერიძემ. ფოლკლორის საღამოზე




წარმოდგენილი იყო როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე მუსიკალური ნიმუშები.

კვირეულის პროგრამით ყოველწლიურად საინტერესო ღონისძიებები იმართება ქ. თბილისის ლ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკა-ფილიალში (გამგე ი. არგუტინსკაია), ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს ოკუპაციის თემას. ოკუპაციის კვირეულის პროგრამით ბავშვებმა გამოხატეს სოლიდარობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ხსოვნისადმი. ამ თემასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მოენყო გამოფენები, საუბრები, „პოეზიის 5 წუთი“, მკითხველებმა თავიანთი ხელმოწერებით გამოხატეს სოლიდარობა ამ დღისადმი, შექმნეს ხსოვნის ფურცელი. წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია-დიאלოგი „ბიბლიოთეკა, წიგნი, მკითხველი“, მოენყო შეხვედრა უნარშეზღუდულ ბავშვებთან, რომლებიც ხშირად სტუმრობენ ბიბლი-



ოთეკას. ბიბლიოთეკის კვირეულში აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ-მუსიკალური სალონი, ამჯერად წარმოდგენილი იყო კომპოზიტორების – მოცარტის, მენდელსონის, ჩაიკოვსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი თემები. მოენყო ფოტოგამოფენა სათაურით: „ბიბლიოთეკის დაიჯესტი“, სადაც წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის მუშაობის ამსახველი მასალები. კვირეულის დასკვნით ნაწილში თანამშრომლები შეხვდნენ მთავარი ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების გამგეს რ. პაპავას. კვირეულის დღეებში ყოველთვის ჯეროვნად აფასებენ ამაგდარ ბიბლიოთეკარებს, პროფესიონალებს, რომლებსაც თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით დიდი წვლილი შეაქვთ ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებაში. ამჯერად ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს ბიბლიოთეკის გამგეს ინგა არგუტინსკაიას, მან თავისი ხან-



გრძლივი პე-
დაგოგიური და
საბიბლიოთეკო
მუშაობის მან-
ძილზე თავი
გამოიჩინა რო-
გორც კარგმა
ორგანიზატორ-
მა, შემოქმედმა
პროფესიონალ-
მა, იგი წლების
განმავლობაში
ხელმძღვანე-
ლობს საბავშვო
ბიბლიოთეკას.
წელს, კვირე-
ულის დღეებში,

30 აპრილს ბიბლიოთეკის დღესთან დაკავშირე-
ბით მას გადაეცა ქ. თბილისის მერიის მედალი
„ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სფეროში გან-
საკუთრებული ღვაწლისათვის“.

ქ. თბილისის 21-ე სა-
ქალაქო ბიბლიოთეკამ
(გამგე ზ. ზაქარიაშ-
ვილი) 75-ე საჯარო
სკოლასთან ერთად
ჩაატარა ღონისძიება
„ჭაბუკები დარჩნენ მა-
რად“. მოსწავლეებმა:
რ. ნიქაბაძემ, მ. ბერუ-
ლავამ, გ. ლებანიძემ, ა.
კედიამ, გ. ყოჩიაშვილ-
მა; მ. ფახურიძემ და
სხვებმა ბიბლიოთეკის
მკითხველებთან ერ-
თად წარმოადგინეს: ლ. ასათიანის, მ. გელოვა-
ნის, ა. საჯაიას და გ. ნაფეტვარიძის პოეზიის
ნიმუშები. ღონისძიების მომზადებაში აქტიური
მონაწილეობა მიიღო 75-ე სკოლის ქართული
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ირმა
თოდაძემ. ღონისძიებას ესწრებოდა ამავე სკო-
ლის დირექტორი ო. ქიტაშვილი, ქ. თბილისის
საქალაქო ბიბლიოთეკების მეთოდისტი მ. ტო-
გონიძე, ქ. თბილისის მე-15 ბიბლიოთეკა-ფი-
ლიალში (გამგე ხ. ჭაბუკიანი) გაიმართა პო-
ეტისა და მსახიობის ნ. გომელაურის ხსოვნის
სალამო „ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა“.
სალამოს ესწრებოდნენ თ. გომელაურის ოჯა-
ხის წევრები, მეგობრები, მისი ნიჭის თაყვა-
ნისმცემლები. მათ გულთბილად გაიხსენეს ნ.
გომელაურის ცხოვრებისა და შემოქმედების
ცალკეული ეპიზოდები.

38-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ხო-

ფერია) ჩატარდა გ. ტაბიძის დაბადებიდან 120
წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება: „შენ
უკვდავების ხარ ბინადარი“. ღონისძიებაში მო-
წაწინებულნი იყვნენ ქ. თბილისის 54-ე, 55-ე, 165-ე
საჯარო სკოლების, აგრეთვე წმ. ილია მართ-
ლის სახელობის გიმნაზიის და კერძო სკოლის
„ალბონის“ სხვადასხვა კლასისა და ასაკის
მოსწავლეები. ღონისძიებაზე მოსწავლეები
კითხულობდნენ გალაკტიონის ლექსებს, მის
შესახებ არსებულ კრიტიკულ მასალებს. ღო-
ნისძიების თითოეულ მონაწილეს საშუალება
ჰქონდა უშუალოდ შეხებოდა გალაკტიონის შე-
მოქმედების სხვადასხვა გამოცემებს, წაეკით-
ხა, გამოეთქვა საკუთარი აზრი და ა.შ. მკითხ-
ველებმა წარმოადგინეს მხატვრული კითხვის
შესანიშნავი ნიმუშები, მუსიკალური ნომრები.

ქ. თბილისის 24-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ
(გამგე ნ. მამნიაშვილი) და 53-ე ბიბლიოთე-
კამ (გამგე რ. ფალავა) მოაწყვეს ერთობლივი
ღონისძიება ი. ჭავჭავაძის 175-ე წლისთავთან
დაკავშირებით „მარად და ყველგან, საქართვე-
ლოვ, მე ვარ შენთანა“, ლიტერატურული სალა-
მო გაიხსნა „მამაო-ჩვე-
ნოს“ გალობით. გალობა
შეასრულეს ღვთისმ-
შობლის მიძინების ტაძ-
რის მგალობლებმა: თ.
და მ. ჭიჭიაშვილებმა
და ნ. კასრელიშვილმა.
ღონისძიებაში მონა-
წილეობდნენ 45-ე და
59-ე საჯარო სკოლე-
ბის მოსწავლეები: ს.
ჩაჩანიძე, თ. მოდებაძე,



თ. კირთაძე, ქ. დაბრუნდაშვილი, მ. გეჯაძე და
სხვები. ილიას ლექსები წაიკითხეს ს. მერაბიშ-
ვილმა, ქ. სანამიანმა, გ. ლევერაშვილმა, გ.
ჟიჟიაშვილმა და სხვებმა. პოემა „განდევილი“
დადგამით სახით წარმოადგინეს გ. ჩიბირაშვი-





ლიმა, ნ. ჟღენცმა და ს. მერაბიშვილმა.

ქ. თბილისის 57-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. გოქაძე) ჩატარდა ლიტერატურული საღამო მიძღვნილი გ. ტაბიძის 120-ე და მ. ლეზანის 90-ე წლისთავისადმი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები: № 1-ლი საჯარო სკოლიდან მონაწილეობდა თ. მახარაძე (მე-10 კლასი), 52-ე საჯარო სკოლიდან ელენე ჩალაბაშვილი (მე-8 კლ.), 102-ე საჯარო სკოლიდან ნ. მელაძე (მე-8 კლ.) და ს. სირაძე (მე-7 კლ.), 122-ე საჯარო სკოლიდან თ. ჩხაიძე (მე-12 კლ.), 128-ე საჯარო სკოლიდან ნ. კასრაძე (მე-9 კლ.); მოსწავლეებმა მოსამზადებელ ეტაპზე საფუძვლიანად შეისწავლეს გ. ტაბიძისა და მ. ლეზანის პოეზია, გაეცნენ მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრიტიკულ ლიტერატურას. მოსწავლეები თავისუფლად მსჯელობდნენ ასევე დიდი პოეტის შემოქმედებაზე, აფასებდნენ მათი შემოქმედების როლსა და ადგილს მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ღონისძიებას ესწრებოდნენ ილიას უნივერსიტეტის პროფესორი მ. ასათიანი, ლექტორი ც. სამადაშვილი, მთარგმნელი დ. კახაბერი, ლ. მჭედლიშვილი, მწერალთა კავშირის წევრი ზ. ბოტკოველი, პედაგოგი იზა სხირტლაძე, ჟურნალისტი და საბავშვო პოეტი ზ. ქინქლაძე, რუსთველოლოგი ზ. არაბული, სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტი, ასოციაცია „ჯანმრთელი ბავშვების“ პრეზიდენტი ა. ბერულავა; აგრეთვე მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები. ღონისძიებაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ს. სირაძემ,

თ. მახარაძემ, ნ. კასრაძემ. ღონისძიების მონაწილე აქტიური მოსწავლეები და მკითხველები დასაჩუქრეს წიგნებით.

44-ე საქალაქო ფილიალში (გამგე ნ. ბესთავაშვილი) ჩატარდა მ. ლეზანის 90-ე წელთან დაკავშირებული ლიტერატურული საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 156-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. პოეტის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა დ. ცუცქერიძემ, პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები წარ-



მოადგინეს ბ. ბესთავაშვილმა და ე. სურმაჯამ.

მე-12 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. შუბითიძე) გაიმართა გ. ტაბიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს ახალგაზრდა მხატვრის ელენე ზურაბიშვილის ნახატების გამოფენა.

მე-3 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე თ. ცხოვრებაშვილი) ჩატარდა პოეზიის საღამო მიძღვნილი გ. ნაფეტვარიძის დაბადებიდან



95-ე წლისთავისადმი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 145-ე, 87-ე და 111-ე საშუალო სკოლები მოსწავლეები.

26-ე ბიბლიოთეკაში (გამგე ი. ონაშვილი) ჩატარდა პოეზიის საღამო: „ახალი სახელები თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ეკა ფხალაძე და ნინო სადღობელაშვილი, მწერლების შემოქმედებაზე ისაუბრეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: რ. ბითაროვამ, ნ. ჭელელიძემ და დ. მშვენიერაძემ. სტუმრებს მიესალმნენ პედაგოგები ი. ჭუმბურიძე და შ. როსტიაშვილი.

45-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ოთანაშვილი) ჩატარდა გ. ტაბიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ: გ. ტაბიძის ძმისშვილი ნ. ტაბიძე, პოეტი შ. ჯიხვაშვილი, ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ თსუ-ს სტუდენტები ქ. ოთარაშვილი და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ნიკურაძე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 107-ე და 168-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები. მათ ოსტატურად წარმოადგინეს გ. ტაბიძის „მესაფლავის“ ინსცენირება.

30-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. აბრამიშვილი) ჩატარდა ღონისძიება სათაურით: „რადგან ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო“. ღონისძიება მიეძღვნა უდროოდ დაღუპულ პოეტებს: ლ. ასათიანს, მ. გელოვანს და ნ. ნაფეტვარიძეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 103-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

28-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე გ. გუგავა) ჩატარდა ლიტერატურული საღამო „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად

არის?“. მონაწილეობდნენ 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები. მათ წაიკითხეს გ. ლებანიძის, გ. ტაბიძის, მ. მაჭავარიანის, ა. კალანდაძის ლექსები, შეასრულეს სიმღერები.

56-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე დ. საბანაძე) ჩატარდა ლიტერატურული საღამო; იგი მიეძღვნა მარად ჭაბუკებად დარჩენილ ქართველ პოეტებს: ლ. ასათიანს, მ. გელოვანს, ა. საჯიას და მათ განუყრელ მეგობარს ნიკა აგიაშვილს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლა „ფესვების“ მოსწავლეები (პედაგოგი მ. ფანიაშვილი). მოსწავლეებმა სტენდებზე წარმოადგინეს უდროოდ დაღუპულ პოეტთა ბიოგრაფიები და ფოტომასალები. მხატვრული ოსტატობით წაკითხულმა ლექსებმა განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე სკოლა „ფესვების“ დირექტორი გ. გვიხჯიშვილი, ენათმეცნიერი მ. კიკონიშვილი, მუსიკათმცოდნე ლ. ალავერდაშვილი, მ. ტიბანელი, ნ. ჩიხრაძე და სხვები.



მე-3 საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე თ. ცხოვრებაშვილი) მოაწყო პოეზიის საღამო თემაზე: „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის 87-ე, 89-ე, 111-ე და 145-ე საჯარო სკოლე-

ბის მოსწავლეები, რომლებმაც წაიკითხეს ლ. ასათიანის, მ. გელოვანის, გ. ნაფეტვარიძის ლექსები.

მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. კალანდარიშვილი) ჩატარდა ღონისძიება დევიზით „ვისი გორისა ხარ?“ ეს იყო კომპლექსური






ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

მე-14, მე-4 და 61-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა (გამგეები რ. კუჭავა, ლ. ფანჭულიძე, ნ. მელაძე) მოაწვეეს ერთობლივი ღონისძიება თე-

მაზე „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ 67-ე და 70-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები; სტუმართა შორის მონვეულნი იყვნენ ამავე სკოლების დირექტორები, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები. მოსწავლეებმა მაღალი მხატვრული ოსტატობით წარმოადგინეს სა-



ქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდები, მოსწავლეთა შორის იყვნენ დამწყები პოეტები, მხატვრობის მოყვარულნი; იგრძნობოდა მათი სიყვარული წიგნისადმი, სამშობლოსადმი.

23-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. თვარაძე) 23-ე საჯარო სკოლასთან ერთად ჩაატარა ღონისძიება მიძღვნილი დ. გურამიშვილის გარდაცვალებიდან 220 წლისთავისადმი. განიხილეს დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიული ეპოქა. მოსწავლეებმა მაღალი მხატვრული ოსტატობით წარმოადგინეს დ. გურამიშვილის პოეზიის ცალკეული ნიმუშები. ღონისძიებას ესწრებოდა 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი თ. კიკნაძე.

თბილისის 24-ე და 53-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა (გამგეები ნ. მამნიაშვილი, რ. ფაღვა) ჩაატარეს ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175-ე წლისთავს. ღონის-

ძიებაში მონაწილეობდნენ 45-ე და 59-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები. შესრულებულ იქნა „მამაო ჩვენოს“ საგალობელი. ასრულებდნენ ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მგალობლები.


28-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. გუგავა) ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია თემაზე „საქართველოო ლამაზო“. მონაწილეობდნენ 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. წაიკითხეს მე-20 საუკუნის ცნობილი პოეტების ლექსები: მ. ლებანიძის, ა. კალანდაძის, მ. მაჭავარიანის, მათ ლექსებზე შეასრულეს სიმღერები.

საქართველოს მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკები კვირეულის გამოცხადებამდე ატარებდნენ მასობრივ ღონისძიებებს, კვირეულის პროგრამით შინაარსიანი ღონისძიებები გაიმართა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში, სოფლის ფილიალებსა და საჯარო სკოლებში.

მცხეთის შ. რუსთაველის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნ. თათარაშვილი) 23 აპრილს ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ცა არც ერთ ქალაქს არ შევნიხსე, ვითარცა მცხეთას“. მცხეთის ისტორიაზე ვრცლად ისაუბრა მწერალმა ვალერიან მამუკელაშვილმა, რომელმაც ბიბლიოთეკას

საჩუქრად გადასცა საკუთარი წიგნი „მცხეთა იბერიის დედაქალაქი“. 30 აპრილს, ბიბლიოთეკარის დღეს, ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსის ფინალური ტური, კონკურსის ორგანიზატორი იყო ნ. ოსიტაშვილი. ამავე ღონისძიებაზე კულტურის სამსახურის უფროსმა გ.





ქავთარაძემ მადლობის სიგელებით დააჯილდოვა ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარები.

მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკამ კვირეულის დღეებში ჩაატარა ღონისძიებები: „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“, ნატახტრის სასოფლო ბიბლიოთეკამ პოეზიის საღამო ჩაატარა მ. გელოვანის შემოქმედების შესახებ; ერედვის ბიბლიოთეკამ ჩატარა თემატური საღამო „ენა დედაა ერისა“. მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები.

სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში (ხელმძღვანელი ც. ხორავა) 23 აპრილს მოეწყო თემატური გამოფენა: „ნიგნი, მკითხველი“, „სადაც მკითხველებს მიუხარიათ“, წარმოდგენილი მასალები ეხებოდა ნიგნს, ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკარებს. ხორშის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. შურდულაია) ჩატარდა პოეზიის საღამო „იდუმალების სამყაროში“. ძველი სენაკის ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ფინთურია) გაიმართა დისკუსია თემაზე „მკითხველი, ნიგნი, კომპიუტერი“. ფოცხის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. დემურია) ჩატარდა გ. ტაბიძის საიუბილეო საღამო. თეკლათის ბიბლიოთეკაში (გამგე მ. სართანია) გაიმართა დისკუსია თემაზე „ენა ისტორიაა ერისა“, მენჯის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ი. სორდია) ღონისძიების თემა იყო „ბიბლიოთეკა და ნიგნი“. ეკის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ელიავა) ყოველთვის ტარდება შინაარსიანი, თემატიკით განსხვავებული ღონისძიებები, 27 აპრილს ბიბ-

ლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „რეკენ ზარები წმინდანების სასუფეველში“, ღონისძიება მიეძღვნა იუბილარ მწერლებს: კ. თათარაშვილს, პ. იაშვილს, მ. ლებანიძეს, ნ. ლომოურს, ს. ჩიქოვანს და სხვ. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში კვირეულის დახურვას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხისმგებელი პირები, კულტურის ცენტრის თანამშრომლები, აქტივისტი მკითხველები, პედაგოგები, ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოების წევრები.


ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლ. ბუბუტიეშვილი) მასობრივი ღონისძიებები ტარდება წლის განმავლობაში. განსაკუთრებით შინაარსიანი ღონისძიებებით გამოირჩევა საბავშვო ბიბლიოთეკა. (გამგე თ. მღვდელაძე). მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში 30 აპრილს გაიმართა თემატური საღამო „ტაო-კლარჯეთი ჩვენი ტკივილია“. ღონისძიებასთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა „ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით“, ღონისძიების მოსამზადებელ პერიოდში მკითხველებმა დაამუშავეს ტაო-კლარჯეთის შესახებ არსებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, მხატვრული შინაარსის ლიტერატურა. თითოეულ ციხესიმაგრის შესახებ წარ-



მოადგინეს ვრცელი ინფორმაცია, ნაშრომებში კარგად ჩანს მკითხველთა ნიგნიერების დონე, მათი უნარი – დაამუშაონ პირველწყაროები.


მკითხველთა მონონება დაიმსახურა საბავშვო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებამ „გოდერძი ჩოხელის სევდიანი გზა“.





მოსწავლეების ხელით მომზადდა სპეციალური გაზეთი „შემინახე, დედაო მინავ“. მოეწყო გამოფენა „აქედან კარგად ჩანს საქართველო“, მოსწავლეებმა ხელნაწერების სახით წარმოადგინეს გ. ჩოხელის პოეზიისა და პროზაული ნაწარმოებების ნიმუშები. მოსწავლეებმა იმ-

ვიათი მონდომებით, გ. ჩოხელის სახელისადმი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით შეასრულეს ამონარიდები მისი პროზაული თუ პოეტური ნიმუშებიდან, აქედან ცხადია, მოსწავლეებმა ზედმინევით შეისწავლეს პოეტისა და დრამატურგის მთლიანი შემოქმედება. ბოლნისის საბავშვო ბიბლიოთეკამ ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე ჩაატარა ღრმად შინაარსიანი ღონისძიება „და ისევ ილტვის ადამიანი შეუცნობისაკენ, შეცნობად ხილვის“. ასეთი კომპლექსური ღონისძიების მოსამზადებელ ეტაპზე მოამზადეს უამრავი მასალა, მოაწყვეს გამოფენა, გამოუშვეს კედლის გაზეთი. მსოფლიოს შვიდი საოცრების შესახებ მოსწავლეებმა დაამუშავეს ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული წიგნები, გამოკვლევები, ისტორიული ფაქტები, მხატვრული ნაწარმოებები. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე მკითხველთა მიერ შესრულებული ასეთი წერილობითი მასალა თავისი დანიშნულებით პირდაპირ შეასრულებს წერილობითი ბიბლიოგრაფიული წყაროების ფუნქციას. აქ წარმოდგენილი მასალების მოპოვებასა და დამუშავებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მოსწავლეები: გოგრიჭიანი ანა, ასლანიშვილი მზეო, (მე-3 საჯარო სკოლა),




რეხვიაშვილი გიორგი, სამხარ აძე თორნიკე, გაფრინდაშვილი დავითი, სუბელიანი ანგელინა, (მე-5 საჯარო სკოლა), რეხვიაშვილი თამარი, უდესიანი თეონა, მანაგაძე ალექო (1-ლი საჯარო სკოლა), ონიანი მარიამი, ქარლიანი თამუნა, რეხვიაშვილი ელისო (კერძო სკოლა „დავითნი“), იუნუსოკი დავითი (თამარისის საჯარო სკოლა). დეკნოზაშვილი მანონი, ექიზაშვილი მარიამი (სასულიერო სკოლა). აქვე დაეძინა, რომ ბოლნისის საბიბლიოთეკო სისტემა აქტიურ მუშაობას ეწევა ეროვნულ უმცირესობებთან. საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველთა შემადგენლობა გამოირჩევა მრავალეროვნული ნიშნით, აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მკითხველები ღონისძიებებში მონაწილეობენ სახელმწიფო ენაზე მომზადებული ნომრებით, მხატვრული ნიმუშებით, ისინი მონდომებით ეუფლებიან ქართულ ენას, კითხულობენ ქართული საბავშვო ლიტერატურის ნაწარმოებებს. კვირეულის დღეებში საინტერესო ღონის-

ძიებებს ატარებენ ქ. რუსთავის საჯარო სკოლები.

მე-6 საჯარო სკოლაში (დირექტორი ნ. ქარუხნიშვილი, ბიბლიოთეკარი ჯ. ხაჩატურიანი) ჩატარდა შინაარსიანი ღონისძიებები მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი, მოეწყო წიგნის გამოფენები, ამავე ღონისძიებაზე შეხვედრა

მოუწყვეს რუსთაველ პოეტ ცირა ბულაშვილს. მე-9 საჯარო სკოლაში (დირექტორი ი. ქუროლოვანიძე, ბიბლიოთეკარი მ. ოქრომჭედლიძე) მოეწყო საქველმოქმედო აქცია „ვაჩუქოთ წიგნი ბიბლიოთეკას“, მოეწყო გამოფენა „ჩემი საყვარელი წიგნი“, გაიმართა ხსოვნის საღამო





„ჭაბუკები დარჩენ მარად“, რუსთავის მე-12 საჯარო სკოლაში (ბიბლიოთეკარი გ. თაბუკაშვილი) სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. მოენყო მისი მოთხრობების ხმამაღალი კიფხვა, მისი ნაწარმოებების მიხედვით მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა; ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები: გ. თაბუკაშვილი, ი. ბოცვაძე, ნ. მენთეშაშვილი და სხვები, მე-18 საჯარო სკოლაში (ბიბლიოთეკარი ე. აბულაშვილი) გ.

ტაბიძის საიუბილეო წელთან დაკავშირებით მოენყო ექსკურსია მთაწმინდის პანთეონში; ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია ნ. დუმბაძის შემოქმედებისა და ცხოვრების თემატიკაზე. მოენყო კონკურსი „ერთი ლექსი“ სამშობლოზე, სიყვარულზე“, 23-ე საჯარო სკოლაში (ბიბლიოთეკარი მ. სტურუა) ჩატარდა ლიტერატურული დილა „ნიგნია ჩემთვის სამყარო ვრცელი“, მოენყო ყ. საიდის ნაწარმოების „ალი და ნინო“ წარდგენა. ჩატარდა ვიქტორინა კონკურსი „ვინ მეტი იცის ნიგნის შესახებ“.

კვირეულის პროგრამით ამავე სკოლაში მოენყო წლის საუკეთესო მკითხველის დაჯილდოება. ღონისძიებებში მონაწილეობდა პედაგოგი ი. ნოზაძე.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის კვირეული გამორჩეული იყო მეტი აქტიურობით, საჯარო ბიბლიოთეკებისა და საჯარო სკოლების კოორდინაციული, შეთანხმებული მუშაობით, თითოეულ ღონისძიებაში იგრძნობოდა ბიბლიოთეკარებისა და პედაგოგების მიერ გაწეული ღრმად შინაარსიანი მუშაობა. მოსწავლე-ახალგაზრდობამ გამოავლინა ნიგნისადმი დიდი სიყვარული, პასუხისმგებლობა; მათვე წარმოადგინეს საკუთარი პოეტური შემოქმედების ნიმუშები, რომელთა ნაწილს პერიოდულად გამოვაქვეყნებთ ჩვენს ჟურნალში.

აქ წარმოდგენილი კვირეულის მასალების მიმოხილვა მხოლოდ ნაწილია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში; კვირეული დაიხურა, მაგრამ ღონისძიებები გრძელდება. მათი ამსახველი მასალები სისტემატურად გამოქვეყნდება ჩვენს ჟურნალში.

მიმოხილვა მოამზადა
გურამ თაყნიაშვილმა



ჩემი მუშაობის ქალაქი სამბრედია

ჩემი ბიბლიოთეკა...

დრო წინ მიიწევს, ამას რა სჯობსო, ვიტყვი ადამიანები, მაგრამ დროს ერთი საშინელი თვისება აქვს. თუ არ „შეაჩერე“, თავის უკან ყველაფერს შლის. დიახ, თავის უკან. წინ მიმავალი უკან არ იხედება. ეს ის მომენტია, დაკვირვებულმა ადამიანებმა რომ უნდა მოიხელონ ის, რაც დროის სიჩქარეში მტვერისფერ იფანტება ხშირად, არადა, წასაშლელი კი არა, ბევრი რამ სათუთად მოსავლელი და შესანახია. კარგად უწყის ეს კაცობრიობამ, საუკუნეებში, ათასწლეულებში განვილი დროის ნაკვალევს სათუთად მოვლა და ჭეშმარიტი სიზუსტით შენახვა სჭირდება, არაფრით არ უნდა დაანებო იგი აჩაქარებული ნაბიჯებით მიმავალ დროს. ყველაფრის ისე აღნუსხვა-აღბეჭდვა აუცილებელი, როგორც ამას ვინმე პიროვნება კი არა, ნამდვილი მეცნიერება მოითხოვს. ასე იქმნებოდა კაცობრიობის წარსულის ისტორია, ახლაც იქმნება იგი და კვლავაც შეიქმნება...

აი, ასეთი ფიქრები მომგვარა იმ საქმემ, რომელშიც 50-იანი წლებიდან დღემდე ვარ ჩაბმული და რომელსაც ამ ხუთიოდე წლის წინამდღემდე მუხლჩაუხრელად ვემსახურებოდი. ამ ბოლო წლებში კი, რა მოგახსენოთ, როგორაც და რამდენადაც შემძლია, ისე ვეჭიდები ხოლმე. კიდევ კარგი (მადლობა უფალს!), რომ მაქვს შესაძლებლობა, კვლავაც ახლოს ვიდგე ჩემს საყვარელ დარგთან, რომელთანაც თითქმის სულ ახალგაზრდა გოგონა მივედი.

ჩემი ტვირთი და საქმე რა გასახსენებელია, მაგრამ ვფიქრობ, ქართულ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში შეტანილი ჩემი პატარა, ძალიან პატარა წვლილი ამ დრგის ისტორიის შემავსებელი ნიუანსიც იქნება. ამ იმედით ვწერ ამ წერილს და მოკრძალებით ვთავაზობ დაინტერესებულ მკითხველს.

მოღვაწეობა სამტრედიაში საბიბლიოთეკო სფეროში დავიწყე. ბავშვობაში ნამდვილად არ ვფიქრობდი ამ დარგის სპეციალისტობაზე, მაგრამ ბიბლიოთეკა ძალიან მიყვარდა. საბავშვო ბიბლიოთეკა იყო ჩემი სუსტი წერილი. ახლაც თვალწინ მიდგანან ბიბლიოთეკის იმდროინდელი მუშაკები: ვენერა ჩიგოგიძე და ნინა საყვარელიძე – განათლებული და წიგნიერი ქალბატონები. ისინი მშრომელი, წიგნისა და ბავშვების მოსიყვარულე ადამიანები იყ-

ნენ და ბავშვებისათვის მიმზიდველ გარემოს ქმნიდნენ.

წიგნისადმი ღტოლვა და უსაზღვრო სიყვარული არ ვიცი, როგორ და საიდან მოვიდა ჩემთან, მგონი ამ გრძობით დავიბადე. მახსოვს მხოლოდ, რომ ჩემი წიგნით გატაცება მესამე, მეოთხე კლასიდან დაიწყო... საბავშვო ბიბლიოთეკაში თაროები და მასზე განყოფილი წიგნები მკითხველი ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი იყო. ბავშვები ფუტკრებისფერ შევესეოდით ხოლმე თაროებს და ვირჩევდით სასურველ წიგნებს.

საბავშვო ბიბლიოთეკა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, იქვე იყო პოლიკლინიკაც. ასე რომ, ბიბლიოთეკას მცირე სათავსოები კი ჰქონდა, მაგრამ დამოუკიდებელი შენობა – არა. ბიბლიოთეკიდან გამოსული, იქვე, ახლოს მდებარე წიგნების მაღაზიაში (სახელგამში) შევივლიდი. იმ ხანებში (40–50-იანი წლები) ბატონი ვლასი გოგელია იყო ამ მაღაზიის დირექტორი. ამჟამად წიგნების მაღაზიისა და სხვა წვრილწვრილი დაწესებულებებისა და სასურსათო მაღაზიების ადგილზე სამტრედიის თეატრის საკმაოდ კარგი შენობა დგას.

სულ სხვა იყო ჩემი ბავშვობი, დროინდელი სამტრედია: რიონის პირას გაშენებული ლამაზი, ნაირ-ნაირი ყვავილებითა და გამწვანებული ბაღებით, სათუთად მოვლილი ეზოებით დამშვენებული, მრავალრელსიანი სარკინიგზო ხაზებითა და ხიდებით შუაგაყოფილი. ქალაქის მოსახლეობას ადრევე დილით, გამუდმებით აღვიძებდა საკონსერვო თუ ჩაის ქარხნების საყვირი და სამუშაოდ იწვევდა იქ მომსახურე მუშებს...

ქალაქის ცენტრი, რომელიც რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაა, საკმაოდ უღიმამოდ გამოიყურებოდა. დაბალ, ერთსართულიან შენობებში უფრო მეტად სასურსათო მაღაზიები იყო განლაგებული. სადგურის მოპირდაპირე მხარეს სტალინის ძეგლით და ტრიბუნით დაგვირგვინებული მოედანი მდებარეობდა (უფრო ადრე კი, მახსოვს, იქ იყო ხალხის სასეირნო ბაღი), სადაც იმართებოდა საპირველმანისო და საშვიდნოემბრო დემონსტრაციები სამტრედიის სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. მოედნის მარცხენა მხარეს

ისევ მაღაზია (ილიკოს მაღაზიას ვეძახდით), გასწრივ, რიგში კავშირგაბმულობის და შემნახველი სალაროს სათავსოები იყო. იქვე ახლოს კინოთეატრის შენობა იდგა – და ყველაფერი ეს ერთმანეთზე გადაბმულად... შედარებით უკეთეს შენობაში იყო განთავსებული რაიკომი და სამტრედიის სასტუმრო. მოგვიანებით, სატმრედიის ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა პარკიც, მაგრამ ეს მოგვიანებით. მანამდე კი არ მინდა დავივიწყო სადგურთან მდებარე, იმ დროისთვის რატომღაც სახელგანთქმული რესტორანი „კუტალაძის რესტორნის“ სახელწოდებით ცნობილი (ეს რესტორანი მაშინ სამტრედიის რაიკომში შექმნილ ერთ სიმღერაშიც მოიხსენებოდა...).

აი, ასეთ პატარა ქალაქში ვცხოვრობდით მე და ჩემი თანამემამულეები. ქალაქს, რა თქმა უნდა, სკოლებიც ამშვენებდა, რომლებიც ორი სტატუსით – ქალაქისა და რკინიგზის სახელწოდებით იყვნენ ცნობილი. ქალაქის ცენტრშივე იყო აგრეთვე მუსიკალური სკოლა. მისი დირექტორიც მახსოვს, საქმიანი და ნიჭიერი, მუსიკალური სმენით დაჯილდოებული ბავშვებისთვის თავგადადებული ბატონი – დომენტი შანიძე. ყველაფერ ამას ვიგონებ. მოსაგონებელი მართლაც ბევრი რამ არის, მაგრამ მე ჩემს თემას უნდა დავუბრუნდე, არა მარტო იმიტომ, რომ არჩეულ თემას ავცდები, არამედ იმიტომაც, რომ ჩემი ბავშვობის დროს სამტრედიის არამც თუ აღსაწერად, არამედ მხოლოდ სურათის დასახატავადაც კი მეტი მომზადება, კვალიფიციურობა და მასალების მოძიებაა საჭირო. ასეა თუ ისე, იმ არასახარბიელო სურათის მიუხედავად, რომელიც მე აღვწერე, სამტრედია მეტად საყვარელი და მიმზიდველი ქალაქი იყო თავისი ფუსფუსა და მშრომელი მოსახლეობით, ინტელიგენტი და ნიგნიერი ადამიანებით. ერთ-ერთი მათგანი. გახლდათ ჩემი მეზობელი, ყურნალისტი ვასო რუსია, მეტად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, გალაქტიონ ტაბიძის მეგობარი. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია მქონდა, მაგრამ მე მაშინ ისეთი პატარა ვიყავი, რომ პირადად მისგან არ მომისმენია მისი ბიოგრაფიული ეპიზოდები. ის იყო, რომ ვსარგებლოდი მისი, იმ დროისათვის მდიდარი და საინტერესო ბიბლიოთეკით. როდესაც საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩემთვის ხელმისაწვდომი წიგნების რესურსი ამოვწურე და ასაკმაც მომცა ამის შესაძლებლობა, გადავინაცვლე სარაიონო ბიბლიოთეკაში, რომელიც იმ დროისათვის უკვე აშენებული იყო სტალინის ქუჩაზე, იმ ადგილთან ახლოს, სადაც სასტუმროს შენობა თავდებოდა. იმავე ქუჩაზე, ბიბლიოთეკის სა-

პირისპირო მხარეს აშენდა შემდგომ რაიკომის სამსართულიანი შენობა.

ზაფხულში მტვერიანი, ზამთარში ტალახიანი ქუჩებიც კარგად მახსოვს, სადაც ეგრეთ წოდებული კალოშების გარეშე სიარულს ვერ შეძლებდი. ამ უკანასკნელის შექმნა კი ადგილი საქმე როდი იყო (ისე, როგორც ბევრი სამრეწველო და სასურსათო საქონლის შექმნა იყო შეუძლებელი არამც თუ სამტრედიის რაიკომში, არამედ მთელ საქართველოში)... განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩემთვის შემოდგომის სამტრედია, სიმინდის ტარობითა და მუხუდოს ძნებით დატვირთული ურმებით, რომლებიც ჩვენს ქუჩაზე გამწკრივებული საკოლმეურნეო მინდვრებიდან ბელლებსაკენ ჭრიალ-ჭრიალით მიიმართებოდნენ... (ჩვენი ქუჩა მაშინ ბერიას სახელობისა იყო. შემდგომ, მალენკოვისა... ამჟამად, ეს ქუჩა რუსთაველის სახელს ატარებს). ერთი სიტყვით, ყველაფერი მახსოვს, ისიც კი, სკოლიდან საკოლმეურნეო მინდვრებში რომ გავყავდით მოსავლის ასაღებად...

ან რა დამავიწყებს ჩემი ბავშვობის ძნელბედა ცხოვრების შთამბეჭქდავ და ეგზოტიკურ სურათებს, რომლის წარმოდგენა ნამდივლად გაუჭირდება დღევანდელ ახალგაზრდებს. მაგრამ ჩემი ბავშვობა მაინც ბედნიერი იყო... ისევე, როგორც ყველასთვის არის ბავშვობის წლების მოგონება ბედნიერება თუ არა, განსაკუთრებული განცდა მაინც...

სამტრედიის ცენტრალურ ანუ იგივე სარაიონო ბიბლიოთეკაში, რომელიც ცალკე შენობად იდგა სტალინის ქუჩაზე, თითქმის ყოველდღე დავდიოდი. მახსოვს, რომ ბიბლიოთეკა გვიან საღამომდე მუშაობდა. ისიც მახსოვს; მკითხველებით სავსე დარბაზში ადგილს ძლივს, რომ ვპოულობდი, ადგილი კი იმ თემების დასამუშავებლად მჭირდებოდა, რომელსაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გვაავლებდა. ბიბლიოთეკა კი წიგნებს ლიტერატურის კრიტიკაზე სახლში არ გვატანდა. შემდგომში, სრულიად ახალგაზრდას, ამ ბიბლიოთეკაში მუშაობა თავადაც მომიწია. ამ დროისათვის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა საბიბლიოთეკო საქმის საუკეთესო სპეციალისტი ქალბატონი ლენა შანიძე – მკითხველებთან ურთიერთობის ნამდვილი ოსტატი; სრულიად ახალგაზრდა ლამარა დუნდუა კი აბონემენტს ხელმძღვანელობდა. მასთან საუკეთესო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა დღემდე მაკავშირებს.

სამტრედიის აღმავლობა 60-იანი წლებიდან დაიწყო. ქალაქი ეკონომიკურად მოძლიერდა, კულტურამაც გაშალა ფრთები, აღორძინდა თეატრალური ხელოვნება. სიამაყით მინდა

ვთქვა, რომ სამტრედიის მსახიობთა შორის თავი ჩემმა ბავშვობის მეგობარმა მზია ჩიხლაძემაც ისახელა და ღირსეულად დაუმშვენა მხარი თავის მეუღლეს, ცნობილ პროფესიონალურ მსახიობი ან განსვენებული ქალბატონი მზია დღემდე მოღვაწეობს არა მარტო თეატრში, არამედ სამტრედიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც.

გააქტიურდა ახალგაზრდობის სახლი (იმ დროისათვის პიონერთა სახლი). მისთვის აშენდა კიდევ მშვენიერი, ახალი, ორსართულიანი შენობა და მას, გარდაცვალებამდე წარმატებით უძღვებოდა ქალბატონი მაყვალა ჩაჩუა. ორიოდე სიტყვით არ შეიძლება არ ვთქვა აღორძინებულ თუ ახლად აშენებულ ფაბრიკა-ქარხანებზე, კომბინატებზე და სხვადასხვა დაწესებულების სამრეწველო დაწესებულებებზე, რომლებიც თავისი ნაწარმით ამარაგებდნენ არამც თუ ქალაქს, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებსა და ერვოპის ზოგიერთ ქალაქებთანაც კი ჰქონდათ საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა... ამ დროისათვის სამტრედიის ცენტრალური ქუჩები მოასფალტდა, ტროტუარები მოპირკეთდა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სამოქალაქო ტრანსპორტით – ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით ქალაქის მოშორებულ ადგილებში მოქალაქეთა გადაადგილება.

ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობა ნათლად აისახებოდა სამტრედიის ბიბლიოთეკებზე. 60-იანი წლების ბოლოს სამტრედიაში ერთი სარაიონო, ორი საქალაქო, ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა იყო 107693 ერთეული წიგნადი ფონდით. ამას ემატებოდა დაბა კულაშისა და სამტრედიის დანარჩენი სოფლების 37 ბიბლიოთეკა თავიანთი ფონდებით. 1978 წელს სამტრედიის რაიონში მთლიანად (სოფლებიანად!) 59 ბიბლიოთეკაა, მათ შორის სამი საქალაქო, სამი საბავშვო, ორი ავტო-ბიბლიოთეკა, მათი წიგნადი ფონდი 300 000 ერთეულს აღემატე-

ბოდა. ეს იყო საუკეთესო წლები სამტრედიის ცხოვრებაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სამტრედიელები მიღწეულით კმაყოფილი იყვნენ. რა თქმა უნდა, მდინარე რიონის ნამდვილად წარმატაც ხეობაში მდებარე ქალაქს და იქაურ მცხოვრებთ ბევრი რამ აკლდათ და მუდამ ჰქონდათ მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, თვითმმართველობისაკენ, საუკეთესო ევროპული სტანდარტებისაკენ, მაგრამ იმდროინდელი წყობილება ამის საშუალებას არ იძლეოდა...

მოდით, ისევ ბიბლიოთეკებს დავუბრუნდეთ. ოპტიმიზაციის პროგრამით თუ პროექტით 2008 წლიდან სამტრედიაში უკვე გაუქმებულია 23 ბიბლიოთეკა. ამით ამ პროექტის განხორციელება აქ არ შეწყვეტილა...

დღეისათვის სამტრედიის რაიონში დარჩა სულ შვიდი ბიბლიოთეკა: მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, საქალაქო და ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკა. ეს ციფრები ბიბლიოთეკების გულშემმატკივართ, ცხადია, ვერ გაგვახარებს, მაგრამ თავი უნდა ვინუგეშოთ იმით, რომ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სათავსო, რომელსაც ასბინიანი შენობის (იმ ადგილზე, სადაც ძველი ბიბლიოთეკა იყო) პირველ სართულზე 166 კვ.მ ფართი უჭირავს, აუქციონზე გატანას და გაყიდვას გადაურჩა სამტრედიის მკითხველი საზოგადოების დიდი მცდელობითა და რუდუნებით. გასახარებელია ისიც, რომ დაინერგა ნოვატორული პროექტი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, გარემონტდა ბიბლიოთეკის სათავსოები, შემოვიდა ელექტრონული ტექნიკა და ყოველივე ამაში, როგორც გადმომცეს, მონაწილეობა მიუღია პოლონეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენლობას. ჩვენი რედაქცია მიესალმება მათ, ვინც ხელი შეუწყო ბიბლიოთეკის კულტურული ცხოვრების გათანამედროვეებას.

ოთარ ოსაძე

უნებლიე უხვედრები გალაკტიონთან

გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა ზესტაფონის საშუალო სკოლაში ჯერ სრულიად ყმანვილს ქართულის მასწავლებელი ნეო სიმონიშვილი გაკვეთილებზე ქართველ პოეტებზე გვესაუბრებოდა, როგორ წარმოვიდგენდი, როდისმე ცოცხალ მწერლებს თუ ვნახავდი. ასეთი რამ მაშინ ზღაპრად მეჩვენებოდა. სიზმრადაც კი ვერ ვნახავდი, დიდ გალაკტიონს შევხვედროდი და დაველაპარაკებოდი. დაველაპარაკებოდი კი არა, მის მიერ შემოთავაზებულ

სასმელსაც თუ შევსვამდი. მაგრამ ასეთი რამ ცხადში მოხდა, და აი, როგორ იყო ეს:

1949 წელს, როცა პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა იოსებ ორჯონიკიძემ სამუშაო შემომთავაზა და, ამგვარად ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკურ სამეცნიერო მეთოდკაბინეტში დავინიყე სამსახური. (ამასთან დაკავშირებით უკვე გამოვაქვეყნე მოგონება და მეტს აღარ ვიტყვი). როგორც ცნობილია, მეთოდკაბინეტი მაშინ განთავსე-

ბული იყო მარჯანიშვილის ქუჩაზე ვერის ხიდის (ამჟამად გალაკტიონის სახელობისა) მიმდებარე ტერიტორიაზე „ნიგნის სასახლის“ მეორე სართულზე. დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა აგრეთვე „ნიგნის პალატას“, სხვადასხვა გამომცემლობებს. შენობის მომიჯნავედ იყო ყველაზე დიდი პოლიგრაფიული კომბინატი. ამიტომაც ხშირად ვხედავდი აქ მოსულ მწერლებს, რომელთა ნიგნები აქ მოთავსებულ გამომცემლობებსა და პოლიგრაფიულ საწარმოში იბეჭდებოდა. ამ მიდამოში განსაკუთრებით ხშირად გალაკტიონს ვხედავდი. ის ხომ იქვე, სასახლის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა.

ისეთი დრო იყო, ქალაქში ავტომობილები ძალიან ცოტა დადიოდა, ასევე ჭირდა საქალაქო ტრანსპორტი, ტროლეიბუსებიც მუდამ გადატვირთული იყო მგზავრებით.

ერთხელ ჩვენი ბიბლიოთეკა – ავტობუსით, რომელიც პოლიგრაფიულ კომბინატის ეზოში გვეყენა, გამოვედით და ვერის ხიდისაკენ ავიღეთ გეზი. ვხედავ, იქვე, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ხალხში დგას გადაკტიონი და ტრანსპორტს ელოდება. მძღოლს გავაჩერებინე მანქანა, ჩამოვედი და ბატონ გალაკტიონს ვთხოვე წამობრძანებულყო. უარი არ უთქვამს, წინა სავარძელში დაიკავა ადგილი. მე მის მოპირდაპირე მხარეს დავეჯექი. ჩვენი ავტობუსის უკან დამონტაჟებულ კარადაში ნიგნები ეწყობო, დაგლაკტიონმა უნებლიეთ მათ მიაქცია ყურადღება და მკითხა, ეს რა ნიგნები გინწვიათ აქო. მეც ავუხსენი, ჩვენი ავტო-ბიბლიოთეკა რასაც წარმოადგენდა. ვუთხარი, რომ ახლა სამგორის სარწყავი არხის მშენებლობის მუშებს ვემსახურებით-მეთქი. გალაკტიონმა ცინიკურად ჩაიქირქილა და თქვა, ეს რა კარგი რამე მოუგონიათო. ამასობაში ელბაქიძის აღმართიც ავიარეთ, რუსთაველზე გავედით და გალაკტიონმა „ზარია ვოსტოკას“ შენობასთან გაჩერება გვთხოვა, მადლობა გადაგვიხადა და ჩავიდა.

გავიდა ხანი. დაიწყო ვერის ხიდის რეკონსტრუქცია. ჰოდა კარგა ხნით გადაიკეტა, დაახლოებით იქ, სადაც ახლა სანაპიროსკენ გზა ჩადის, პატარა სავაჭრო ჯიხური ჩადგეს, სადაც მუდამ ჰქონდათ ცხელი სოსისი, ცივი ლუდი და არაყი.

ერთ დღეს, გამოვედი რა შენობიდან, დავინახე ამ ჯიხურთან დახლის წინ მდგარი გალაკტიონი ორ თანამეინახესთან ერთად. ირგვლივ ხალხის მომოსვლა ხშირი არ იყო და გალაკტიონმა მომკრა თუ არა თვალი, თითქოს რაღაც უცებ გაახსენდაო, შემომხედა და მიცნო. ხელი დამიქნია, შორიდანვე დამიძახა: „აბა, ერთი,

ბიძიკო, აქეთ მოდიო. გალაკტიონს ახლდნენ ცნობილი მოჭადრაკე გოგლიძე და რუსი ფედია თავისი გიტარით ხელში და არაყს მიირთმევდნენ. გალაკტიონმა მათ წარუდგინა ჩემი თავი როგორც „ნიგნის კაცი“, ჭიქა არყით შეავსო, მომანოდა, დახლზე დადებული ნიგნი მიჩვენა და მითხრა, ეს ნიგნი დამილოცეო, რომელიც ახლა დაიბეჭდა, სასიგნალო ცალი გამოვიტანე და მის „მაღარიჩს“ ვსვამთო. როგორც მახსოვს, ეს იყო მისი თხზულებების მეექვსე ტომი, მე იმით გამოვხატე გალაკტიონისადმი ჩემი პატივისცემა, ჭიქა გამოვცალე, მაგრამ ისე მემწარა, სახე დამეღრიცა. „გმადლობთ, ძამიკოო“, დაფარული ღიმილით მითხრა გალაკტიონმა და თანაც დამარიგა: „სასმელი ისე უნდა დალიო, არ უნდა დაიღრიჯო, ისეთი სახე უნდა მიიღო, სხვასაც მოუნდეს დალევას“. რამდენიმე ჭიქა კიდევ შევსვი ამ დარიგების გათვალისწინებით, მაგრამ ისე გამოვთვერი, ბოლოს რა მოხდა და როგორ დამთავრდა ჩემთვის ის დღე, კარგად აღარც მახსოვს.

1953 წელს მეთოდკაბინეტი გააუქმეს და საჯარო ბიბლიოთეკაში გადაიტანეს. ჩვენი ბიბლიოთეკა – ავტომობილი ქლუხორის რაიონის კულტურის სახლს სგადასცეს (მაშინ ეს რაიონი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა). მე უკვე საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდისტი გავხდი და იმ არემარეს, სადაც გალაკტიონი ცხოვრობდა, თითქმის სულ არ მიწევდა ყოფნა. დარწმუნებული ვიყავი, გალაკტიონთან ასეთი შემთხვევითი შეხვედრები აღარ მექნებოდა, მაგრამ ფორტუნა თურმე სხვაგვარად სჯიდა და ამ ჩემ სათაყვანო ადამიანთან კიდევ მომიხდა ასეთი მოულოდნელი შეხვედრა.

ახლანდელ თავისუფლების მოედანზე ე. წ. „ცეკავშირის“ მრავალსართულიანი სახლის ადგილას ადრე ძველი შენობა იდგა, რომლის ქვედა სართულზე იყო ლუდის ბარი. შესვენებაზე ამხანაგებთან ერთად, ზოგჯერ მარტოც, მიხდებოდა დასანაყრებლად იქ შესვლა. ერთ დღეს შევდგი ფეხი თუ არა, დავინახე გალაკტიონი რამდენიმე კაცთან ერთად. მეუხერხულა რატომღაც გამოჩენა. არ ვიცოდი, რა მექნა. შევჩერდი და უკან გამობრუნება დავაპირე. ჩემდა გასაოცრად შემნიშნა დიდებულმა ღმერთკაცმა. მიცნო და ხელის დაქნევით დახლთან მიმიხმო. სასმისი შეავსო და მომანოდა. მოულოდნელობით არეულმა არც კი ვიცი, რა ნავიბრუდუნე, რამდენი ჭიქა შევსვი, როგორ დავილოცე.

იმდენი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რამდენი რამ დამავინწყდა, რამდენი რამ გააუფერულა უღმობელმა დრომ, მაგრამ გალაკტიონთან ამ

შეხვედრების შთაბეჭდილებები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რამდენ ადამიანს, ვისაც გალაკტიონთან არამც თუ რაიმე ურთიერთობა, არამედ ერთი შეხედვის შემთხვევაც კი ჰქონია, ეამაყება ეს, ბევრიც სინაწულს განიცდის იმის გამო, რომ არ უნახავს ცოცხალი გენიოსი, მეფე პოეტი, დიდი გალაკტიონი.

პოეტი ენვერ ნიჟარაძე „ცისკარში“ წერდა: „არაფერზე, რაც იყო ადრე, არ მწყდება გული, ერთს ვწუხვარ მხოლოდ, რომ გალაკტიონს ვერ მოვესწარი თბილისში ცოცხალს და ერთხელაც კი არა მხვდა წილად, გენიოსისთვის თვალის შევლება“.

ამ თვალსაზრისით, ბედნიერ კაცად ვთვლი თავს. არა თუ თვალი შემვივლია გენიოსი გალაკტიონისთვის, გამჩენმა ინება და მასთან ასეთი სიახლოვე მარგუნა. ზეკაცთან, რომელზედაც მისი თანამედროვე დიდი მწერალი და მოაზროვნე კონსტანტინე გამსახურდია წერს: „საქართველო მუდამ იამაყებს სამი დიდი გენიოსის სახელით: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე“.

ახალგაზრდა კაცს წილად კი მხვდა მენახა და გამეცნო პოეტების მეფე გალაკტიონი, მაგრამ უნდა ვაღიარო: მაშინ ღრმად არ ვიცნობდი მის შემოქმედებას, რომ სრულყოფილად შემეცნო მისი სიდიადე, თუმცა ბევრი ლექსი ზეპირადაც კი ვიცოდი. ეს უკვე შემდეგ მოხდა, საკმაოდ მოგვიანებით, გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ, როცა 1966–1976 წლებში მისი თხზულებების თორმეტტომეული გამოიცა. გადავიკითხე სუყველა და მხოლოდ პოეტურ სიდიადეზე კი არ შემიჩერდა ყურადღება, არამედ იმ სიბრძნეზე, რომელიც თავმოყრილია მის შემოქმედებაში. პოეტის ბრძნული გამონათქვამებისა და ზოგი მოსაზრების ამონარიდები შევადგინე, და, აი, სწორედ მაშინ ნათლად დავინახე და გავიგე, თურმე ვინ და რა ყოფილა ნამდვილი გალაკტიონი, რომელიც ერთ დროს მხოლოდ დიდებული ლექსების შემქმნელი და ლაღად მოქეიფე კაცი მეგონა.

გულწრფელად ვამბობ: ჩემი ცხოვრების განვლილ გზაზე თავმოყრილ მოგონებათა შორის ბევრია ჩემთვის ძვირფასი, მაგრამ იმგვარი, როგორიც ბედმა გალაკტიონთან შეხვედრები მარგუნა, იმას ვერც ერთი ვერ შეედრება.

ოთარ ოსაძე

ამაგდარი მასწავლებელი

ქართველებს ერთი ასეთი ანდაზა გვაქვს: – „ღამემ გაიარაო, ამაგმა ჩაიარაო“. ზოგს შეიძლება ეს ანდაზა არ მოეწონოს და თქვას, არა, ასე არ არის, ამაგი უკვალოდ არ ჩაივლის და ამაგდარ მოკეთეს სამაგიეროს გადახდა უნდაო. ხალხი ბრძენია და ამ მოკლე ანდაზაში ბევრი რამ არის ნაგულისხმევი, ჩვენში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სწრაფად ივიწყებენ მისადმი მოყვასის მიერ განუთლ სიკეთეს. და სამადლობელი ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდებათ ამაგდარი ადამიანის მიმართ. ქართველებს მეორე ანდაზაც გვაქვს: – „ამაგი სესხად და ვალად გადადისო“. ეს გამონათქვამი კი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ამაგი ვალია და ყველა ვალდებულია ეცადოს, ეს ვალი გადაიხადოსო.

მე იმდენი ვალი შემომრჩა ჩემი მასწავლებლებისა სკოლის პირველი კლასიდან მოყოლებული ინსტიტუტის დამთავრებამდე, რომ მისი გადახდა შეუძლებელია, ილია ჭავჭავაძეს ნათქვამი აქვს: „ქართველის უბრალო მადლობა გვერჩივნოს ყოველ დიდებასო, „და რადგანაც მეც ქართველი ვარ და სხვა საშუალება ნაკლებად გამაჩნია ამაგდარ მასწავლებლებს საკად-

რისი პატივი მივაგო, მინდა ამ წერილით მათ უბრალო მადლობა მაინც გადავუხადო. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობაც არ გვექნებოდა, ეს ჩვენი ძვირფასი ჟურნალი რომ არ გაგვაჩნდეს.

მასწავლებლის პატივისცემა, სიყვარული, მადლიერების გამოხატვა ყველა ადამიანის ვალია. მოუსმინოთ, რას გვარიგებენ, გვმოდვრავენ და გვირჩევენ ჩვენი ბრძენკაცები. თქვენ ყველას გახსოვთ შოთა რუსთაველის აფორიზმი „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუზურს გულსა ჰგმირდეს“, გავისხენოთ ილიას ნათქვამი: „მწვრთნელის კარგად ხსენება განვრთნილისაგან მოსაწონია“, ჩვენი დროის დიდი მეცნიერის ავლიბ ზურაბაშვილის ნიგნში ამოვიკითხე: „ადამიანს, რომელიც ივიწყებს მასწავლებლის ამაგს, არ შეიძლება ჰქონდეს ნათელი გზა“. ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალ კაცს, რომელიც ადრე გაეცალა ამ ქვეყანას, კოტე ხიმშიაშვილს უწერია: „ადამიანი ისე სიყვარულით და პატივისცემით არავის მოიგონებს, როგორც კარგ მასწავლებელს“. სხვა მრავალი საინტერესო გამონათქვამიც არსებობს მასწავლებელზე, მაგრამ მათი აქ ჩამოთვლა მეტად

შორს წაგვიყვანს.

მადლიერებით ვიგონებდი და ვიგონებ ინსტიტუტში ჩემს მასწავლებლებს: გიორგი გიორგიძეს, გიორგი ბაქრაძეს, იოსებ ორჯონიკიძეს, შალვა კეკელიას, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ჩემი ცხოვრების გრძელ ხნულში. ნათქვამია, ვინც კარგი ოსტატის შეგირდი არ ყოფილა, იგი კარგი ოსტატი ვერ გახდებოდა. თუ ჩემში რაიმე კარგი და კეთილი დარჩა, სწორედ ადრე რომ ჩემს მასწავლებლებს უნდა ვუმაღლოდე, მათ შორის, გამორჩეულად ბატონ ნიკო ლორთქიფანიძეს, რომელთანაც უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომიხდა ურთიერთობა, რაც სტუდენტობის დროიდან დაიწყო და ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე მისი ხელმძღვანელობით მუშაობის დროს გაგრძელდა, ამიტომაც ბატონი ნიკო მუდმივად იყო ჩემთვის კეთილი და ამავდარი მასწავლებელი.

ინსტიტუტში 1945 წელს ჩავირიცხე. ომი ახალი დამთავრებული იყო და ხალხს ძალიან უჭირდა, მათ შორის სტუდენტობასაც, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ხელისუფლება მაინც ახერხებდა, ხალხს რალაციით დახმარებოდა. სტუდენტს სტიპენდია ხომ გვექონდა და, პერიოდულად, ტანსაცმლის შესაძენ ტალონებსაც გვირიგებდნენ, ინსტიტუტში გვექონდა სასადილო და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამკერვალო სახელოსნოც. პირველ კურსზე მომცეს ტალონი, რომლითაც შევიძინე ინგლისური წარმოების ყავისფერი ქსოვილი, რომლითაც ჩვენმა მკერავმა შემიკერა სამხედრო ფორმის „შინელი“. ინსტიტუტში სწავლების ოთხი წელი ამ „შინელით“ გავატარე. ამის გამო და იმიტომაც, რომ ლექციებს ხშირად ვაცდენდი, ბატონმა ნიკომ ზედმეტსახელად „გენერალი“ შემარქვა და როდესაც რამდენიმე დღის ვაცდენის შემდეგ ლექციაზე დამინახავდა, იტყოდა ხოლმე: „ო, ჩვენი გენერალი მოსულაო“. არ გეგონოთ, რომ ბატონი ნიკო ამ სიტყვებით დამცინოდა, პირიქით, ამას ისე ამბობდა, თქმაში სიტბო, სიყვარული და თანაგრძნობა იხატებოდა, მან ხომ ვაცდენების მიზეზიც იცოდა: ცოლ-შვილი სოფლად, მშობლებთან მყავდა და ხშირად მათ სანახავად დავდიოდი. ბატონ ნიკოს ბოძებული ჩინი – „გენერლობა“ საამაყოდ მიმანჩნდა და ვცდილობდი, ჩემი მასწავლებლის ნდობა გამემართლებინა, გამოცდისათვის საგანგებოდ ვემზადებოდი და სწორედ ამიტომაც ჩათვლის წიგნაკში, რომელსაც ახლაც სათუთად ვინახავ, ბატონ ნიკოს ხელით ჩაწერილი ხუთიანებიც ურევია.

გაჭირვებული სტუდენტური ცხოვრების მი-

უხედავად, დროის კრიალოსანი მაინც მალე ჩამოიმარცვლა და სახელმწიფო გამოცდების დროც დადგა. გამოცდების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მე და ჩემი თანაკურსელი ლევან კვირიკაშვილი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო კომიტეტში გამოგვიძახეს და გვამცნეს, რომ განზრახული აქვთ ჩვენი გაგზავნა მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტის ასპირანტურაში (მაშინ ასე ერქვა ამ ინსტიტუტს, შემდეგ გადაკეთდა კულტურის ინსტიტუტად), სადაც ორი ადგილი საქართველოსათვის ყოფილა გამოყოფილი. მაგრამ ჯერ სახელმწიფო გამოცდები უნდა ჩაგვებარებინა.

პირველი გამოცდა პარტიის ისტორიაში ჩატარდა. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ მონვეული იყო ცნობილი მეცნიერი ილია აბულაძე, კომისის წევრები იყვნენ ფაკულტეტის დეკანი შალვა კეკელია, მდივანი ეთერი სალუქვაძე. მოვლენებს მიხედა ვაფუსნრო და აქვე მოვიგონო, როგორ მწვავედ განიცდიდა ბატონი ნიკო, როდესაც კურსდამთავრებულს სახელმწიფო გამოცდაზე პარტიის ისტორიაში ორიანს უწერდნენ იმის გამო, რომ ესა თუ ის საკითხი არ იცოდა, ეს უკვე მაშინ, როცა მე ბატონ ნიკოს გამოცდაზე გვერდით ვიჯექი, როგორც კომისიის მდივანი. მაშინ კი, როცა მე პარტიის ისტორიაში სახელმწიფო გამოცდას ვაბარებდი, ნამდვილად არ მახსოვს, თუ ვინ იყო ამ საგანში გამომცდელი ლექტორი. ის კი მახსოვს, მის ლექციებს ხშირად რომ ვაცდენდი; ვაცდენდი კი არა, თითქმის არასოდეს ვესწრებოდი, და ამის გამო მივიღე „დამსახურებული“ ორიანი. ცხადია, კომისიის წევრებს, ჩემს მასწავლებლებს: – ბატონ ნიკოსა და ბატონ შალვას, კომისიის თავმჯდომარის ბატონ ილია აბულაძეს არ შეეძლოთ ხმათა უმრავლესობით გადაეწყვიტათ, ჩემთვის დადებითად შეეცვალათ შეფასება. კარგად ვხედავდი, ჩემი მარცხი ჩემზე მეტად მათ განიცადეს. გამოცდის დამთავრების შემდეგ ბატონებმა შალვამ და ნიკომ დამიბარეს და მითხრეს, რომ სხვა საგნებში კარგად მოვმზადებულიყავი, და თუ მაღალ შეფასებებს მივიღებდი, პარტიის ისტორიაში განმეორებით გამოცდაზე დამიშვებდნენ. ასეც მოხდა: შემდეგ გამოცდაში „ფონდებში და კატალოგებში“ ნიკო ლორთქიფანიძესთან და „ბიბლიოგრაფიაში“ ბატონ გიორგი ბაქრაძესთანაც ხუთიანები დავიმსახურე. ბოლოს, „ქართულ ლიტერატურაში“ ბატონმა შალვა კეკელიამ „ოთხიანი“ მაკმარა. პარტიის ისტორიაში ადრინდელი გამომცდელი არ „შეანუხეს“ და მასწავლებელი სოლომონ შარაშენიძე მოინვიეს. გამოცდაზე

ჩემი გამოსვლა დადებითად შეფასდა.

ამრიგად, დიპლომიც მივიღე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო, მოსკოვში აღარ გავმგზავრებულვართ, თუმცა გაივლის რამდენიმე წელი და მე და ლევანი მაინც წავალთ იქ გამოცდების ჩასაბარებლად, მაგრამ ამის შესახებ ალბათ სხვა დროს გიამბობთ.

ახლა საუბრის ძირითად თემას კვლავ მინდა გადავუხვიო და, თუ ჩვენი უფრნალი ამის ნებას დამრთავს, ერთი რამ გიამბოთ, რისი მომსწრენიც ე.წ. „კომუნიზმის მშენებლობის“ ეპოქაში მცხოვრები ადამიანები ვართ, თანამედროვე ახალგაზრდობას კი ამის შესახებ წარმოდგენა არა აქვს. საქმე იმაშია, რომ პარტიის ისტორიის საგანს, რომლის ცოდნაც ყველა სპეცი-ალობის სტუდენტებისათვის სავალდებულო იყო, კომუნისტური პარტიის სახელწოდების ცვლილებასთან ერთად, საგნის სახელწოდებასაც რამდენჯერმე შეეცვალა სახელი, ბოლოს პარტიის ისტორიას სულ სხვა საგანი ჩაენაცვლა, რომელსაც „მეცნიერული კომუნიზმი“ უწოდეს. ეს საგანი მოიცავდა თეორიებს, როგორ უნდა აშენებულიყო კომუნიზმი ჯერ სსრკავშირში, შემდეგ მთელ მსოფლიოში. ეს იყო ლამაზი ზღაპარი იმის შესახებ, რომ მსოფლიოში იქნება ისეთი საზოგადოებრივი წყობა, როდესაც თითოეული ადამიანი გააკეთებს იმას, რისი უნარიც მას გააჩნია და მიიღებს იმას, რაც მის მოთხოვნილებას წარმოადგენს. ასეთი

წყობის შექმნა კი პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, ამიტომაც იყო, რომ კომუნიზმის აშენების თეორიისა არც იმას სჯეროდა, ვინაც ასწავლიდა და არც იმას, ვინც სწავლობდა.

ვთხოვ, მაპატიოს მკითხველმა და იმედი მაქვს ბატონ ნიკოს სულმა, რომ ასეთ უსიამონო თემაზე საუბრით მოვაცდინე თქვენი ყურადღება, მაგრამ ეს იმისათვის ჩავთვალე საჭიროდ, რომ შემდეგში, როდესაც მე თვითონ გავხდი გამომცდელი თბილისისა და ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ მუშაობის დროს, არ მახსოვს, ერთხელ მაინც, რომელიმე კურსდამთავრებულისათვის, პარტიის ისტორიის არცოდნა უცოდინარობად ჩამეთვალა და ხელი ორიანის დასაწერად წამცდენოდა.

გნებავთ ტრაბახში ჩამითვალეთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ პირველ რიგში ბატონი ნიკოსა და სხვა კარგი მასწავლებლების ზეგავლენით, პედაგოგიურ ინსტიტუტში ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში ერთი თვისება ჩამომიყალიბდა – კარგად ვიცნობდი თითოეულ სტუდენტს, ვიცოდი მათი ცოდნის დონე, მით უმეტეს, კურსდამთავრებულის, რომელიც სახელმწიფო გამოცდას აბარებდა. წინასწარ უშეცდომოდ შემძლო განმესაზღვრა, რა ნიშანს მიიღებდა ესა თუ ის კურსდამთავრებული.

გაგრძელება იქნება.

ბიძინა ნანობაშვილი

ჩემი ყველაზე დიდი მოსაბონარი

(ჰამლეტ გონაშვილი)

ჰამლეტ გონაშვილი პირველად 1970 წელს ვნახე. იმ წელს უნივერსიტეტი დავამთავრე და ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თბილისის საექსკურსიო სამოგზაურო ბიუროში გამანაწილეს. აქ არაერთმა გამოჩენილმა ადამიანმა დაიწყო შემოქმედებითი კარიერა, სამაგალითოდ დაასახელეს საქართველოს ბუღალტერი ჰამლეტ გონაშვილი.

ბუნებრივია, დამაინტერესა, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას თანამშრომლებთან. „შენი სახელოვანი თანამემამულე სწორედ მაგ მაგიდასთან იჯდა, აქედან აიდგა ფეხიო“, ღიმილით მითხრა ხანდაზმულმა ქალბატონმა ანა გავრილოვნა კველიშვილმა.

პირადად ჩვენ ვერ ვიცნობდით ერთმანეთს,

მაგრამ შინაურად მივიჩნევდით მას, იმდენს ვუსმენდი რადიოთი თუ ტელევიზიით.

რაკი სტუდენტობის დროს ანსამბლშიც ვმღეროდი, (ხელმძღვანელი თ. ქევხიშვილი), გადავწყვიტე, სახელმწიფო ანსამბლში – ანზორ კავსაძისთვის მიმეკითხა, ვიცოდი, რომ ჩემი სახელოვანი თანამემამულე წლების განმავლობაში იქ წამყვანი სოლისტი იყო. ანსამბლი დავით აღმაშენებლის №125-ში მეცადინეობდა. მისვლისთანავე დავინახე ირაკლი მათიკაშვილი, უნივერსიტეტის ანსამბლის სოლისტი, იმჟამად კი ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალი. მან გამაცნო გურჯაანელი მერაბ მანიჭაშვილი, შესანიშნავი ტენორი. გაიმართა საინტერესო საუბარი. სწორედ ამ დროს თავს წამოგვადგა

ჰამლეტ გონაშვილი. ბიჭები დიდი სიყვარულით მიეგებნენ, მე კი ჟრუანტელმა დამიარა. ისეთი თვალეები მომანათა, დამატყვევა, თუმცა არაფერი უკითხავს. მომეჩვენა, რომ შემატყვო სადაურიც ვიყავი, თანაც ყური მოჰკრა მანი-ჟაშვილის ლაპარაკს, რომელმაც ცამდე აიყვანა ჩემი დიდი წინაპარი – პარიზის გრანდ-ოპერის პრემიერი, მსოფლიოში განთქმული ტენორი მიშელ დარიალი – მიხეილ ნანობაშვილი. ვისმენდი უიღბლო ხელოვანის შესახებ საქებარ სიტყვებს და უსაზღვროდ კმაყოფილი ვიყავი, ვამაყოფდი მისი სახელით, თუმცა გულიც მწყდებოდა, რომ ეს ტალანტი მახეზარობამ, ინტრიგანობამ დაღუპა. ბატონ ჰამლეტს სახე ხან გაეზადრებოდა–ხოლმე, ხან მოელუშებოდა.



ავკარგიანმა, თითქმის ყოველმხრივ ინფორმირებულმა ხელოვანმა იცოდა, რომ ასეთ ტალანტებს, ია–ვარდით მოფენილი გზა არასოდეს ჰქონიათ, ალბათ, თვალწინ დაეხატა თავისი თანასოფლელი ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების ნარეკლიანი გზა. ასეთებს ხომ სიცოცხლეში დაფასება არა უწერიათ. ნათქვამია: „ცოცხალი ხარ – გატირებ, მოკვდები და გიტირებო“.

მერაბმა ლაპარაკი შეწყვიტა და ჰამლეტს წასჩურჩულა: „ანზორი მოდისო“ მერე მე მომიბრუნდა: – „ანზორ კავსაძე არისო“. ახოვანი ვაჟკაცი, რომელსაც თავზე სვანური ქუდი ეხურა, თავაზიანად მოგვესალმა და სარეპეტი-

ციო ოთახში შეგვიპატიჟა! მე გავოცდი, როცა ჰამლეტი სამეცადინო ოთახში არ შევიდა. ის თურმე, იმხანად ანსამბლ „რუსთავში“ ყოფილა გადასული.

გამოჩენილ ხელოვანთან, თანაც უცნობთან, გამოლაპარაკებას თავისებური კრძალვა ახლავს, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა? ბატონ ანზორ კავსაძეს თავაზიანად, მოკრძალებით მივესალმე და ჩემი სურვილი გავანდე. მან გამომკითხა ყველაფერი – სადაურობა, დაბადების წელი, განათლება და რომელიმე ანსამბლში ხომ არ ვმღეროდი ადრე. როცა ვუთხარი უნივერსიტეტის ანსამბლში–მეთქი, ჩაფიქრებით მიპასუხა:

– უნივერსიტეტის და სახელმწიფო ანსამბლები სულ სხვადასხვაა. აქ მარტო სიმღერა არაა. იარე მეცადინეობებზე და ცოტა ხნის შემდეგ გაგსინჯავო. მეც ვესწრებოდი რეპეტიციებს. მახსოვს, ერთხელ დირიჟორი იური თავართქილაძე ამეცადინებდა გუნდს, რომელიც არსენას ლექსზე შექმნილ სიმღერას სწავლობდა. ერთმა გამოთქმამ დიდი დავა გამოიწვია. ვერავინ თქვა გადამწყვეტი სიტყვა.

– სად არის ახლა ჰამლეტი? – თქვა ვილაცამ. დირიჟორმა მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: ჰამლეტი განათლებული კაცია და ახლა ჩვენთან რომ იყოს, საკამათო არაფერი გახდებოდაო“.

სწორედ ამ დროს გავიგე, როგორი მწიგნობარი და განათლებული კაცი ყოფილა ჰამლეტი. არცაა გასაკვირი – იგი ხომ პედაგოგების ოჯახში იზრდებოდა. დედის ზეგავლენით სკოლის ბიბლიოთეკა, ვინ იცის, სრულად ექნებოდა გადაკითხული. ისეც ყვარებია კითხვა, წიგნების შესახებ კამათი, მსჯელობა, თავისი სოფლის ბიბლიოთეკას კარგად იცნობდა და თუ დროს მოიხელთებდა, არ შეიძლებოდა, იქ არ შეეველო.

უაღრესად განათლებული და საინტერესოდ მოსაუბრე კაცი იყო. ერთი ფაქტი საყოველთაოდ არის ცნობილი: ანსამბლი ერთხელ კამჩატკაზე ყოფილა გასტროლებზე. მომღერალ ზაურ კახიძეს ჩხუბი მოსვლა ტაქსის შოფერ-

თან, უცემია, ექვსი მილიციელიც თან მიუყოლებია და, ცხადია, დააკავეს, მისი გამოხსნა თითქმის შეუძლებელი იყო. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, მილიციის უფროსთან მოსალაპარაკებლად ჰამლეტ გონაშვილი გაუშვიათ. მას მართლაც უნახავს მილიციის პოლკოვნიკი, რომელთანაც საკმაოდ დიდხანს უსაუბრია. საუბრის შემდეგ პოლკოვნიკი მისულა ანსამბლის წევრებთან: „პირდაპირ გამანათლა ამ კაცმა, ეს ვინ ყოფილა, რა კაცი მომიგზავნეთ. გაათავისუფლეთ პატიმარი და თუ გინდათ, მე ჩამსვით“.

აქედან კარგად ჩანს ჰამლეტის არა მარტო თავგამოდება მეგობრისათვის, არამედ მისი ერუდირება, საუბრის კარგი უნარი, განათლებულობა, დამარწმუნებლობა, რაც მხოლოდ წიგნიერ კაცისათვის არის დამახასიათებელი.

მართალი გითხრათ, რალაც სიცარიელეს ვგრძნობდით, ჰამლეტი რომ ჩვენგან გადავიდა. სულ სხვაა მაგისი არა მარტო ხმა, ინტელექტიც. იმდენ რამეს იგებს კაცი მისგან-მელაპარაკებოდნენ შესვენებაზე ილია ზაქაიძე, აკაკი ლანდია, ვასო კირთაძე, რობერტ ლომიძე, თეიმურაზ საყვარელიძე, დემურ გარდაფხაძე, დემურ ნიშნიანიძე, ვანო ლუარსაბიშვილი, ნოდარ ჩაჩხიანი, თამაზ ამირანაშვილი.

რეპეტიცია დამთავრდა თუ არა, ანზორ კავსაძემ დირიჟორს დაავალა გავესინჯე. დირიჟორმა შეასრულა დავალება და ხელმძღვანელს მოახსენა: „კარგი ბარიტონია და, საჭიროებისამებრ, მეორე ტენორშიც გამოდგება“. ასე რომ, მიმიღეს, თუმცა რისიც მეშინოდა, არ ამცდა. ანზორ კავსაძემ სხვა საბუთებთან ერთად თბილისში ჩანერის ცნობაც მოითხოვა, რომ გაიგო ჩანერილი არ ვიყავი, შენუხდა. წყრომით თქვა – ხელმძღვანელები იმას კი მეუბნებიან, კარგი ბიჭები მიიღეო, მაგრამ ჩაუნერლები რომ აღმოჩნდებიან, არავითარ ხელის შეწყობაზე აღარ ფიქრობენ.

შემთხვევით ჰამლეტიც იქ იყო და ყველაფერს ისმენდა და გარინდებული იდგა, ხმას არ იღებდა. ანზორ კავსაძემ მას გახედა და დამარიგა: „ბოჰო, უნდა მიდგე, მოდგე, ახლა უნდა გამოგადგეს ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეზობელი, ახლობელი, თბილისელი თანაკურსელი. ხომ გაგიგონია, „ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო“.

არ ვიცი, რა ამოიკითხა ჩემს თვალეში, მაგრამ ჰამლეტი იმ წამს ძალიან ჩაფიქრებული მომეჩვენა. მე მას შესვენებების დროს შევამჩნიე ყველა შემხვედრს ბინის სივინროვეზე და ამ მხრივ თავის სიძნელეებზე ელაპარაკებოდა: ჰოდა, მეც, რა თქმა უნდა, ხათრით ვერაფერს

ვეუბნებოდი, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო.

ასე რომ, დავტოვე ანსამბლი, მაგრამ მალე სამსახურში ინსტრუქტორად დამანიწაურეს და 1972 წელს ასპირანტურაშიც ჩავირიცხე. ჰამლეტი ხშირად მხვდებოდა რუსთაველზე და უმცროს მეგობარს მეძახდა. ჩემთან არაფერს არ მალავდა, ვერ იტანდა უსამართლობას, ნამეტნავად კი თვალთმაქცობას, უხამსობას. ხანდახან მწვავე კამათიც ჰქონია პარტიულ ფუნქციონირებთან. ბინის პრობლემა საკმაოდ აღსავამდა მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას. ხშირად მამხნევებდა: გაჭირვების ცეცხლ-ნავთში გამოზრდილი უფრო ნაღდი კაცი დადგებო. ამით თითქოს მაგრძნობინებდა, რომ არ შეეძლო ჩემთვის დახმარების განევა. ერთხელ მითხრა: შენისთანებზე თქვა ვაჟაფშაველამ:

„ბიჭობა ის კი არ არის,
რო გამაგრებდნენ, ჰმაგრობდე,
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი
– თავისთავადა ვარგოდე“.

რამდენადაც ვიცი, ვაჟა ძალიან უყვარდა, ყველაფერი ჰქონდა ნაკითხული და არაერთხელ გამოუყენებია მისი ლექსის ციტატები.

არაგულწრფელად ნათქვამს ხალხი მაშინვე ამჩნევსო, მითხრა და დაამატა: „ტყუილი ყოველგვარი ბოროტების დედაა“. მას ხომ არასოდეს არავინ მოუტყუებია. მისთვის უცხო იყო პროფესიული შური და პატივმოყვარეობა. სიმღერის მაგია, ყველა დროის საუკეთესო მგალობელი, მოლულუნე – აი ის სიტყვები, რითაც ამკობდნენ მას.

ახლაც სიყვარულით მაგონდება 1972 წლის აგვისტო, როცა საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში გვესტუმრა. ყველას, განსაკუთრებით ძველ თანამშრომლებს, გულითადად მოეფერა, ხელი გადაუსვა ნაცნობ მაგიდებსაც და სკამებს. ყველას გააცნო ახალშერთული მეულლე – ქალბატონი ლამარა ცინცაძე.

1978 წლის 15 მარტი იყო. იმ დღეს ცოტა ადრე წამოვედი საჯარო ბიბლიოთეკიდან, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტულ ვეცხოვრობდი. გავაღე კარი და გული სიხარულით ამიძგერდა: ჰამლეტ გონაშვილი თავისი უფროსი ვაჟით ჩემთან სტუმრად მოსულიყო, თურმე ჩემთან მცხოვრებ თენგიზ ქავთარაძეს კორპუსის წინ გამოვლილნი დაუნახავს და შემოუპატიჟნია ოთახში, სოფლიდან ჩამოტანილი მქონდა 20 ლიტრი კამკამა კახური ღვინო და გავთამამდი.

– ახლა ვფიქრობდი ზუსტად, საცაა მოვა ნაწობაანთ ბიჭი-მეთქი, – მეგობრულად მითხრა. ვხედავ მეორე სადღეგრძელოს სათქმელად

ჭიქა უკვე აუფსია. მივხვდი – მას მამულის სიყვარულში დაფერფლილი, ორი წლის წინ გარდაცვლილი მამის – რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის დიმიტრი გონაშვილის სადღეგრძელო უნდა ეთქვა, იმ კაცისა, რომელსაც ქართველი ხალხის გამირული წარსულის ტრფიალმა მოატარა საქართველოს მთა და ველი, ტყე და მდელი, მონასტრები და გამოქვაბულები, ქონგურებიანი ციხე-კოშკები...

მისი „სამიჯნობელი“, პაპის მოსახელე პატარა შვილიშვილი სიყვარული თვალებით შემოგვყურებდა. სადღეგრძელო თენგიზმაც წარმოთქვა და ბოლომდე შესვა. მე ლექსად ვთქვი იმ ქვეყნის მკვიდრი მათი მამების მოსაგონარი.

ჰამლეტმა ჩვენი ოთახი ორჭოფულად შეათვალიერა და დანანებით გვითხრა: – „ნუთუ საქართველოს მომავალ სამეცნიერო კადრს მეტი პირობები და ხელშეწყობა არ უნდა ჰქონდეს? რამდენი ვიცი, მთელი ცხოვრების მანძილზე ოთხმოცი პატრონი გამოუჩნდება–ხოლმე, მაგრამ ვერ იყენებსო. მერე ღიმილით დაუმატა: ნანობაანთ ბიჭო, შენთან კაცი არ მოიწყენსო – ენათაფლობდა ღვინის ეშხით შეჭიკჭიკებული ჰამლეტი, თან განაგრძობდა: – რამდენი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ და სუფრასთან კი დღემდე არ შევხვედრივართ ერთმანეთს. მოდი, ამისი შესატყვისი დაილოცეთო. მეც არ დავაყოვნე, შემდეგი სადღეგრძელოც ლექსად ვთქვი.

ბევრი საინტერესო ეპიზოდი მოვიგონეთ ანაგელთა და ვაქირელთა ურთიერთობიდან, მათი ყოფა-ცხოვრებიდან, რაზეც გულიანად ეცინებოდა.

ჰამლეტი მეტად საინტერესო მოსაუბრეც იყო. ლაპარაკობდა აღტაცებით, პათოსით. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, მას რომ ვუსმენდი. დაუფინყარია ის საღამო ჩემთვის. რომ წავიდა და მარტოდ დავრჩით მე და ჩემი თანოთახელი, კაი ხანს ვუჯექით მაგიდას და ფიქრით ისევ მასთან ვიყავით. მისი წასვლის შემდეგ თითქოს ყველაფერი მოწყენილად გამოიყურებოდა. თავს ვეუბნებოდი: ნეტავ ყოველდღე ეგეთ ადამიანებთან მქონდეს საქმე, რა ბედნიერი ვიქნებოდი–მეთქი. სულ თვალწინ მედგა ჰამლეტის სილაღე, სიცილი, ღულუნი.

ღილით კვლავ დავტრიალდი და სუფრა განვაახლე. გადამწყვეტილი მქონდა ჰამლეტის მოპატიჟება. ვენვიე ბინაში ყიფშიძის ქუჩაზე, მაშინვე გამომყვა მის ოჯახში მისულ სტუმართან ერთად. ცოტა ხანს დარჩა, ბოდიში მოიხადა – ამჯერად უნდა დაგტოვოთ, გული აქ, ნანობაანთ ბიჭთან და თქვენთან მრჩებაო, მიუბრუნდა ჩემს ამხანაგებს, რომლებიც ჩემსავით ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ისევ აქ

ცხოვრობდნენ და ჩემი სტუმრები იყვნენ. მე ხომ ახალგაზრდული წლები იქ გავატარე საკუთარი ჭერის უქონლობის გამო, ზევით – ქვევით სიარულში ძვირფასი დრო მეკარგებოდა. არ მომეცა იმის საშუალება, რომ სოფელში მყოფი ცოლ-შვილი ჩემთან, ერთ პატარა ოთახში ჩამომეტყვანა. ჰამლეტმა ეს ყველაფერი სუფრასთან გულახდილი საუბრიდან იცოდა და სინანულით თქვა: მე ბინის სივინროვეს კი განვიცდი, მაგრამ საკუთარი ჭერი მაინც მქონდა მშობლების წყალობით. ამ მცხოვრების თავდადება, ღვანლი ათმაგად დასაფასებელია, რადგან დამოუკიდებლად, ყველას დაუხმარებლად ენევი ცხოვრების ჭაპანსაო.

ახლაც ყურში ჩამესმის მისი გულითადად ნათქვამი სიტყვები.

ძვირფასმა სტუმარმა დამშვიდობებისას ადღეგრძელა კაცურკაცობა, გვისურვა წარმატებები მეცნიერებაში, სუფრასთან ლაზათიანი ქართული ხალხური სიმღერის არმოშლა და წავიდა.

ამის შემდეგ, სადაც კი შემხვედებოდა, მამხნევებდა და მეუბნებოდა: ძალიან ვწუხვარ, ვერაფერში, რომ ვერ გეხმარებიო: ოღონდ გახსოვდეს, დისერტაციის დაცვა არ გამომაპარო, უნდა დავსხდეთ ერთად და ლაზათიანად დავაგუგუნოთო.

1981 წლის ივლისში რაიადმასკომის კიბეებზე შემხვდა და მივულოცე საქართველოს სახალხო არტისტის წოდების მინიჭება. შევატყვე, რომ ძალიან ესიამოვნა, მაღლობა მითხრა და უცებ მომიბრუნდა: – „ნეტავ მეც შენსავით ასპირანტურა დამემთავრებინა და მეცნიერებას გაველოდიო“. გაკვირვებული ვუყურებდი და ვრწმუნდებოდი, რომ ამას მხოლოდ მისნაირი, დიდბუნებოვანი კაცი თუ იტყოდა. თანაც დაამატა: „ილიას თქმისა არ იყოს, ვაი იმ კაცს, ვისაც სხვისი ცოდვა აულია კისრად. ბინის მისაღებად ამდენს, რომ გატარებენ, ვაი იმათ, თორემ შენ, ვიცი, ამ დაბრკოლებასაც გადალახავ, მალე ბინასაც მიიღებ და დისერტაციასაც დაიცავ. ვინც შენთან პირშავად არის, თავიანთი სირცხვილიც ეყოფათ, ღმერთს შენნაირების გამოცდა უყვარსო.“

1984 წლის მაისის უკანასკნელ კვირას სიღნაღში სიმღერის ღღესასწაულზე ვნახე. სიმღერის დაწყებამდე გულთბილი სიტყვებით მოხიბლა მსმენელი, როცა გაიხსენა ძველი მეგობარი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, შესანიშნავი მომღერალი, ლოტბარი ლუდა ქუფარაშვილი, რომელიც ყოველ ახალ წელს საქართველოს თავისი დარბაისლური კახური მრავალჟამიერით ულოცავდა. ჰამლეტის მიერ მისი გახსე-

ნებამ ყველას სევდა მოგვარა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას თავისი სტილი აქვს. ნათქვამია „მჯობზე მჯობი არ დაილევავო“ და აი, ჰამლეტმა წამოიწყო „ოროველა“. ძნელი იყო თქმა, სიმღერის მელოდია იყო ასე გრძნობით დაფერილი, თუ მომღერლის ხმანმინდა ჰანგი იყო მიზეზი, რომ მსმენელის გულს შარბათივით ეტკბილებოდა, სხეულს კი ძილბურანის სიამეს აგრძნობინებდა ეს ჰანგები. ერთი კი ცხადი იყო, რომ მომღერალს გული უმღეროდა. სიმღერა ხომ გულის მღერაა. როცა გული მღერის, გონება მაშინ გრძნობს მის სიძლიერეს. არის წუთები, როცა გონება გულს ემონება. ჰამლეტის გულსაც ხომ ჰქონდა თავისი სამყარო, წუთები მწუხარებისა და სიხარულისა. მღეროდა ჰამლეტი. მელოდია და გულის საძირკვლიდან მომსკდარი განცდა ისე ბუნებრივად შეექსოვებოდნენ ერთმანეთს და ისეთი მიმზიდველი იყო, როგორც პირმშოსთვის დედის ქართული იავანა მოხარატულ აკვანთან. მაისის ის მშვენიერი დღე სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

იმავე წლის 7 ნოემბერს სიღნაღიდან ვაქირში – ჩემს სოფელში მოვდიოდი. ანაგაში რომ ჩამოვედი, ავტობუსიდან დავინახე ჰამლეტი, რომელიც თავის დედას და ნათესავს – ოსიკოს ელაპარაკებოდა. ძალიან გამიხარდა და მძლოლს გავაჩერებინე ტრანსპორტი, რათა ჩავსულიყავი და ის დღე საქართველოს ბუღბულთან გამეტარებინა. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ გამაცნო მან თანამოსაუბრენი: „ეს ჩემი უმცროსი მეგობარია. ერთდროულად ორი ფრონტი გადაიტანა – დისერტაციაც დაიცვა და ბინაც მიიღო მთლად უკაპეიკოდ; ზურგი ამას არ ჰქონია და პატრონიც არსაიდან გამოსჩენია, ამიტომაც ვაფასებ და მიყვარსო.“

მთელი სულით და გულით დავპატიჟე „ზაოტში“, მაგრამ არ წამომყვა. ძალიან გადაღლილი ვარ, გუშინწინ ერთ სუფრაზე თითქმის რვაჯერ გადმოვიდნენ ყანნით ალავერდს. მოვკვდი კაცი, აღარ შემიძლიაო; ვანო სარაჯიშვილი ღვინომ მოკლა, მეც ღვინოს ხომ არ მოვეკვლევი ვინებო.

ვინ იცის, შეიძლება რაღაცას უგრძნობდა იქნებ კიდევ გული.

სიცოცხლის ბოლო ორ წელს საუბარი აღარ იტაცებდა, სულ სადღაც ეჩქარებოდა, ხშირად იტყოდა–ხოლმე: – „ყველაფერი უნდა მოვასწრო, შვილები დასაზრდელი მყავსო“. ერთხელ ძლივს შევაჩერეთ რუსთაველის პროსპექტზე მე და ირაკლი მათიკაშვილმა და სამივემ ერთად სამახსოვროდ სურათიც გადავიღეთ, თუმცა ჩვენამდე იმ სურათს არ მოუღწევია.

1985 წლის მარტში სოფელში, ჩემს ოჯახში, გაშლილ სუფრაზე მთხოვეს, აუცილებლად დამეპატიჟებინა ჰამლეტ გონაშვილი. ასეთ მომენტს ხელიდან როგორ გავუშვებდი? სამი დღით ადრე დავპატიჟე. ყველა მოუთმენლად ელოდა ძვირფას სტუმართან შეხვედრას, მაგრამ არ მოვიდა. როგორც მერე გავიგე, თვითონ მას ჰყოლია თბილისიდან ჩამოსული სტუმარი და ამან შეაფერხა.

უკანასკნელად ჰამლეტი იმავე წლის 20 მაისს ტელესტუდიაში ვნახე. იქ მაშინ ტელევიზიისა და რადიოს ვაჟთა ვოკალურ ანსამბლში ვმღეროდი, რომლის ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მამია ხატელიშვილი იყო. კარგად მახსოვს ჰამლეტის სიტყვები, მე რომ მითხრა: – „ძნელია ჩვენნაირი ხალხისათვის სამეცნიერო, სახელოვნებო და სოფლის საქმეების ერთდროულად გაძღოლა. შენ რო გიყუვრებ, მიხეილ ჯავახიშვილის შეგონება მაგონდება, ყმანვილებს რომ მიმართავდა: – „ისე იცხოვრე ამ ქვეყნად, ვითომ არც მოვალე გყავს და არც მშველელიო!“. ხომ ჩამოიტოვე უკან სტუდენტების ამბები, გამკითხავი რომ არავინ იყო? ახლა ფართო ასპარეზი გაქვს წინ, ნანობანთ ბიჭო, და თუ ცოცხალი ვიქენი, სადოქტოროზე მაინც მოვალ, არ გაგიცდენო“.

რაღაც უცნაურად მეჩვენა სიტყვები: „თუ ცოცხალი ვიქნებიო“. დეტალურად მახსოვს ის დღე. მთელი დღე ვფიქრობდი: წამოსცდა თუ ეს რა თქვა, ადრე ვანო სარაჯიშვილი მოიყვანა მაგალითად, გული ხომ არაფერს უგრძნობსმეთქი? რას წარმოვიდგენდი, რომ ის დღე ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისა იქნებოდა.

25 ივლისს თელავში ვიყავი და როცა მოსალამოვდა, ვაქირში დავბრუნდი. ავტობუსიდან ანაგის საყდრის წინ დამწუხარებული ხალხი შევნიშნე, ყველას სახე ჩამოსტიროდა. ცუდად მენიშნა. თავზარი დამეცა, როცა მითხრეს, ჰამლეტ გონაშვილი დაიღუპაო.

ბუღბულზე არაერთი ლეგენდაა ცნობილი. ბავშვობაში გამიგია მისი ერთი ვარიანტი, რაც არსად არ დაბეჭდილა. თურმე იმდენი უგალობნია, რომ დაღლილ–დაქანცული წვეტიან ჭიგოზე გულისპირით დაცემულა და იქვე დაუღევია სული. რა საოცარი მსგავსებაა იმ ბუღბულისა და ჩვენი ჰამლეტის სიკვდილში! ნუთუ განგების ნება იყო ყოველივე ეს? ნუთუ ღვთაებრივ კაცს ასეთი სიკვდილი ეკუთვნოდა?

შემოქმედებითი სიმნიფის ზენიტში მყოფი კაცის სანუთროდან უცაბედად წასვლამ თავზარი დასცა ხალხს, ვაი, რა ცუდ დროს უმტყუნა ბედმა! გაოგნებული იყო დიდი თუ პატარა, მთელი საქართველო.



მაყვალა მალრაძე –

თბილისის 21-ე საქალაქო ბიბლიოთეკის მკითხველი

წიგნი-„აზროვნების დაუღლე ფრთები“



წიგნი- „აზროვნების დაუღლე ფრთები“ – აიბეკის ეს ცნობილი სიტყვები გონებიდან არ მშორდება, როცა ჩემს საყვარელ ბიბლიოთეკასთან ჩავივლი. ბიბლიოთეკასთან, რომელთანაც მრავალი ათეული წელი მაკავშირებს. აქ ყოველთვის მხვდებიან გონიერი, ინტელექტუალური, წიგნის უზადოდ მცოდნენი

და დამფასებელი ადამიანები, რომლებიც გვახსენებენ, რომ წიგნი ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორისათვის. ტომები, ადამიანები, სახელმწიფოები ქრებოდნენ, წიგნი კი რჩებოდა.

ადამიანებისათვის ბიბლიოთეკა განსაკუთრებული სამყაროა. სუფთა, კეთილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია ბედნიერები ვიყოთ. შევაბიჯებ თუ არა თბილისის № 21 ბიბლიოთეკის ზღურბლს, იქ თვალანთებული, ღიმილიანი მუშაკები მეგებებიან, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დაუღალავად მოგვემსახურონ მკითხველებს, რომლებიც ყოველდღიურად სტუმრობენ ბიბლიოთეკას. საკმარისია დაგჭირდეთ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების, ნარკვევის ან საგაზეთი პუბლიკაციის მოძებნა, რომ ბიბლიოთეკის თითოეული თანამშრომელი ძალ-ღონეს არ იშურებს, სწრაფად მოგვემსახუროს და არ დაგაყოვნოს. ამით ისინი მკითხველის მადლიერებას და სიყვარულს იმსახურებენ.

აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა. განსაკუთრე-

ბით სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურობენ. სამკითხველო დარბაზი, თავისი სიმცირის მიუხედავად, ყოველთვის მკითხველებითაა სავსე. ზოგი ახალ პრესას ეცნობა, ზოგი საჭირო თემას თუ საკითხს ამუშავებს. ასე გრძელდება წლების განმავლობაში – ზამთარსა თუ ზაფხულში. ბედნიერებაა, როცა უბანში ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი არსებობს. № 21-ე ბიბლიოთეკა ნამდვილად არის რაიონის განათლებისა და კულტურის სამჭედლო, სადაც იგრძნობა ჩვენი ქვეყნის მაჯისცემა.

ღმერთმა იწიგნოს, რომ თვითეულმა მათგანმა კიდევ დიდხანს იღვანოს, აგვაგვსოს წიგნის სიყვარულით, გაგვიცხოველოს ინტერესი ცხოვრებისადმი, სიახლეებისადმი.

ყოველ დღით მივიჩქარი სამსახურისაკენ; რაც არ უნდა ვჩქარობდე, ჩემს ინტელექტუალურ მეგობრებს შევეუვლი და შინაგანი ენერგიით დატვირთული მთელი დღე მაქვს საინტერესო და ბედნიერი.

მადლობა მათ, თვითეულ მის თანამშრომელს, რომელსა ხელწიფება ასეთი სიხარული და ბედნიერება მიანიჭოს ადამიანებს. № 21-ე ბიბლიოთეკის გამგეს ზეინაბ ზაქარიაშვილს, რომელიც ამდენი წელია მუხლჩაუხრელად ემსახურება ამ საპატიო საქმეს და დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს რაიონის თითოეულ მკითხველს შორის; ბიბლიოთეკარებს: მადონა ალანას, ელენე კოტოვიჩს, შორენა ხარაზიშვილს. სწორედ ეს ადამიანები არიან, რომლებიც გვიღამაზებენ ცხოვრებას და გვარწმუნებენ, რომ წიგნიერება გადაარჩენს სამყაროს.

ბავშვ მკითხველთა შემოქმედება

„მიუსი ნიჭსა გზა ფართო!“

ეს სიტყვები დევიზად უნდა მიგვიძღვოდეს, როდესაც ბავშვთა ნიჭიერებას ვეხებით. დასაფასებელია ადამიანები, რომლებიც ამას არა მოვალეობით, არამედ საკუთარი მოწოდებით აკეთებენ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარმა – ქალბატონმა ნანა ქურდოვანიძემ მოკრძალებით შეგვატყობინა, რომ მათი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, შემოქმედებითი წრის წევრი, მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლე მედიკო სიფროშვილი

სერიოზულად არის გატაცებული პოეზიით, თვითონაც წერს ლექსებს და ჯერ მხოლოდ ახლობლებს აცნობს. მედეას, რომელსაც მეგობრები „მედინოს“ ეძახიან და მას ეს ფსევდონი- მადაც კი შეურჩევია, საუკეთესოდ ახასიათებს მისი კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი თეა ქოქრაშვილი.

ჩვენს ყურნალს არაერთი ნორჩი შემოქმედისათვის დაუთმია თავისი ფურცლები. გვინდა ხელი შევეწყნოთ მათ, ნავახალისოთ, და-

ვამეგობროთ წიგნსა და ბიბლიოთეკასთან, გავუღრმავოთ პოეზიის სიყვარული. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ, გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს მოსწავლე მედეა სიფროშვილის რამდენიმე ლექსი, რომლებიც, ცხადია, ჯერ მხოლოდ ნორჩი გოგონას ცდას წარმოადგენს, მაგრამ გვხიბლავს მისი გულწრფელობა, ბავშვური მიამიტობა და სიხალისე.



მედეა სიფროშვილი

ჩემი სამშობლოს გაზაფხული

კვლავ აყვავილდა ჩემი სამშობლო, აღფრთოვანებით დავდივარ ქვეყნად. მახარებს ჩემი მშობლიურ მხარის ლამაზი მთები და ლურჯი ზეცა.

თითქოს მივფრინავ სამოთხის გზაზე, აჰა, ბულბული, აგერ მერცხალი!... აღტაცებული შევდივარ ბაღში, გრძნობამორეულს დამდის კურცხალი.

ჩამესმის ყურში წყაროს ჩუხჩუხი, მდინარე მოჩქეფს და თითქოს ლაღობს. გაღვიძებული ბუნება იძვრის, სამშობლო ყვავის, სამშობლო ხარობს!

მ ზ ე

მზემ გაიღვიძა და ამობრწყინდა, სხივები მოჰფინა არე-მარეს, მზეს ჩვენი ხილვით გაუხარია, ჩვენც მზის სხივებით ვტკბებით.

მზით ავსებულია მთელი ქვეყანა და მზედ ქცეულა უდაბნო ვრცელი, მზეო, ამოდი და გაახარე ყველა ნაყოფი და სულიერი.

დედის აღერსი

როცა დედა მეაღერესება, მაშინ ტკბილად მეძინება. სიზმარშიაც ვხედავ დედას, როგორ ნაზად მეფერება.

გავიღვიძებ, წამოვხტები, დავინახავ ბაღში დედას. იგი იას ეფერება, იღიმება მშვიდად, ნელა. გავიქცევი დედიკოსთან... ჩავეხუტოთ დედას ყველა!...

წუნია კატა

მამა დილით გვეუბნება:
– კატას პური მიუგდეო!
წასვლის წინაც გვეუბნება:
– კატას პური მიუგდეო!

საწყალ კატას მოშივნია, ჩქარა, პური მიუგდეო!
კატას პური მიუგდეო, კატას პური მიუგდეო!

შუა დღისით გვკითხავს მამა:
– კატას პური მიუგდეო?
– კატამ პური არ შეჭამა, კბილს ილესავს ძეხვზედაო კატას ძეხვს რად მიუგდედბდით, ჩვენ თვით გვიყვარს ძალზედაო.

* * *

ჩვენი ყურადღება მიიბჰრო აგრეთვე რუსთა-ვის №9 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლის თაია იაშვილის ნაწერებმა. ჩვენს ჟურნალს ისინი მოაწოდეს გოგონას მასწავლებელმა და ბიბლიოთეკარმა ნ. კობიძემ. როგორც გვატყობინებენ, თაია წარმატებული მოსწავლეა, „სკოლის თვალთა“, საქალაქო თუ რეგიონალურ ღონისძიებებში მონაწილეობისა და გამარჯვებებისათვის არაერთი სიგელითაა დაჯილდოვებული. ბიბლიოთეკის წამდვილი „ბინადარია“. უკვე თითქმის მთლიანად აქვს გადაკითხული „საბავშვო ენციკლოპედია“, „ჩემი პირველი ბიბლია“, „ქართული საბავშვო პოეზიის ანთოლოგია“ და სხვა. უყვარს თეატრი, ლექსებისა და პატარა მოთხრობებისწერა, გატაცებულია ხატვით. სკოლაში მისი ნახატების პერსონალური გამოფენაც კი გამართულა.



თანია მათიაშვილი

წელიწადის დროები

წელიწადის დროები წაეკიდნენ ერთმანეთს – „არა, მე ვარ უკეთესი, არა მეო“.

ზამთარმა განაცხადა: „ბავშვებს ჩემი მოსვლა ახარებს. თოვლი და სიგრილე მომაქვს. სიცხეს სიცივედ ვაქცევ. განა სიცხეს სიცივე არ ჯობია?...“

ზამთარს წელიწადის სხვა დროები აუშხედრდნენ – „ასე არ შეიძლებაო!“

„ზამთარის თოვლს მე ვადნობ, მიძინებული ბუნებაც მე უნდა გავადვიდოო. ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია და ამიტომაც ყველაზე უკეთესი მე ვარო“, – თქვა გაზაფხულმა.

„ოჰ, რას ბრძანებ! ეგრე სულაც არ არის. ყველაფერი შენი კი არა, ჩემი გასაკეთებელია. მოსავალს მე ვამწიფებ, დღეებიც უფრო დიდი მაქვს, ვიდრე ღამე. თანაც მოსწავლეებს სასკოლო არდადაგები და უფრო მეტი დრო აქვთ, რისთვისაც ყველაზე სასურველი მე ვარო“, – აიჩემა ზაფხულმა.

„თქვენ ყველაფერი თქვით და ახლა მე მათქმევინეთო! – იძახდა შემოდგომა, – მე ყველაზე გამორჩეული ვარ. ამ დროს იკრიფება ხილი, იმართება რთველი. ბებიები თათარას ამზადებენ და ჩურჩხელებს ავლებენ, ბუნება კი ოქროსფრადაა შეფერადებული, იქმნება იშვიათი სილამაზის მხატვრობა“.

„მოდით, შევთანხმდეთ! – დააწყნარა წაკამათებული წელიწადის დროები დედაბუნებამ. ადამიანები ყველაფერს აფასებენ, მათ კი უკვე

იციან, რომ თქვენ ყველანი უერთმანეთოდ არ ივარგებთ და წელიწადის ყველა დრო თავისებურად ძალიან ლამაზია.

გაზაფხული

გაზაფხულო, გაზაფხულო,
მოდით, მინდა ყურში გითხრა:
შენ ყველაზე ნათელი ხარ,
შენ ყველაზე ფერადი ხარ!
ჩიტუნებს და ცხოველებს
შენი მოსვლა უხარიათ,
ბავშვები თუ მოზრდილები
ყველანი გელოდებიან.
გაზაფხულო, მინდა გითხრა,
შენ ყველაზე ლამაზი ხარ!

ჩიტის ბარტყი

ღობეზე ბარტყი დამჯდარა,
ჯერ ვერ დაფრინავს პატარა,
დედას დაეძებს, ჟღურტულებს,
შველას მოითხოვს ნაცარა.

დედაც დაეძებს თავის ბარტყს,
აიკლო მთელი ქვეყანა,
იგი მზად არის შვილისთვის
არ დაიხოს უკანა.
თავს დააცხრა შვილის მტერს,
არას დაეძებს ვინც იყოს.
მაინც იპოვის თავის შვილს
სადაც არ უნდა იქ იყოს.

ია

კოპნია და ლურჯკაბა
მორცხვია და პატარა.
თავს ამოყოფს გაზაფხულზე
მოგვახარებს კარგ ამბავს,
თითქმის ყველასთვის მოიტანს
დიდ სიხარულს უთვალავს,
თოვლის ქვეშ ამოზრდილი
ია-ია ლურჯთვალა.



* * *

რედაქციაში მრავალი მასალა იყრის თავს, რაც გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერ არიან დაინტერესებულნი პატარები და მოზარდები პოეზიით, შემოქმედებით, ბიბლიოთეკით, წიგნით. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მოსწავლის წერილი და ლექსი, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნეს. ზოგს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს გასაცნობად. ამჟამად გამოვყავით ერთი სკოლის პატარა შემოქმედთა წერილები. ისინი სიყვარულით ლაპარაკობენ თავიანთ ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკარზე – ონის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორზე – ანა ერისთავზე.

„მე ბიბლიოთეკა ძალიან მიყვარს“, – წერს მოსწავლე მარიამ გუგუშაშვილი – „მისი კარები როცა შევალე, მაშინვე მივხვდი, ბიბლიოთეკა ბევრ ცოდნას გვაძლევს. ბიბლიოთეკაში ბევრი ლექსი ვისწავლე. ეს ქალბატონ ანა ერისთავის დამსახურებაა. მას უნდა, წიგნი ჩვენი მეგობარი გახდეს... წიგნზე ლექსიც კი დავწერე“, – ამთავრებს მარიამი და ლამაზად გაფორმებულ ფურცელზე, რომელზეც წიგნი და ყვავილები გამოსახული, თავის ლექსს გვთავაზობს:

„დღეს სკოლაში რომ შევედი,

მერხზე დამხვდა წიგნი.

გადავშალე, დავინახე

ჩვენი ანა ერისთავი“.

ასევე ლამაზად გაფორმებულ ფურცელს გვიგზავნის მეოთხე კლასელი ნინო სხირტლაძე. ყვავილებს შორის ჩახატული წიგნის ზემოთ თავისი ლექსი დაუწერია, რომლის სათაურია „წიგნი“:

„სკოლის კარები როცა შევალე,

მერხზე დამხვდა წიგნი ქართული.

მისგან ყველაზე მეტად ვისწავლე

ჩვენი სამშობლოს დიდი წარსული.

თითქმის ამგვარდევ იქცევა მოსწავლე მარიამ დავლიანიძეც, რომელიც თავის ლექსსა და ლამაზად დახატულ ყვავილებს ქალბატონ ანა ერისთავს უძღვნის. ის თავის გრძნობას გულწრფელ ლექსში გამოხატავს:

„წიგნი მაშინ შემეყვარდა,

რომ ვისწავლე ანა–ბანა...

ლექსის კითხვა შეგვაყვარა

ჩვენმა ანა ერისთავმა.

ორი ლექსი მიუძღვნია მას წიგნისათვის. ერთ–ერთში იგი გადანყვებილად აცხადებს, ვისაც წიგნი არ უყვარს, ის თავისი ერის მტერია და განაგრძობს:

„ვინც წიგნს კითხულობს, მან იცის ცხოვრების ავან–ჩავანი.

თუკი გინდა, რომ გასწიო

ცხოვრების მძიმე ჭაპანი,

იკითხე, ბევრი ისწავლე –

ეს არის გამოსავალი,

წიგნი ხომ ცოდნის წყაროა,

ბევრ რამეს იგებ ამით.

ღმერთო, ნუ მოშლი ამ ქვეყნად

ბიბლიოთეკას... ამინ!

მეორე ლექსშიც გონივრულად მსჯელობს:

„წიგნს გაფრთხილება სჭირდება,

იგი ცხოვრების განძია.

აქ წავიკითხე, სად არის

იყალთო, ხანძთა, ვარძია.

თუ ცხოვრებაში ვიღაცას

სურს, რომ მოკრიფოს ვარძია,

დაჯდეს და ბევრი იკითხოს –

ეს ყველასათვის მადლია“.

მარიამს პირველად წაკითხული წიგნების შთაბეჭდილებებიც კი გამოუგზავნია ჩვენთვის, რომელშიც ვგატყობინებს, რომ ყველა წიგნი ძალიან მოეწონა, რომელიც კი ნაუკითხავს.

... მოსწავლე მირიან ბურდილაძე თავისი შთაბეჭდილებების გაზიარების გარეშე გვთავაზობს თავის ერთ ლექსს:

„სულ ერთ წამში შეიძლება,

გადაიქცე ხედ ან ჩიტად.

თუკი ვიყვარს წიგნის ხელში

არა მარტო ფურცვლა, – კითხვაც.

იკაროსის დიდი ფრთები

ცვილის იყო, მიტომ დადნა...

თუკი ცოდნის ფრთებს შეისხამ,

აფრინდები მზეზე მალლა;

სიყვარულიც თუ ისწავლე,

ერთგულეზაც, მოთმინეზაც,

მაშინ ერთი კარგზე კარგი

ბავშვი შენგან გაიზრდება.

სასიხარულოა, ჩვენი ბავშვების უმრავლესობას კვლავაც უყვარს წიგნი. განსაკუთრებით ამით გამოირჩევიან შემოქმედი ბავშვები. საჭიროა, ჩვენმა კითხვის მართვის ორგანიზატორებმა ყურადღება მიაქციონ ამას და ხელი–შეუწყონ მოსწავლეებში შემოქმედებითი იმპულსების გალძიერებას.

დავით გიგინეიშვილი

„სიმონ ბოკანეგრა“ ლოს-ანჯელესის ოპერაში

ოპერა „სიმონ ბოკანეგრა /Simon Boccanegra“ შექმნილია შემოქმედების ზენიტში მყოფი ვერდის მიერ ისეთი შედეგების შემდეგ, როგორიცაა „რიგოლეტო“, „ტრუბადური“ და „ტრავიატა“, მაგრამ თავად კომპოზიტორი არ იყო კმაყოფილი არც ნაწარმოებით და არც საპრემიერო დადგმით (ვენეცია, 1857). ახალგაზრდა არიგო ბოიტოსთან „ოტელო“-ზე თანამშრომლობის ტალღაზე იგი ფუნდამენტურად განაახლებს ოპერას, კერძოდ, სავსებით შეცვლის პირველი აქტის ფინალს („საბჭოს დარბაზი“), გამოკვეთს და რელიეფურს გახდის მთავარი გმირის სახეს და შედეგად ოპერის 1881 წლის რედაქციაში გაჩნება რამდენიმე, უდავოდ შთამბეჭდავი სცენა. ამის მიუხედავად, ოპერა, რომელიც XIV საუკუნის პოლიტიკური ინტრიგების ფონზე გენუის რესპუბლიკის დოჟის სიმონ ბოკანეგრას პირად ტრაგედიას ასახავს, დარჩა მაინც ღრმად სევდიან, დანისლულ ფერებში და მისი დადგმა მხოლოდ რომელიმე ვარსკვლავ-ბარიტონის პატივსაცემად თუ ხორციელდებოდა დიდ საოპერო სცენებზე. მსოფლიოში სახელგანთქმული ტენორი პლასიდო დომინგო დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც 2007 წელს „სიმონ ბოკანეგრა“-ში მთავარი ბარიტონალური როლის შესრულების სურვილი გაუჩნდა და პრემიერის თარიღიც კი განსაზღვრა. პრემიერა შედგა 2009 წლის 24 ოქტომბერს ბერლინის სახელმწიფო საოპერო თეატრ „Unter den Linden“-ში, დირიჟორ დანიელ ბარენბოიმის ხელმძღვანელობით. პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა და გადაინაცვლა ევროპის სხვა უდიდეს საოპერო თეატრებში: მილანის „ლა-სკალა“-ში, ლონდონის „კოვენტრ გარდენ“-ში და ა.შ.

2009 წლის მიწურულს, მიწვედა რა მივლინება გერმანიაში, ჯერ კიდევ მაშინ ჩავიფიქრე ამ სპექტაკლზე დასწრება, მაგრამ ბერლინში ჩასვლა მნიშვნელოვნად ცვლიდა ჩემს მარშრუტს და მე დიდი გულისტკივილით გადავდე ეს ნატვრა. 2010 წელს „სიმონ ბოკანეგრა“ უკვე იდგმება ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“-ში, 69 წლის დომინგოს იუბიდეზე რამდენიმე დღით ადრე, და ისევ ტრიუმფი! ცნობილმა მუსიკალურმა კომპანიებმა წარმოდგენა სამჯერ ჩაიწერეს სხვადასხვა საოპერო თეატრებში, რა თქმა უნდა, მთავარ პარტიაში დომინგოს მონაწილეობით, და

უკვე გამოსცეს დედ-დისკებზე, რაც რეკორდულია საოპერო დედ კატალოგისთვის. წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი იქნებოდა ჩემი სიხარული, როდესაც 2012 წლის დასაწყისში, პოლივუდში ჩემი ყოფნისას გაჩნდა ამ სპექტაკლზე დასწრების იმედი. ლოს-ანჯელესის (ელ-ეი) ოპერამ, რომლის გენერალური დირექტორი თავად პლასიდო დომინგოა, როგორც იქნა, დადგმის ტრიუმფალური სვლის მესამე წლის თავზე, ამა წლის თებერვალ-მარტში „სიმონ ბოკანეგრას“ შესრულების შესახებ გამოაცხადა. გარი მერფმა, ელ-ეი-ს ოპერის საზოგადოებასთან კავშირის დირექტორმა აკრედიტაციის დასრულებას და მე დავესწარი ამ სპექტაკლს.

დოროთი ჩანდლერის პავილიონის შესასვლელთან ხალხი სამ რიგად იყო ჩამსკვრივებული. მსმენელების დაუსრულებელი ნაკადის გამო წარმოდგენა ოდნავი დაგვიანებით დაიწყო, იგრძნობოდა დიდი მოლოდინი და ინტერესი ამ სპექტაკლის მიმართ. სპექტაკლს ცნობილი დირიჟორი ჯეიმს კონლონი ხელმძღვანელობდა.

ოპერის ლიბრეტო ეფუძნება ანტონიო გუტიერესის დრამას – ავტორისას, რომლის ნაწარმოები საფუძვლად დაედო კომპოზიტორის წარმატებულ ოპერა „ტრუბადური“-ს ტექსტს. სიმონის სახით ვერდის შემოჰყავს საკმაოდ რთული პერსონაჟი – წარსულში მეკობრე, პლებეი სიმონ ბოკანეგრა, რომელსაც ირჩევენ გენუის რესპუბლიკის დოჟად, მაგრამ შეუპოვარი და მკაცრი სიმონი ტრაგიკული სიყვარულის მსხვერპლია და მისი ცხოვრება თითქმის დაკარგული ქალიშვილის ძებნაში გადის. ამავე დროს მას უწევს შეუძლებელი – შეარიგოს პატრიციებისა და პლებეების პარტიები და აიცილოს სამოქალაქო ომი, დაიბრუნოს ფიესკოს ოჯახის ნდობა, რომლის ქალწულის გულის დატყვევება მოახერხა... ამ რთულ მეტამორფოზას განიცდის გმირი მთელი ოპერის განმავლობაში.

ოპერა იწყება პროლოგით, სადაც ნაჩვენებია ხალხის მიერ სიმონის ქალაქის დოჟად არჩევა (ორი პოლიტიკოსის, პიეტროსა და პაოლოს წყალობით). წარსულში პლებეი, სიმონი იმედოვნებს ამ საპატიო თანამდებობის საშუალებით მიიღოს პატიება და კურთხევა პატრიცი ფიესკოს მხრიდან, რომლის ქალიშვილთან მას

საიდუმლო სიყვარული აკავშირებს. მაგრამ ამ კავშირის ნაყოფი – პატარა გოგონა გაიტაცეს და მარია (ბავშვის დედა) გარდაიცვლება მშობლების სახლში. ფიესკოსი და ბოკანეგრას შერიგება ვერ მოხერხდა.

პირველ მოქმედებას გადავყავართ 24 წლის შემდეგ – გრიმალდების ოჯახში იზრდება აყვანილი ქალიშვილი ამელია, რომლის წარმოშობა საიდუმლოებით არის მოცული. იგი ახალგაზრდა პატრიცის გაბრიელე ადორნოს უყვარს, რომელსაც ფიესკო აქეზებს მისი მტრის, დოჟი სიმონის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყოს. დოჟი გრიმალდის სახლს ესტუმრება საკუთარი მრჩევლის პაოლოსათვის ამელიას ხელის სათხოვნელად. მაგრამ ამელიასთან საუბრის შედეგად გაირკვევა მისი წარმომავლობა – იგი სიმონის ქალიშვილი ყოფილა. დოჟი დაპირდება ამელიას, რომ ხელს შეუწყობს მის გათხოვებას მხოლოდ სიყვარულით. პაოლო, როგორც კი შეიტყობს დოჟის კეთილგანწყობის დაკარგვას, ამელიას მოტაცებას დააპირებს, მაგრამ ამას ადორნო ხელს შეუშლის. ამ პროცესში ადორნოს ერთ-ერთი გამტაცებელი შემოაკვდება. ამ დროს სიმონი იმყოფება საბჭოს დარბაზში, სადაც ქალაქის პოლიტიკური საკითხები წყდება. აღშფოთებული მოსახლეობა ლამობს შეაღწიოს დარბაზში მოთხოვნით: დაისაჯოს გამტაცებელი და მკვლელი. სიმონი უშიშრად შემოუშვებს დარბაზში ბრბოს. ადორნოს მიაჩნია, რომ გატაცების შემკვეთი დოჟია და ცდილობს დასაჯოს დოჟი. ამ დროს გამოჩნდება ამელია და გადაეფარება მამას. გატაცების ორგანიზატორის ვინაობის გარკვევაში საბჭოს დარბაზში მყოფი ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდება. სიტუაციის განსამუხტავად სიმონი თავად პაოლოს დაავალებს გამტაცებლის განკიცხვას, რითაც მას მორალურ სასჯელს გამოუტანს.

მეორე აქტი იწყება პაოლოს ხრიკებით, რომელსაც დოჟის მოკვლა უნდა. ის სასმელში შეურევს სანამლავს და ასევე ცდილობს, დაკავებული ფიესკო და ადონოც გამოიყენოს დოჟის გასანადგურებლად. პაოლო ადვილად მიიმხრობს ადორნოს, მას ღალატის საკმარისი რწმუნებები გააჩნია, მაგრამ მის გასაკვირად,

ამელია გამოუტყდება მამას ადორნოს სიყვარულში. დოჟი შეძრულია და გადადებს ადორნოს დასჯას. იგი სვამს მონამულ წყალს და საძინებელში გავა, სადაც ადორნო შეიპარება დოჟის მოსაკლავად. ამელია აქაც გადაარჩენს მამას. ამ სცენაში გაიგებს ადორნო ამელიას წარმომავლობას და სინანულით ივსება.

მესამე მოქმედებაში აჯანყებული პატრიციები მზად არიან დაზავდნენ. პაოლო ღალატით



VERDI

LAOPERA

Simon Boccanegra

Placido Domingo
Ana Maria Martinez
Stefano Secco
Vitalij Kowaljow
Paolo Gavanelli

James Conlon

სათვის სასიკვდილოდ არის განწირული, მაგრამ მოასწრებს ახაროს განთავისუფლებულ ფიესკოს დოჟის მონამვლა. გაბრიელე ადორნო და ამელია ჯვარს იწერენ, მაგრამ დასუსტებული ბოკანეგრა ახერხებს მიუტევოს ფიესკოს, რომელიც, თურმე, პადრე ანდრეას ტანისამოსში გადაცმული აჯანყებას მეთაურობდა. სასტიკი ფიესკო ამელიას წარმოშობისა და სიმონის

დიდსულოვნების წინაშე უკან იხევს. სიკვდილის პირას მყოფი სიმონი აკურთხებს ადორნოს დოჟის ნოდებაში და სულს დალევს ქალიშვილის ხელეში.

პროლოგშივე, სადაც იკვეთება ვერდის, როგორც ვოკალური, ასევე სიუჟეტური უპირატესობები, სცენაზე გამოჩნდნენ პაოლო გავანელი – პაოლოსა და ვიტალი კოვალიოვი – ფიესკოს როლში. გავანელიმ კარგად გაართვა როლს თავი – მისი დიდი, ოდნავ უხეში, მაგრამ ტემბრალურად სამხრეთოვანი ხმა სწორედ მიესადაგა პოლიტიკური ინტრიგანის, ამპარტავანისა და შურიანი პლეზის როლს. მან ასევე ღირსეული პარტნიორობა გაუნია დომინგოს ცნობილ „საბჭოს დარბაზის“ სცენაში და ფინალშიც. ფიესკოს შემსრულებელმა, უკრაინული წარმოშობის ახალგაზრდა ბანმა, ვიტალი კოვალიოვმა, რომელმაც მოახერხა უკვე სახელის მოხვეჭა არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ევროპაშიც, არც თუ ურიგოდ შეასრულა პარტია. ამ არტისტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თავიდანვე აღებული მყარი და დამაჯერებელი ინტერპრეტაცია მან მთელი სპექტაკლის განმავლობაში შეინარჩუნა. მაგრამ განსაკუთრებული, დასამახსოვრებელი როლი მას არ შეუქმნია. დომინგო სცენაზე გამოჩენისთანავე იყო დარბაზის ყურადღების ცენტრში, და ეს არა მხოლოდ მისი რეპუტაციის შედეგად, წარმოსადეგი, სანდო იერიითა და ემოციურად შეფერილი ტემპრით, მან ოპერის პროლოგიდან შეუპოვარი, მტკიცე და სამართლიანი კაცის სახე წარმოადგინა. უჩვეულო იყო ტენორისეული რეგისტრის ბარიტონალური პარტიის მოსმენა, მაგრამ უკვე პროლოგის ბოლოს ეს თავისებურება სრულიად დამავიწყდა და მთლიანად ვიყავი ჩართული იმ დრამაში, რომელიც ვითარდებოდა სცენაზე. სცენურმა გადანწყვტამ, ვერდის მუსიკალურმა გენიამ და მდიდრულმა სიუჟეტურმა სიღრმეებმა მსმენელიც დრამის თანამონაწილედ აქცია. არა მგონია, იმ საღამოს ვინმე დარბაზში დარჩენილიყო სცენის მიღმა და ყოფილიყო სპექტაკლის გულგრილი მეთვალყურე. დადგმა განხორციელდა სამეფო თეატრის „კოვენტ გარდენი“-ს დეკორაციებითა და განათებით (პიტერ ჰოლი და დუანე შულერი), რაც ძალზე შთამბეჭდავი და დრამატურგიული ხაზის პირდაპირ პარალელური იყო. ანა მარია მარტინესმა ამელიას პირველვე არიიდან მომანონა თავი. ოდნავ მუქი, მაგრამ ლამაზი ხმით, ტექნიკური მოქნილობით და კანტილენის უნარით მან კარგად გადმოსცა შეყვარებული, მაგრამ იმავდროულად სამართ-

ლიანი და ყურადღებიანი ქალიშვილის როლი, ამ მხრივ მას თავისი ფიზიკური მონაცემებიც დაეხმარა. ადორნოს როლი ერგო იტალიელ ტენორ სტეფანო სესკოს. ემოციური, მოქნილი და თეატრალური, მაგრამ მრავალი ვოკალური ხარვეზებით, იგი ვერ გაუმკლავდა ტენორის ცნობილ არიას „Cielo pioetoso, rendila“, თუმცა შემდგომ რთულ სცენებში, ექსპრესიის წყალობით უფრო ეფექტური გამოჩნდა. ჯვიმს კონლონის ფაქიზი ხელმძღვანელობით ორკესტრი გარდაიქმნა (თუ შევადარებთ ელ-ეის წინა სპექტაკლს) მაღალპროფესიონალურ კოლექტივად, რომელსაც კარგად შეუძლია გადასცეს შემოქმედების ბოლო ეტაპზე მყოფი ვერდის ჩანაფიქრი.

სპექტაკლის დამთავრებისას აბსოლუტურად უჩვეულო და მოულოდნელი განცდის წინაშე აღმოვჩნდი, რადგანაც ვოკალური ტრიუმფის ნაცვლად ოპერა წარმოჩნდა რეჟისორულ ტრიუმფად და, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამის შემოქმედი სახელგანთქმული პლასიდო დომინგო გახლდათ. მან მუსიკისადმი იმდენი სიყვარული და ინტუიცია გამოავლინა და იმხელა ენერჯია ჩადო, რომ ნაკლებად პოპულარული ვერდის ოპერა ერთბაშად აქცია ყველაზე პოპულარულად. რომანტულ-მუსიკალური თეატრის კონცეფციამ სრულად იზიემა იმ საღამოს და მომეჩვენა, რომ დიდი მანესტროს ვერდის უკანასკნელი ჩანაფიქრი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად სიუჟეტური ჩახლართულობისა და ღრმა ტრაგიზმისა, მსმენელისთვის ოპერა საკმაოდ ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა, ამიტომაც დარბაზის რეაქცია და ემოციები არ იყო გასაკვირი. ოპერის დასრულებისას, როგორც კი ხმა დაირხა, შემსრულებლები შეიძლება გამოჩენილიყვნენ ოვალურ დარბაზში, მსმენელთა დიდი არმია მოგროვდა და გვიანამდე ფეხს არ იცვლიდა.

ახალი დღის გარიჟრაჟი დადგა, როდესაც დავტოვე მუსიკალური ცენტრის შენობა. ცენტრალური შესასვლელის წინ ნათურებითა და ცისკრის შუქ-ჩრდილებით შემოსილი ხეები და ლამაზად გადმოფრქვეული შადრევნის ბროლის შხეფები თითქოს ესიყვარულებოდნენ კანტიკუნტად მიმოფანტულ მსმენელებს, რომლებიც ზანტად ტოვებდნენ შენობას. აქ ბუნებაც კი თანამონაწილეთა მსმენელთა განცდების – გავიფიქრე მე და განთიადის სიგრილით შეცივებული, გავეშურე შორეული კალვერ სითის თბილ სასტუმროსაკენ.

საქართველოს საბიბლიოთეკო სხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 23 აპრილს, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და თიბისი ბანკმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაატარეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კონკურსები; ამავე დღეს ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული. საგამოფენო დარბაზში სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და გამომცემლობებმა წარმოადგინეს თავინთი ნაბეჭდი და ელექტრონული სახის პროდუქცია. კვირეულის გახსნას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი.

■ 24 აპრილს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო სტუდენტური კლუბის წარდგენა. ლიტერატურული სალონის წარდგენა გაიმართა ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.


■ 25 აპრილს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეორე კორპუსში მოეწყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ შექმნილი ელექტრონული მონაცემების ბაზებისა და სხვა სერვისების წარდგენა.

■ 24-27 მაისს გაიმართა თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის პროგრამით გაიმართა შეხვედრები ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებთან, გამომცემლობებთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ჟურნალისტებთან, სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებელ პირებთან. ფესტივალის დღეებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საქართველოს მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებს გადაეცა შვიდას-შვიდასი ლარის ვაუჩერები. ამ თანხით ბიბლიოთეკებმა შეიძინეს ფესტივალზე წარმოდგენილი უახლესი გამოცემები.

■ 27-28 მაისს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართ აშვედეთისა და ქართული საბიბლიოთეკო

დარგის სპეციალისტთა ერთობლივი სემინარი თემაზე „საბავშვო ბიბლიოთეკები“... სტუმართა მხრიდან მოხსენებები წარმოადგინეს: ლენა კორელანდმა, ლენარტ ლუნდბლადმა, ინგრიდ შელსტრომმა და ევა სუსომ. საქართველოს მხრიდან საბავშვო ბიბლიოთეკებისა და მოზარდთა წიგნიერების საქმეში სასკოლო ბიბლიოთეკების როლის შესახებ ისაუბრეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ლარიბაშვილმა და საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელმა პაატა პაპავამ. ინფორმაციის მენეჯმენტისა და სამაგისტრო პროგრამის შესახებ ისაუბრა ილიას უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორმა დ. კიზირიამ.

■ 7 ივნისს ჟურნალისტთა მე-10 საერთაშორისო კონკურსის ჯილდო „ოქროს ფრთა“ გადასცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორის გიორგი კეკელიძეს გადაცემებისათვის „ინტერპრეტაცია“ (ახალი არხი, თავისუფალი უნივერსიტეტი, Lib. Ge და „ლიტარეა“ artarlg.ge.)






კვირეულის ფოტოქრონიკა

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული წელს განსაკუთრებული აქტიურობით აღინიშნა. კვირეულის ირგუნვაში მონაწილეობა ღვაწივით თითოეული საბიბლიოთეკო ღონისძიება გაძიარჩილდა მოსწავლე-ახალგაზრდობის შინაარსიანი გამოსვლებით. მათ მიერ წარმოდგენილ მხატვრულ ნიმუშებში აშკარად ჩანდა ბიბლიოთეკისა და პედაგოგის მონდობიერი მუშაობა; შობილთა მინაწილეობა. მოსწავლეებმა გამოავლინეს ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურის სიღრმე. ღონისძიებების ეფექტურობა გამოინახებოდა თითოეული მინაწილის გამოსვლაში, მათ დამოუკიდებლობაში ბიბლიოთეკისადმი.


მასალები, რომლებიც ჩვენს მკითხველს მიუჩინებოდა მხოლოდ ნაწილია ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებებისა. მიმდინარე წლის კვირეული იმითაც იყო ნიშანდობლივი, რომ ამ ღონისძიებას გაძიარჩილდა არა მარტო მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკები და საჯარო სკოლები, არამედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო სკოლები, პროფესიული სწავლების ცენტრები. კვირეული თვითაღიარებულ დაინიშნა, მაგრამ ღონისძიებები გრძელდება. ბიბლიოთეკები მათთვის ჩვეული პროფესიონალიზმით აღინიშნავენ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175-ე, გ. ტაბიძის დაბადებიდან 120-ე და ბირეული ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“, მე-300 წლისთავს. შემოსული მასალები პერიოდულად გაშუქდება ჩვენს უკონალიში.

ბირეული ნაბეჭდი

"ვეფხისტყაოსანი" - 300



კვირულის ფოტორონიკა



ნეკროლოგი

ზეინაზ ჟიჟილაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა ერთი უსაჩინოესი ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკათმცოდნე, ნათელი გონებისა და სპეციაკი ბუნების ქალბატონი ზეინაზ ჟიჟილაშვილი. ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ იგი მოვიდა სრულიად ახალგაზრდა, უმაღლესი სპეციალური განათლების დიპლომით. მას მუშაობა მოუხდა გამოცდილი სპეციალისტების ს. მეფარიშვილის, ს. გადელიას, მ. მელაძის, თ. მაჭავარიანის და სხვათა გვერდით. მათგან შეითვისა საბიბლიოთეკო მუშაობის პრაქტიკული ჩვევები, რამაც განაპირობა მისი წარმატებული საქმიანობა. ზეინაზი სამი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკის მასობრივი მუშაობის განყოფილებას წერდა სცენარებს, აწყობდა შეხვედრებს, დაჯილდოებული იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის უზადო უნარით. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო არა ერთი შეხვედრა, დიალოგი საზოგადოებისა და მეცნიერებისათვის ცნობილ პიროვნებებთან. სამი ათეული წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით მოწყობილი მასობრივი მუშაობის ამსახველი ფოტო მასალა ახლაც ითვლება საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის პირველწყაროდ.




პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ზეინაზ ჟიჟილაშვილი ამავე დროს ეწეოდა მეცნიერულ კვლევით სამუშაოს. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში; გამოქვეყნებული აქვს სტატიები, მიმოხილვები და რეცენზიები.

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებში იგი სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით; თვითონ იყო ყურადღებიანი, ტაქტიანი, საამოდ მოსაუბრე და პირნათელი მანდილოსანი. ასეთი ეხსომებათ იგი მის კოლეგებს – სულიერად ამაღლებული, თავმდაბალი და ზეციურ მადლთან ნაზიარები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
 ბიბლიოთეკა, ჟურნალ „საქართველოს
 ბიბლიოთეკის“ რედაქცია



ՈՅՆՈՆԻ-ԾԱՅՄՅՆՆԵՐԻՆ ԵՅՈՒՆ



25
138

